

659
1966/2.



652/2

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱԶԳՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

8

19466



ఉచితములు
ప్రాథమిక శాస్త్రాలు

అంగుహింగులు

వ్యాఖ్య

ఎంతానుహాలు-ప్రాతిక్షణాలు
సాంఘికాలుప్రాథమిక - ప్రాథమికశాస్త్రాలు

శాస్త్రవ్యాఖ్యలు
శాస్త్రవ్యాఖ్యలు వ్యాఖ్యలు
ప్రాథమిక శాస్త్రవ్యాఖ్యలు
ప్రాథమిక శాస్త్రవ్యాఖ్యలు

పరిచయాన్ని

పర. బాణమాటలు — ల్యాజీసెప్చి	3
పర. గాంధిజిందిలు — ల్యాజీసెప్చి	6
పర. కీసాపించి — క్షేమి గ్రంథాలు బిష్టేపొ	
(మంత్రశాస్త్రాలు)	9
పర. జూబ్లో — ల్యాజీసెప్చి	28
పర. కెటిపించి — ఫలం (ల్యాజీసొ)	31
పర. మండవాపించి — కూతుక్కె (మంత్రశాస్త్రాలు)	32
పర. శాశ్వతిందిలు — ల్యాజీసెప్చి	39
పర. ఆచారించి — మేస్తుమర్రె! (ల్యాజీసొ)	40
పర. గాంధిరాజు — మేజీమంత్రాలు	
(మంత్రశాస్త్రాలు)	41
పరశ్రమ రూపిలు — శూస్క్రూప ల్యాజీసొ	
(పార్మాగ్రమి పర. మాలూషాంసింగ్)	51

4

1966

ప్రాథమిక
శాస్త్రవ్యాఖ్యలు

ప్రాథమికశాస్త్రాలు

పర. ప్రాథమికశాస్త్రాలు — ల్యాజీసెప్చి 53

ప్రాథమిక శాస్త్రవ్యాఖ్యలు

పర. తీవ్రశ్శాపిలు — నమ్మగాధాశందిలు 55

რუსთაველის დაბალების 800
 ტლისთავისათვის

რ. შავლაზვილი — შეტყველების კულტურის საკითხები „ვეფხისტუაოსანში“	62
--	----

პრიტიქა და პუბლიცისტიკა

ალ. ჩავლეიშვილი — მწერლის ოსტატობის შესწავლის წყაროები (წერილი მეორე)	68
ო. ვარეიშვილი — უურნალი „ნიუ მესიზი“ მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ შესახებ	75
შ. ძურიძე — „მართლის“ თქმის პრინციპი და დავით გურამიშვილი	80

პრარის წარსულიდან

რ. სურგანიძე — თელო სახურა აჭარაში	89
თიბერის თარო	
3. ქემებაძე — პარმენ ლორიას ახალი რომანი	92

რედაქტორი შოთა ქურიძე
 სარედაქციო კოლეგია:

ნ. ანვლელიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
 პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.



ფრიდონ ხალვაში

300 ტრამის მფინარები

ამბოხებული მდინარეები,
გადალეკილი კალაპოტებით,
ომში შეჭრილი არმიებიეთ
ოკეანეებს ვუახლოვდებით.
ვუახლოვდებით ოკეანეებს
და ოკეანეც ბრძოლას ამზადებს,
რაღვან სამშობლოს ზეცის სილურჯეს
მტრული ყორნები შავად ხაზავენ.
ცას ვვისერავენ მტრული ყორნები,
მამული ორად არის გაჭრილი
და ვიეტნამის ზღვაში მტრის ნავი
მტრის დანასავით არის გაჩრილი.
მიტომაც ვლელავთ და გვეჩქარება;
მიტომაც უნდათ ოკეანეებს,
რომ ჩვენი მთების წვენი დალიონ,
ის ხომ ყოველგვარ ტკივილს ანელებს.
ვერვინ დააშრობს ტყვიის ხორშაკით
ჩვენი პატრიონი ხალხის დიდებას.
გამოიდარებს, ქარი ჩადგება,
ჩვენი ზვირთებიც დაიწმინდება.

ლექსი საჩუარად

თასიც ვიპოვე, ვარდიც ასობით,
ოქროც მოვნახე და მარგალიტიც,
მაგრამ ის განა კაიკაცობის

საზომი არის ან მაგალითი?
 როგორ იტყოდა ციფი ლითონი,
 ან ხე, ან თიხა, ანდა ქსოვილი
 სიტყვას, რომელიც ცვრიან მინდორის
 მკერდზე რესავით მაქვს მოწოვილი?
 როგორ იტყოდა ნივთი იმგვარად,
 რომ გეგრძნო სითბო, აზრი, ნუგეში
 და ეს ფიქრები, მე რომ მიყვარდა,
 ჩამედო შენთვის გულშიც, უბეშიც?
 ტებილსტრიქონები ლექსად ასტმული,
 შოთას გენის მზით გაწვართული,
 ქონებაც იყო, ძღვენიც წარსულში
 და საქორწინო მზითვიც ქართული.
 დღეს კი ჩვევები სულ სხვა მოგროვდა;
 ხან ასე, ხანაც ისე ვირთვებით,
 სიყვარულს, ძმობას და მეგობრობას
 მგონი ხანდახან ვწონით ნივთებით.
 არ ვიცი როდის რა შეიცვლება,
 მაგრამ შენ გეტყვი ასე, უქებრად:
 — შენ სხვა კაცი ხარ და შეიძლება
 უფრო გამდიდროს ლექსის ჩუქებამ.


საუბარი მეგობართან

ისეთი ძნელი და რთული გზებით
 ამ ცხოვრებაში, ძმებო, გავედით,
 თვით სიკეთეშიც არ შეგვიძლია,
 არ ვაწყენინოთ ჩვენ ერთმანეთი.
 სულაც ეს ჩვენი ბრალი არაა,
 ხან თუ ჯიბეში არ გვაქვს მანეთიც.
 სწორედ წყენაში, არქონებაში.
 უნდა გვინდოდეს ჩვენ ერთმანეთი.
 არ შეიძლება ამდენ საქმეში
 არ გავიკაწროთ გული რამეთი,
 მივუახლოვდეთ ერთიმეორეს
 და მოვარჩინოთ ჩვენ ერთმანეთი.
 საყვედურს ხშირად მეტყვის ისეთი,
 სასაყვედურო ვისაც არ ეთქმის,
 მე ღიმილითაც რომ გავამტყუნო,
 უნდა დავკარგოთ ჩვენ ერთმანეთი.

ვიცი, რა ძნელი ასატანია
 მარტო სიმართლე, როგორც ასეთი,
 მაგრამ მართალი სიტყვის გარეშე
 ვით შევიყვაროთ ჩვენ ერთმანეთი?!

შება წვიმისა

ხანდახან გული ძლიერ ღამეწვის,
 რომ აგინებენ ბათუმის წვიმას:
 მათ რა იციან შტოზე წვეოები
 რა სევდიანი ღიმილით ბრწყინვს.
 მათ რა იციან, წვიმა შხაბუნა
 რას ეუბნება ოვითეულ ფოთოლს,
 არ შეუძლიათ სახურავებზე
 დაქცეულ წვეოის ხმა შეიცოდონ.
 მათ რა იციან, როგორ უხდება
 ხეებს, ქუჩებს და სივრცეს მოებიანს,
 როცა ორუბლიდან თბილი თქეშები
 ქალის თმებივით დაეშვებიან,
 როცა მაღალი მაგნოლიიები
 ზოვაურის ალერს ინაწილებენ
 და ხორუმივით დარხეულ ტალღებს
 კენჭების ტაშით მიაცილებენ.
 თუ დაფიქრებით ყური მიუგდე
 მტირალ ბავშვივით ლამაზ ბუნებას,
 შენ გაიგონებ, შენ დაიჭერებ,
 თუ წვიმა რაზე გესაუბრება.





ნანა გვარიშვილი

ჩართლის დედა

როცა თბილის მოადექი,
მავედრალი ადი ზევით,
ქოშებს მიწა სისხლად აჩნდა
შავშეთის და ოშკის გზების.
ილოცება თასი მერე,
შიგ ცრემლები წვეთიწვეთობს,
ქართლის წმინდა მანდილის მზევ,
ნარიყალას შუქურსვეტო!
ჩვენი ერის უბედობა
ძუძუებით ზიდე შენა.
ო, არავინ დაიჯეროს —
კაცის ხელმა აღაშენა.
კალთას ვკოცნი, ჩემო ფესვო,
შენს მაჯასთან ფეთქავს ხმალი.
შენ თბილისის სინდისი ხარ,
ჩვენი ერის ხერხემალი.

რუსთაველის ძეჩა

თეთრ-თეთრ ფილაქნებს დასცემიათ ჭადრების ბინდი,
შოთას გულივით დაუმცხალობს ქუჩა რუსთველის.
დილით — ჭრელ-ჭრულა პეპელების გაშლილი ველი,
ღამით — ასუნას ღიმილივით ფართო და დიდი.
თბილისის მაჯა, სიხარული, სევდა ეგ არის.

მელოდრამები, ქრონიკები, მუდამ აქ ხდება.
 ქართველი კაცის გულის სიტკბოს ყველა ნექტარი
 საყვარელ ქუჩის ამ უხილაც ფიჭაში რჩება.
 თბილისში თუნდაც ერთი წუთით ჩავიდეს კაცი,
 რუსთაველზე რომ არ გავიდეს, არ შეიძლება!

70860 გალაკტიონის

ტრფობა ისევ მეწვია,
 ო, არ არის იოლი!
 ვინ მიშველის? უთუოდ,
 წიგხი გალაკტიონის.
 გულზე ჩქერად დამეცა
 ტალღა გრძნობის იორის...
 სტრიქონ-სტრიქონ მოვიხმე
 ლექსი გალაკტიონის.
 წამებენ წამები
 წამწამს ცრემლის ფიორით.
 კვლავ გავშალე ისევ ის —
 წიგნი გალაკტიონის.

დ ა ი გ ვ ი ა ნ ე

ჭრვას გამოექცა და ცხელ ქვიშაზე
 მოკვდა პატარა თეთრი თოლია.
 მან სიყვარული იცოდა მხოლოდ
 და სიბრალული არ უთხოვია...
 სხვა იჩქაროდა, ზღვა იჩქაროდა,
 ტალღა ცელავდა მაღალ ლიანებს...
 კიბარისს ჩუმად აღმოხდა ოხვრა:
 „დაიგვიანე“... „დაიგვიანე“...

* * *

ყვავილს აწვიმს... როგორ აწვიმს!
 ლმერთო, როდის გადაიღებს!
 ზის გვირილა და ცის ცრემლებს
 თეთრი, თეთრი პეშვით იღებს.
 როგორ აწვიმს, როგორ, როგორ!
 შხაპა-შხუპით, ფოთოლ-ფოთოლ...
 რა იქნება, გაწუწული
 მოხვიდე და შემაშფოთო?

დ უ მ ი ლ ი

უცებ, უცებ გამიჩუმდი...
 რატომ, რატომ? რისთვის, რისთვის?
 ლოცვა-ლოცვით აველ მზესთან —
 ყვავილები მქონდა ცისთვის;
 თეთრი, თეთრი მოფარფატე
 ფიქრის აფრა მღელვარ ზღვისთვის.
 ლურჯი, ლურჯი სევდის ნისლი
 მქონდა მისთვის. რაო, რა თქვი?..
 ვითომ კიდევ მომეყურა...
 ჩემთა ფიქრთა სიხალისევ.
 დუმხარ ისევ.
 მერე რატომ?
 მერე რისთვის?..

უ ც ე ბ

ლრუბელს ელვის სატევარმა
 შეაწყვიტა ცრემლის ასხმა,
 წვიმა ასხამს,
 წვიმა ასხამს...
 და დუმილი, ცის დუმილი
 წვიმის ჰანგად იქცა უცებ,
 თითქოს დედა აბანევებს —
 ცელქ გვირილას გული უცემს.





ალექსანდრა ჩხაიძე

ჩვენი მზოს გიჰვები

მისალებ ოთაში საწერ მაგიდას თმაშეღებილი ჭორფლიანი ქალიშვილი უჯდა და სქელ წიგნს კითხულობდა.

ოთახი გრძელი იყო და მაღალი ფანჯრით მთავრდებოდა. კედლების გასწურივ სკამები იდგა. შავი დერმანტინით გადაკრულ კარებზე ეწერა „თავმჯდომარე“. მოპირდაპირე მხარესაც ასეთივე კარები იყო, მაგრამ მასზე უფრო მომცრო ასოებით გამოეყვანათ — „თავმჯდომარის მოადგილე“.

ბიჭებმა იქაურობა შეათვალიერეს და იმ თმაშეღებილ ჭორფლიან ქალიშვილს მიადგნენ. მიხვდნენ, ის უნდა ყოფილიყო მღივანი და თავმჯდომარესთან შესვლის ნებართვაც მისგან უნდა მიეღოთ.

მდივანი ქალიშვილი, ალბათ, ძალზე საინტერესო იდგილს კითხულობდა და ცოტა ადროვეს, მაგრამ მან გვერდი რომ ჩაათვა და წიგნი ისე გადაფურცლა, შემოსულებისთვის არც შეუხედავს, გუჭამ ჩაახველა. მდივანმა თავი ასწია და ბიჭე უაზროდ მიაჩერდა.

— ჩვენ თავმჯდომარე გვინდა, — უთხრა გუჭამ.

— თავმჯდომარე არაა. — თუმცა ბიჭებს მოადგილე არ უნდოდათ, მან გაინც თქვა: — არც მოადგილეა. — და წიგნს დაუბრუნდა.

— როდის იქნება? — მორიდებით შეეკითხა აჩიკო.

— არ ვიცი. ჩემთვის არ დაუბარებია, — თავაუწევლად უპასუხა ჭორფლიანმა ქალიშვილმა.

— დავიცადოთ, — თქვა გუჭამ და დელეგატები თავმჯდომარის კაგინეტის მხარეს სკამებზე გამწკრივდნენ.

უცბად ტელეფონი აწერიალდა და მღივანი ქალიშვილი ტკბილი ბუ-

რანიდან გამოიყვანა, გაბრაზებულმა მაგიდის უჯრა გამოაღო, შეაგდო და ყურმილს მიწვდა:

— არ გახლავთ. არ ვიცი, — მოკლედ ჩასძახა შიგ და ყურძილი ისევ დადო. წიგნი აღარ ამოუღია, მისაღებში მყოფი თვალი მოავლო და მზერა ბიჭებზე შეახერა. — თქვენ ვის ელოდებით?

გუჯას ეწყინა, აյი უთხრა, თავმჯდომარე გვინდაო. მაინც წამოდგა და წყნარად მიუგო:

— თავმჯდომარე გვინდა.
— თავმჯდომარე დღეს არ ღებულობს.
— როდის ღებულობს?
— ოთხშაბათობით და პარასკევობით, ორიდან ხუთ საათამდე, — გაზეპირებულივით მიუგო მდივანმა ქალიშვილმა და სწორედ ამ დროს კიდევ აწერიალდა ტელეფონი. — გისმენთ. არ გახლავთ, მიხაილოვიჩ. აღც მოადგილეა. თავმჯდომარემ მალე ვიქნებით. დავირეკავთ აუცილებლად. — ყურძილი დადო და ქალალზე რაღაც ჩაიწერა, ალბათ, „მიხაილოვიჩის“ ტელეფონის ნომერი.

დათუნამ გუჯას მხარი გაჰქრა, გვატყუებს, ხომ გაიგონე, თავმჯდომარე მალე მოვაო. გუჯამ თავი დაიქნია, მივხვდიონ და წასჩურჩულა, დაველოდოთო. აჩიქომ საათს დახედა — პირველის ნახევარი იყო.

დრო მიღიოდა. მისაღებში ვიღაც-ვიღაცეები შემოდიოდნენ, თავმჯდომარეს და მის მოადგილეს კითხულობდნენ; ზოგი რჩებოდა, ზოგი არა. დრო და დრო ტელეფონი რეკლა. იმის მიხედვით, ვის როგორ უპასუხებდა, იცვლებოდა მდივანი ქალიშვილის ჭორფლიანი სახე. ერთხელ მან გაიღიმა კიდეც. სახელიც შეეტყვეს მისი. ვიღაცას ტელეფონზე უპასუხა. გულნარა ვარო.

ბიჭები ისე შეეჩივნენ ოთახში ხალხის მიმოსვლას, რომ ყურადღებაც არ მიუქცევიათ, როცა კარები ნაცრისფერკოსტიუმიანმა ახალგაზრდა კაცმა შემოაღო. მაგრამ მდივანი ქალიშვილი უცებ რომ წამოდგა, მაშინვე მიხვდნენ, იგი თავმჯდომარე თუ არა, მოადგილე მაინც უნდა ყოფილიყო.

გულნარა სწრაფად მიიჭრა კარებთან, რომელზეც ეწერა „თავმჯდომარე“, შეჩვეული ხელით გადაატრიალა გასაღები, ის კაცი შიგ შეუშვა და ისევ ჩაკეტა.

გუჯა წამოიწია, გულნარასთან გასასაუბრებლად მოემზადა, მაგრამ ამ დროს მისაღებში შუანის სქელი ქალი შემოვიდა. ხელში გადაბეჭდილი ქალალდების ვეება დასტა ექავა. მდივანს თვალით ანიშნა თავმჯდომარის კაბინეტისკენ, — ქააო? თანხმობა მიიღო და შიგ შევიდა. იგი გამოსული არ იყო, რომ ახალგაზრდა ცალხელა კაცი და მილიციის კაპიტანი შემოვიდნენ. დაბარებული ვართო, უთხრეს მდივანს და ისინიც შევიღნენ

კაბინეტში. მერე ის ქალი გამოვიდა, მაგრამ თითქმის მაშინვე ტანკაზე
ჭერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ თმაშევერცხლილი კაცი პოლა-
კირაცხულები პირ, მდივნის დაუკითხავად შევიდა თავმჯდომარესთან.

შემდეგ კიდევ ვიღაცევები შედიოდნენ, გამოდიოდნენ; ასე რომ, სა-
ბოლოოდ, დელეგაციის წევრებს დავთარი ერთიათ, აღარ იცოდნენ, იყო
თუ არა თავმჯდომარესთან ვინმე.

ზარმა მდივანი კაბინეტში იხმო. იქიდან გამოსული, ტილეფონთან
მივიღა, ნომერი აკრიფა:

— გარდაია? თავმჯდომარის მანქანა.

გუჯა მიხვდა: კაბინეტში აღარავინ იყო და გორდაძე, ალბათ, წისვლას-
პირებდა. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მდივანთან მივიღა.

— უთხარით თავმჯდომარეს ჩვენს შესახებ.

— თავმჯდომარე მიდის.

— სულ ერთი წუთით!

გულნარამ ფანჯრიდან გადაიხედა.

— აერ მანქანაც მოვიღა. შესვენება დაიწყო. სხვა დროს მოდით.

შიჭები მიეშველნენ გუჯას, მდივან ქალიშვილს შემოეხვივნენ.

— ჩვენ გადაუდებელი საქმე გვაქვს. თავმჯდომარე აუცილებლად
უნდა ვნახოთ, — მტკიცედ თქვა დათუნამ.

— მანც რა საქმე გაქვთ აქეთი? — ყოველი შემთხვევისათვის დაინ-
ტერესდა გულნარა.

— პირადად ვეტყვით, — კიდევ უფრო მტკიცედ თქვა აჩიკომ.

— კარგი, — დათანხმდა მდივანი. — ვეტყვი, თუ მიგილებთ. როგორ
მოვახსენო?

დელეგატებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჰო, ვინ ხართ, როგორ მოვახსენო?

ყველაზე უენო ქამილმა თქვა:

— უთხარით თავმჯდომარეს, რომ ხასან ჭალალოვის შვილიშვილია-
თქო.

— ვისი, ვისი?

— ხასან ჭალალოვის, — წყნარად მიუგო ქამილმა და სპილენძისფერ-
მაც კი ვერ დამალა მის ლოყებზე ავარდნილი ალმური.

მდივანმა წარბები აქაჩა, მხრები აიჩეჩა და კაბინეტში შევიდა.

გაკვირვებული ბიჭები ქამილს მიაჩერდნენ.

— ბიჭო, რომელი გაგარინია ბაბუაშენი, თავმჯდომარემ ხელგაშლი-
ლი რომ მიგვიწვიოს?

— აერ ნახავთ! — დარწმუნებით თქვა ქამილმა, მაგრამ თვითონ
მღელვარებით მისჩერებოდა შავ დერმანტინიან კარებს.

— ქამილ, მართლა იცნობს ბაბუაშენს თავმჯდომარე? —



გუჯა.

— იცნობს. ჩვენ მეხუთე სართულზე გვაძლევდნენ ბინას. ბურუბული აღარ შეუძლია იმისიმაღლეზე ასვლა. თქვა, თავმჯდომარე კარგად მიცნობს, პირდაპირ იმასთან მივალო; ჰოდა, მივიდა და...

მაგრამ ქამილმა ვეღარ დაამთავრა, კარები გაიღო და აღარ დახურულა, რაღან გულანარამ ბიჭები ღიმილით შეიპატიუ კაბინეტში.

ბიჭებმა, რა თქმა უნდა, პირველობა ხსან ჯალალოვის შვილიშვილს დაუთმეს. მას რიგრიგობით მიჰყვნენ გუჯა, აჩიკო, დათუნა და თენგო.

კარები მიიხურეს და იქვე შეჩერდნენ. კაბინეტი დიდი იყო. ფანჯრების გასწვრივ მწვანე მაუდგადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა. თავმჯდომარე საწერ მაგიდას უჯდა და იმ ქალის შემოტანილ გადაბეჭდილ ქალალდებს ათვალიერებდა. ზოგიერთზე რაღაცა აწერდა და გვერდზე დებდა. უცებ თავი ასწიო, ბიჭებს მიაჩერდა და თქვა:

— აბა, რომელია თქვენს შორის ხსან ჯალალოვის შვილიშვილი?

ქამილს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გორდაძემ დაასწრო:

— რა თქმა უნდა, შენ იქნები, სულ ბაბუაშენს გავხარ. აბა, მოდით ახლოს, ჩამოჯერით და მითხარით, რაზე შეწუხებულხართ.

ბიჭები საწერ მაგიდაზე მიდგმულ პატარა მაგიდას შემოუსხდნენ. ასე-თი მიღებით ცოტა არ იყოს დაიბნენ. სრულებით არ ელოდნენ, თუ თავმ-ჯდომარე ასეთი იქნებოდა. იგი უფრო ოთარ კობერიძეს ჰგავდა, ვიდრე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს.

— აბა, გისმენთ.

ქამილმა გუჯას შეხედა და მან დაიწყო:

— ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ გორკის ქუჩის ას ოცდაშვიდ ნომერში. ახალი სახლები რომ აშენდა, იქ...

გორდაძემ თავს დაქნევით ანიშნა, ვიცი ეს ადგილიო.

— ...ახლა ჩვენ არდადეგები გვაქვს, მთელი დღეები სახლში ვართ, გვინდა ცოტა გავერთოთ, ვითამაშოთ, მაგრამ მეზობლები ეზოში გაქანების და ბურთის თამაშის უფლებას არ გვაძლევენ. ხმაურიაო, მტვერიაო, ფანჯრებს ამტვრევთო...

— მართლა ამტვრევთ ფანჯრებს? — მოულოდნელად ჰკითხა გორდაძემ.

— ზოგჯერ ...დარტყმას ყოველთვის ვერ გამოზომავ. ერთი მეზობელი გვყავს, მინადორა, ამას წინათ ფანჯარა ჩავუსმევრიეთ და მას შემდეგ ბურთი აღარ გვითამაშია. ჩვენი ეზოს ერთ მხარეზე სულ ცარიელი ადგილია, ტიალი მინდორი. ბიჭებმა გადავწყვიტეთ იქ მოვაწყოთ სტადიონი. ყველაფერს ჩვენ გვაკეთოთ, თვითონ ვიმუშავებთ, მაგრამ იმ ადგილს ყოველდღე ტყავის ქარხნიდან მანქანებით მოაქვთ ნაგვი, იქაურობას აბინ-

ძურებენ და სუნიც ცუდი დგას. ჩვენ გავაფრთხილეთ, მაგრამ არ შვერჩევთ
ბენ. გვინდა, რომ დაგვეხმაროთ. თან კიდევ გვითხრეს, რომ სტანდარტული
მოსაწყობად ქალაქის საბჭოს ნებართვაა საჭირო.

გორდაძე ყურადღებით უსმენდა და ამან გუჯა თანდათან გაათამამა.

- შენი სახელი?
- ელგუჯა.
- თქვენი, ბიჭებო?
- ქამილი.
- დათუნა.
- აჩიკო.
- თენგო.

თავმჯდომარე წამოდგა და კედელზე გაკიდული პატარა ფარდა გადა-
სწია. ჩარჩოში ჩასმულ ქალაქის გეგმას დააკვირდა. ერთ კუთხეს თითო
დაადო:

— აი, ეს აქაა. ესე იგი, ტყავის ქარხანა კვლავ ანაგვიანებს იმ ადგილს.
მახსოვს, ავკურძალეთ. ეგ არაფერია, ქარხანას მოვუვლით, მაგრამ მანდ
სხვა ამბავია: — ტელეფონს მიწვდა, ნომერი აკრიფა, ვიღაცას უთხრა:
— ერთი წუთით გოთხვთ ჩემთან.

თენგომ უცებ შეამჩნია, რომ თავმჯდომარეს მაგიდაზე ფეხბურთის
კალენდარი ედო, სწორედ ისეთი. მან რომ იყიდა „სოიუზპეჩატის“ კიოსკ-
ში სეზონის დამდეგს და თვითეული თამაშის შედეგი შეჰქონდა შიგ. გორ-
დაძის კალენდრის უჯრებიც შევსებული იყო. თენგომ აჩიკოს მხარი
გაჰქრა, შეხედეო.

კაბინეტში შუაბნის სათვალიანი კაცი შემოვიდა და თავმჯდომარის
მაგიდას გვერდიდან მიუკდა.

— ამხანაგო ვიქტორ, დელეგაცია მოვიდა ჩვენთან, გორკის ქუჩის ას
ოცდაშვიდიდან. ეს ადგილი, ალბათ, იცით რომელია?

— რა თქმა უნდა, პატივცემულო არჩილ.
— მოვიდნენ თხოვნით. მათი ეზოს ცალი მხარე მთლიანად ცარიელია.
სტადიონის მოწყობას აპირებენ. მართალია, დღესდღეობით ტყავის ქარხ-
ნიდან მაინც ზიდავენ იქ წარმოების ნარჩენებს, მაგრამ მაგათ როგორმე
მოვუვლით. მე სხვა რამ მაფიქრებს... — შეჭოჭმანდა თავმჯდომარე.

ვიქტორი მიხვდა, რა აფიქრებდა გორდაძეს და მიეშველა:

— ათვისების რაიონია, პატივცემულო არჩილ.

ბიჭები სულგანაბული უსმენდნენ, თუმცა „ათვისების რაიონი“ რას
ნიშნავდა, ვერ მიხვდნენ.

— როდისთვისაა დადგენილი? — შეეკითხა გორდაძე.

— მომავალი წლისათვის.

გორდაძისათვის ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო. იმ ადგილას



მაღლე კიდევ ერთი ხუთსართულიანი შენობა უნდა აღმართულიყო, მაგრამ არც ამ კარგი ბიჭების წყენინება შეიძლებოდა. ამიტომ პასუხი შეასრულებულია და წამოდგა, ფანჯარასთან მივიღა და ქუჩაში გადაიხედა. მანქანა ელოდა შემოსასვლელთან. უცებ მისი მზერა რაღაცამ მიიპყრო და გუჯა თითოთ მიიხმო.

გუჯა მივიღა მასთან. გორდაძემ თვალით ანიშნა ქუჩასაკენ:

— თქვენებია?

გუჯამ ფანჯრიდან გადაიხედა და პირველად თვალებს არ დაუჭერა. მოპირდაპირე მხარეს. წიგნის მაღაზის ვიტრინის წინ, მათი ეზოს ბიჭები გამწკრივებულიყვნენ. დელეგატებს რომ შეაგვიანდათ, ალბათ, გულმა არ მოუმონათ და აქეთ გამოეშურნენ.

— ჩვენებია. — მიუგო გუჯამ და სიხარული იგრძნო, რადგან ბიჭების გამოჩენამ მათ თხოვნას უცებ შემატა წონაც და ფასიც.

ამან, ალბათ, გორდაძესაც გაუადვილა გადაწყვეტილების მიღება:

— ხვალ თქვენთან მოვა ჩვენი მთავარი ინჟინერი. ამხანავ ვიქტორ, გთხოვთ, ადგილზე ნახოთ, რა მდგომარეობაა და რითი შეგვიძლია დავებ-მართოთ ამ ყმაწვილებს.

— ბატონი ბრძანდებით, — ასეთნაირად თქვა მთავარმა ინჟინერმა, რომ იგრძნობოდა, მე კი წავალ, მაგრამ წინასწარ შემიძლია გითხრათ, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვაო.

ამას გუჯაც მიხვდა და თავმჯდომარეს შებედა:

— კარგი იქნებოდა, თქვენც რომ მოსულიყავთ.

გორდაძე უავე გრძნობდა, ეს ნათელსახიანი, ცისფერთვალა ბიჭი იყო ამ საქმის მოთავე, პირდაპირ შეხედა მას და უთხრა:

— ვეცდები, მოვიდე. — მაგრამ შეატყო, რომ ასეთმა დაპირებამ არ დააქმაყოფილა იგი და დაუმატა: — ნამდვილად მოვალ.

დათუნამაც ამოილო ხმა:

— ჯობს, რომ დილით მოხვიდეთ. თქვენ თვითონ ნახავთ, რას დამ-სგავსა ტყავის ქარხანამ იქაურობა.

გორდაძემ მაგიდის კალენდარზე რაღაც დაინიშნა და თქვა:

— ხვალ დილით, ათ საათზე.

ბიჭები რომ გავიდნენ, გორდაძე კითხვის ნიშნით მიაჩერდა მთავარ ინჟინერს.

— ამ საქმეს ნამდვილად არაფერი ეშველება, პატივცემულო არჩილ.

— დაბეჭითებით თქვა მან.

გორდაძე წამოდგა, ფანჯარასთან მივიღა და ქუჩაში გაიხედა, შემდეგ მთავარ ინჟინერს მიუბრუნდა:

— თქვენ ჩემზე დიდი ხანია მუშაობთ ქალაქის საბჭოში. გახსოვთ,

რომ ოდესშე ბავშვების დელეგაცია მოსულიყოს აღმასკომის თავისუფლად—
რესთან?

- რაღაც არ მაგონდება.
- თანაც ის ბიჭები მართალი არიან.
- რა თქმა უნდა, მაგრამ...
- ერთი სიტყვით, ხვალ ერთად მივალთ მათთან და იქ გავარკვევთ
ყველაფერს.

ტელეფონმა დარეკა და საუბარი ამით დამთავრდა.

* * *

ქალაქის საბჭოდან დილის ათ საათზე უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ ბი-
ჭებმა გაცილებით აღრე მოიყარეს თავი ცაცხვთან.

— ნამდვილად მოვლენ? — უკვე მერამდენედ ეკითხებოდნენ დელე-
გატებს.

გუგა ირწმუნებოდა, აუცილებლადო. აჩიკო და დათუნა ეჭვობდნენ
— მთავარ ინუინერს გამოუშვებსო. ქამილი და თენგო ამ აზრს არ იშიარებ-
დნენ, რაკი დაგვპირდა და თანაც კალენდარზე დაიწერა, ნამდვილად ორი-
ვე მოვაო.

ის კი არავინ დაიჯერა, რომ თავმჯდომარის მაგიდაზე საკუთარი თვა-
ლით ვნახეთ მინის ქვეშ ამოდებული ფეხბურთის პირველობის გათამაშე-
ბის კალენდარით.

გასპარა დაზვერვაზე გაგზავნეს. როგორც კი მოჰკრავდა თვალს
ტყავის ქარხნის მანქანას, მაშინვე უნდა ეცნობებინა. ძალიან უნდოდათ
თავმჯდომარის აქ ყოფნას დამთხვეოდა მანქანის გამოჩენა. თუმცა გასპა-
რა ირწმუნებოდა, სერიოუს ცოტა ხნით შევაჩერებ. ოლონდ თავმჯდომარე
მოვიდესო.

აჩიკო წამდაუწუმ დასცექროდა საათს. ათი სრულდებოდა.

ცევიტამ თვალები დახუჭა, ორივე ხელი პიპნოზიტორივით გაიშვირა
წინ და მარჩილობა დაიწყო; ერთმანეთს ახვედრებდა საჩვენებელ თი-
თებს და თავისითვის ბუტბუტებდა:

- მოვა, არ მოვა...
- სამჯერ დაუპირასპირა ერთმანეთს თითები, ორჯერ ააცილა, მაგრამ
მაინც დაბეჭითებით თქვა:
- ნამდვილად მოვა.
- ათი საათია, — გამოაცხადა აჩიკომ.
- სწორია შენი საათი? — ყოველი შემთხვევისათვის დაინტერესდა
ვიტკა.
- ამ დილით რადიოშე გავასწორე.

ცევიტას დაავიწყდა, ერთი წუთის უკან მარჩელობით რომ დაიდეს
 და, თავმჯდომარე ნამდვილად მოვაო და იკითხა:

— რომ არ მოვიდეს?

გუგამ სწრაფად მიუგო:

— ისევ მივაკითხავთ.

— თერთმეტის შვილი წუთია, — კვლავ გამოაცხადა აჩიკომ.

დათუნას გული მოუვიდა:

— შენც ერთი, რა გააჭირე საქმე, ამდენი საათია, იმდენი წუთია! რადიო ხომ არა ხარ? კაცი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეა. რა იცი, რამ შეაყოვნა? შენსავით უსაქმო ხომ არაა! დღეს არ მოვა, ხვალ მოვა. არადა, გუგა მართალია, ისევ მივაკითხავთ.

— ტელეფონით ხომ არ დაფურექოთ, — მორიდებით თქვა ქამილმა.

— გალირსებენ ტელეფონის დადგმას! — თანდათან ჰყარგავდა მოთმინებას გუგა და ამ გახსენებაზე გულის მოსაფხანად კავშირგაბმულობის მუშაკებს მიწვდა: — ძველ ბინაში ტელეფონი გვქონდა. არ დააყენეს საშველი მის გადმოყვანას. ცეცხლი რომ გაგიჩნდეს ან სასწრაფო დახმარება დაგმირდეს, ფეხით უნდა ჩაკითხო.

— ჩვენც ასე გვპირდებიან, — დაეთანხმა კოტე ბარაბაძე, — ძველ ბინაზე ჩვენც გვჭრდა ტელეფონი.

— ესეც უნდა ვუთხრათ თავმჯდომარეს, — მოისაზრა ცევიტამ.

— ერთი მოვიდეს ჭერ, — ჩაილაპარაკა აჩიკომ. საათზე დაიხედა, მაგრამ ხმამაღლა არ უთქვამს, რომ თერთმეტის ნახევარს აღარაფერი აკლდა.

— მართლა, ამას წინათ გასტრონომთან ავტომატი დადგეს, — მოაგონდა ვიტკას, — იქიდან დავრექოთ.

— სწორია, მეც ვნახე, — თქვა დათუნამ. — ტელეფონის ნომერი რომ არ ვიციოთ?

— მაგის გაეგბას რა უნდა, ბიჭო, ცნობათა ბიუროს ვკითხავთ. — ვიტკამ ჭიბეებში ჩაიყო ხელი. — ორკაპიკიანებია საჭირო.

სსვებმაც მოიჩხრიეს ჭიბეები, სამი ორკაპიკიანი შეაგროვეს და გუჯას გადასცეს.

— კარგი, დავრექოთ, — თქვა მან და წამოდგა, მაგრამ ამ დროს შემოესმათ:

— მოდიან, მოდიან!..

ეზოში თენგო მორბოდა კისრისტებით. არავის დაუნახავს, როდის გაძვრა ეს ეშმაკის ფეხი. ქუჩაში დარაჯობდა, ალბათ.

— მოვიდნენ! — მიიჭრა ბიჭებთან გულამოვარდნილი თენგო.

მისთვის აღარაფერი უკითხავთ, რადგან ეზოში უკვე მოაბიჯებდნენ არჩილ გორდაძე და ქალაქის საბჭოს მთავარი ინჟინერი ვიქტორ გოგუა. ქუჩაში ნახევრად მოჩანდა ლურჯი „ვოლგა“.

— გამარჯობათ, — მიესალმა ბიჭებს გორდაძე.
 გოგუამ თავი დაიქნია და შორიახლო შეჩერდა.

გორდაძემ საათს დახედა:

— ცოტა შეგვაგვიანდა. — თვალებით მოძებნა გუჯა და სხვა დელეგა-
 ტები, ჯალალოვების ძევლი სახლი შეათვალიერა: — კიდევ ცოცხალია ეს
 სახლი?! — მერე ქამილს მიმართა: — როგორ ცხოვრობს ხასანი, ხომ არ მო-
 ხუცდა?

— ცოტათი, — მიუგო ქამილმა და თავისი ბინისაკენ გაიხედა. წუხელ
 უამბო ბაბუას, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან რომ იყვნენ, რომ თავმ-
 ჯდომარეს ახსოვს ხასან ჯალალოვი. ძალიან გაეხარდა მოხუცს. ამ დილით
 ცოტა შეუძლოდ იყო, თორებ ეზოში უნდოდა შეგებებოდა გორდაძეს.
 ვერანდაზე მაინც გამოსულა, შუბლზე ხელი მიუჩრდილებია, ბებრულ
 თვალებს ძალას ატანს, რომ გაარჩიოს, რა ხდება ცაცხვთან.

აქაურ მობინადრეთაგან უმეტესობა იცნობს არჩილ გორდაძეს. ბევრი
 პირადად იყო ნამყოფი მასთან; ვერანდებზე, ფანჯრებზე გამოჩნდნენ
 ცნობისმოყვარენი; უკვირდათ, რა საქმე უნდა ჰქონოდა ქალაქის საბჭოს
 თავმჯდომარეს და მთავარ ინუინდეს მათი ეზოს ბავშვებთან.

უკელაზე აღრე მაინც მინადორამ იყნოსა ახალი ამბავი, აივანზე გამო-
 გოგმანდა და მიმინოს მზერით გაირინდა. გულზე სკდებოდა, რომ არ ესმო-
 და, რაზე საუბრობდნენ ასე გაცხარებით გორდაძე და „ქვეყნის დამაქციე-
 რო“ ბიჭები.

— ყველაფერი ნათელია, — თქვა გორდაძემ, როცა იქაურობა რიგია-
 ნად შეათვალიერა.

— აკი გეუბნებოდით, პატივცემულო არჩილ, — მაშინვე მიეშველა
 ვიქტორ გოგუა, — კვარტალი თავიდანვე ისეთნაირადაა დაგეგმილი, რომ
 იმ ადგილზე მეოთხე კორპუსი უნდა აშენდეს. აქამდე უნდა დაწყებულიყო
 მშენებლობა, მაგრამ, მოგეხსენებათ, წლევანდელ ბიუჯეტში ვერ ჩავტი-
 ეთ.

ბიჭები ახმაურდნენ, საკუთარ ეზოში ისინი უფრო თამამად გრძნობ-
 დნენ თავს. ჯერ ჩუმ-ჩუმად, მერე უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ:

- ჩვენთვის არავინ ფიქრობს!
- მარტო გაზეოებში წერენ ამაზე, საქმით არაფერი კეთლება!
- უნგრეთში ყველა ეზოში სტადიონია!
- ჩვენ არაფერს ვითხოვთ, თვითონ ავაშენებთ!
- თქვენ მხოლოდ ადგილი გამოგვიყით!

გორდაძე უსმენდა მათ და თავისი ბავშვობა აგონდებოდა: ისიც
 გარეუბანში იზრდებოდა; რა დასმალავია, მაშინ გასაქანი მეტი იყო და
 გასართობიც მეტი ჰქონდათ ბიჭებს, აკრძალულიც და ნებადართულიც:
 კუუღულამალობანა და რიკტაფელა, კოჭობანა და ლახტი, გრძელი ვირი და

მოქლე ვირი, ჰერში „გველების“ გაშვება... რიცტაფელას თამაში ისე გად-
ტაცებდა ხოლმე, რომ მათი უბნიდან ქალაქის მაშინდელ ცენტრში ჩასული იყო კანკელიანი კანკელიანი მდგრადი მოქლება, რომელიც ის კამფეტი იყო გა-
ოდნენ და, თუ ვინმე ბედნიერი თუნდაც ნაგლეჭს იშოვნდა, ერთი თავის
მტვრევა იყო იმის დასადგენად, თუ რომელი ფილმიდან იყო იგი. კამფეტი
ზე მეტად სურათიანი ქალალდი ფასობდა, რომელშიც ის კამფეტი იყო გა-
ხვეული. ახლაც ახსოვს, მაქს ლინდერის კინოკადრში ათი ცალი საგულდა-
გულოდ დაუთოვებული კამფეტის გასახვევი ქალალდი მისცეს... იყო რა-
ღაც ძალზე საინტერესო და პოეტური ამ ბაგშვურ ანცობაში. უდავოა, მას
შემდეგ მოზარდის ბუნება შეიცვალა, უფრო ხელმისაწვდომი გახდა კი-
ნოც, თეატრიც, რადიოც. მის დროს სამ-ოთხ საათამდე იტეხდნენ ძილს,
რომ მაშინდელ პრიმიტიულ რადიომიმღებში ჯაზის რიტმი გამოეჭირათ და
მეორე დღეს, უძილობით თვალდაწითლებულნი, მაგრამ ბედნიერნი, დი-
დი ამბით ჰყვებოდნენ სკოლაში ამაზე. ახლა კი ამ ახალ სახლებზე ტელე-
კოშკის აშენებამდე დაუდგიმ ანტენები და რამდენიმე ამათგანი, ალბათ,
ცისფერ ეკრანზე მთელი ქვეყნის ამბებს ისმენს და ხედავს. მაგრამ ბავ-
შვები ყოველ დროში ბავშვებად რჩებიან და ყველაფერს მაინც ბურთის
თამაში ურჩევნიათ. მაგრამ სად უნდა გაინავარდონ ლალად და უშიშრად,
როცა ქალაქში ერთადერთი სტადიონია? ამაზე ნამდვილად უნდა იმსჯე-
ლონ აღმასკომის უახლოეს სხდომაზე. ეს მომავალში; ახლა კი რა გინდა
უთხრა ამ ჩახმახივით შემართულ ონავრებს, თვალანთებული რომ შე-
მოგცერიან პასუხის მოლოდინში?

ვიქტორ გოგუა, ჯერჯერობით, თვითონ უმკლავდებოდა ბიჭების შე-
მოტევას, დაყვავებით ცდილობდა მათს დაშოშმინებას:

— კარგით ახლა, ნუ ატყდით... სხვა ადგილს გამოვნახავთ... არაა აუ-
ცილებელი ფეხბურთის თამაში, მაგიდის ჩიგბურთიც გამოდგება გასარ-
თობად.

ამასობაში სახლმმართველი გერონტი ბუაძე გამოჩნდა საიდანღაც.
ალბათ, ვინმე აცნობა მის მიქრორაიონში უფროსების გამოჩენა და წამსვე
აქეთკენ გამოექანა. ამ დილით გადაკვრა მოესწრო და, თავი რომ არ გაეცა.
მოშორებით გაჩერება ამჯობინა, თანაც სიტუაციაში გარკვევას ცდილობდა,
მე ხომ არ მიჩივის ვინმე.

გუჭამ თვალი მოჰკრა, გასპარა მორბოდა მათკენ.

— გამოჩნდა! ... — აცნობა მან ბიჭებს.

— სერიოზა?

— ჰო.

აჩიკომ გორდაძის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— აგერ ტყავის ქარხნის მანქანა მოგვადგა საჩუქრით.

დათუნამ გოგუას უთხრა:

— ერთი იმასაც ვნახავთ, იქ აშენებულ სახლს ნაგვის საფუძველი
როგორ გაუძლებს.

— აბა, წავიდეთ, — თქვა გორდაძემ და იქითკენ გაემართოთ მოქალაქეთა
გუნდად აედევნენ. გოგუა მოშორებით გაჰყვა. ყველაზე ბოლოს სახლმარ-
თველი გერონტი მიდიოდა, ცდილობდა მტკიცედ გადაედგა ნაბიჯები.

სერიოუ ასატრიანმა მაშინვე იცნო ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე,
მანქანის დაცლა არც უფიქრია, კაბინიდან გაღმოვიდა.

გორდაძემ თვალი მოავლო იქაურობს, უკმაყოფილოდ გააქნია თავი,
რაღაც უთხრა მთავარ ინუინერს. გერონტი ბუაძე შეეცადა მასაც უკმაყ-
ფილება გამოეხატა სახეზე, თითქოს ისიც პირველად ხედივდა სანაგვედ
გადაქცეულ მინდორს.

— ხშირად მოგაქვთ ეს ნაგავი? — ჰქითხა გორდაძემ შოთერს.

— ყოველდღე, უფროსო, — არ დამალა სერიოუამ.

— დღეიდან აქეთკენ პირს აღარ იზამ.

— მესმის, უფროსო, — სიხარულით დაეთანხმა სერიოუა.

— შენს დირექტორს კი გადაეცი, რომ ქალაქის საბჭოში გამოიაროს.

— გადავცემ, უფროსო. — სერიოუ წასვლას არ ჩქარობდა. — ისე, რომ
იცოდეთ, უფროსო, ამ ბიჭებს ძალიან კარგი საქმე გადაუწყვეტიათ. თუკი
თქვენი ნებართვაც იქნება, სერიოუ ასატრიანი მოკვდეს, თუ დახმარება მი-
ვაკლო. მიმსახურონ ჩემი მანქანით.

— კარგი, კარგი, ამაზე მოვილაპარაკებთ, — უკმაყოფილოდ შეაწყ-
ვეტინა გოგუამ. — ახლა კი წადი.

სერიოუამ ბიჭებს თვალი ჩაუკრა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

— ახლა კი მომისმინეთ, რას გეტყვით, — თქვა გორდაძემ და
უმალ მოექცა ბიჭების რკალში. გერონტი კვლავ დისტანციას იქრდა. —
თქვენ რომ აქ სტადიონის მოწყობა განიხრახეთ, ეს მეტად კარგი და მისა-
სალმებელია. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გვეფიქრა და მაღ-
ლობელი ვართ, რომ შეგვახსენეთ. მაგრამ დამერჩენეთ, ბიჭებო, რომ აქ
სტადიონის მოწყობა მართლაც შეუძლებელია აი, თქვენ თვითონ შეხე-
დეთ, სამი კორპუსი უკვე აგებულია: კვარტალი რომ შეიკრას და არქიტექ-
ტურული ანსამბლი არ დაირღვეს, აქ უცილებლად უნდა აიგოს კიდევ
ერთი საცხოვრებელი სახლი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ
შეგნებული ბიჭები ხართ და დამეთანხმებით, რომ საცხოვრებელი სახლი
სტადიონზე უფრო საჭიროა. განა სასიხარულო არაა, რომ გაისად ამ დროს
აი, აქ ას ოჯახს მაინც შევასახლებთ ახალ ბინებში?

ბიჭები ყურჩამოყრილი იდგნენ. მათ ახლა არც ახალი ბინები ახარე-
ბდათ და არც მომავალი მეზობლები, არც ის, რომ ტყავის ქარხანას ბო-
ლოს მაინც აჯობეს და აქ ნაგავს აღარ მოიტანდნენ.

გორდაძე ცდილობდა ხასიათზე მოეყვანა ბიჭები:

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენ საგანგებოდ ვიმჟღველოთ ქალაქში სპორტული მოედნებისა და სტადიონების მშენებლობაზე დაწესებული შიც დაწერთ, რომ თქვენი ეზოს ბავშვები გამოვიდნენ ამ საქმიანობისათვის ებად. საქმესაც მოგცემთ. თქვენს უბანში რომელიმე სხვა ადგილს შევარჩევთ სტადიონისათვის. თვითონ მიიღებთ მონაწილეობას მის მშენებლობაში.

— ეს როდის იქნება! — ჩაილაპარაკა აჩიკომ და პროტესტის ნიშნად განხე გადგა.

სხვებიც ბუზღუნით შემოეფანტნენ გორდაძეს. გუჯა ხედავდა, რომ საქმე წაგებული იყო და ხმას ალარ იღებდა.

ვიქტორ გოგუა ამოუდგა გვერდში გორდაძეს, ხმალაბლა ჩაულაპარაკა:

— იქნება დავრთოთ ნება... მომავალ წლამდე მშენებლობა მაინც არ დაიწყება. ამ ზაფხულში გაირთონ თავი, სტადიონიც მოაწყონ და ბურთიც ითამაშონ. მერე მოყირჭდებათ და თვითონ ჩამოეთხოვიან.

გორდაძემ მკაცრად შეხედა მთავარ ინჟინერს:

— აქობებდა, რაიმე უფრო ჭკვიანური მოგეფიქრებინა! ისლა გვაყლია, ბავშვები ვატყუოთ. — გაფანტულ ბიჭებს გასძახა: — აქეთ მოიწით, რაღაც მოვითიქრე, დარწმუნებული ვარ, მოგეწონებათ.

იმედოცემული ბიჭები ისევ შემოეხვივნენ გორდაძეს:

— აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ თქვენი ეზო მას შემდეგ, როცა აი, ამ ადგილზე მეოთხე კორპუსი აშენდება. მაგრამ არა ისეთი, როგორიც ახლაა. წარმოიდგინეთ იგი კეთილმოწყობილი, გასუფთავებული, ხოლო შუა ეზოში — სპორტული მოედანი. რა თქმა უნდა, სტადიონი აქ არ დაეტევა; მეზობლებიც არ დაგანებებენ, რომ ყოველდღე უმსხვრიოთ ფანჯრები; აქ იქნება სპორტული მოედანი, საღაც ითამაშებთ ფრენბურთს, კალათბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ბაღმინტონს; თავისი კუთხე ექნებათ პატარებსაც...

გორდაძე თვითონვე გაიტაცა ოცნებით წარმოდგენილმა ეზომ, თან ყურადღებით აკვირდებოდა ბიჭებს, რომელთა თვალებში ისევ გაღვივდა. ცნობისმოყვარეობის ნაპერწყალი. ყველაზე უფრო მათი მეთაურის აზრი აინტერესებდა; თანდათან გუჯას სახეც რომ განათდა, კიდევ უფრო გათამამდა და ახლა ზავშვებთან ერთად თვითონაც ხედავდა ეზოს, რომლითაც დიდებიც კმაყოფილი იქნებოდნენ და პატარებიც.

— განა უფრო საინტერესო არაა ასეთი მოედნის მოწყობა? მერე კიდევ, გოგონებმა რა დააშავეს? ისინი არ ცხოვრობდნენ თქვენს ეზოში?

— რამდენიც გინდათ!... — ჩაილაპარაკა დათუნამ და მალულად გადახედა გუჯას, როგორ მოსწონს მოულოდნელად შემოთავაზებული გეგმა. გორდაძე განაგრძობდა:



— თუ ლონე გერჩით, ასეთი სპორტული მოედნის მოწყობას შრომაც
შეტი უნდა, უნარიც...

— და ფულიც, — ჩაურთო აჩიკომ. იგი აშკარად უკმაყოფილო იყო
საქმის ასეთი შებრუნვებით.

— რა თქმა უნდა, უფულოდ ეს არ გაკეთდება. — სწრაფად მიუვა
გორდაძემ. — ამ მხრივ ჩვენ დაგეხმარებით. თქვენს სახლმართველობას
დავავალებთ...

— აქ გახლავართ, ბატონო... — „სახლმართველობის“ გაგონებაზე ნა-
ბიჯი წინ წადგა და ჯარისკაცივით გაიჭიმა გერონტი ბუაძე.

— ჰოდა, ძალიან კარგი, რაკი თქვენც აქა ხართ. — გადახედა გორდა-
ძემ ბუაძეს. — თქვენი ეზოს ბიჭებმა კარგი საქმე ითავეს და ხელი უნდა
შეუწყოთ.

— აუცილებლად! — კიდევ უფრო დაგრძელდა სახლმართველი.

— უფროსებიც ჩარიეთ ამ საქმეში, ძოელაპარაკეთ მობინაღრეებს.
ვფიქრობ, წინააღმდეგ არავინ წავა.

— რა თქმა უნდა, — მაშინვე დაეთანხმა ბუაძე.

ვიტკამ მხარი წაჰერა გუჯა:

— ჩვენი სახლმართველი ყველაფერზე თავს რომ უკრავს, მისი ნება-
რთვით საქათმეები რომ დადგეს შუა ეზოში ზოგიერთებმა, იმას რას
უპირებს?

გუჯამ გაიფიქრა, რომ ეს საქმეც ახლავე უნდა მოეგვარებინათ და ვი-
ტკას ნათქვამი ხმამაღლა გაიმეორა.

სახლმართველს ობშივარი აუვარდა პირ-სახეზე და საბოლოოდ ვამო-
ფხიზღდა, თავის მართლებას მოჰყავა:

— დროებით დავრთე, ბატონო, ნება... მოგეხსენებათ, ახალ ბინებში
შესვლა. ყველას აღნიშვნა უნდა; ქართველები ვართ, პურ-მარილი, პატი-
ვისცემა. მტერ-მოყვარე... ხვალვე ავალებინებ სუყველას.

— მინადორასაც? — შეაპარა ცეციტამ.

— მინადორა ვინ ყოფილი! — იტკიცა ბუაძემ. — კანონი კანონია!

— ისიც დროებითაა? — გუჯამ ხელი შუა ეზოსაკენ გაიშვირა. —
ყველაფერი გამზადებულია გარაჟის ასაშენებლად.

— ვინ აშენებს იქ გარაჟს? — დაეკითხა გორდაძე სახლმართველს.

— სილოვან ბალდავაძე, პატივცემულო, „ოპტობაკალეიაში“ რომ
მუშაობს, — აიშურა ბუაძე.

— მერე, ნებართვა აქვს? ვის გაუგონია შუა ეზოში გარაჟის აშენება!

— რა მოგახსენოთ, პატივცემულო!... პასუხისმგებელი ამხანავია და
ისე როგორ იყაღრებდა, რომ უნებართვოდ...

ვიტკამ ცეცხლს ნავთი შეუკეთა:

— ნებართვა კი არა, სულ ამ მშენებლობიდან მოპარული გამოიყენებითაა დამზადებული ის ბრივეტები.

გორდაძე მთავარ ინჟინერს მიუბრუნდა:

— ამხანაგო ვიქტორ, გაარკვიოთ ეს ამბავი. რაღაც ძალიან გახშირდა გარაფების უნებართვოდ აშენება; აშენებენ, ვისაც სად მოეპრიანება! — შემდეგ ბუაძეს უთხრა: — სამი დღის ვადა მიეცით ყველას. ჯალალოვების სახლისას რას შვრებით? — გორდაძემ თვალით მონახა ქამილი: — კიდევ ვერ ელევა ხსანი თავის სახლს?

გუჯამ თქვა:

— საწყობად ხმარობენ მშენებლები. მეოთხე კორპუსის თვისაც გამოიყენებენ. ჩვენც გამოგვადება. ხელს მაინც არ შეგვიშლის, განაპირობაა.

გუჯას პასუხით გორდაძე მიხვდა, რომ მისი წინადადება ბიჭებმა მიიღეს. ყოველ შემთხვევაში, შეთაური თანახმა იყო. ახლა ცოტა ხნით მარტო უნდა დაეტოვებინა ისინი, რომ თავისუფლად ემსჯელათ, ეკამათათ. ამიტომ ახლა წასვლა ჯობდა.

— ერთი სიტყვით, თქვენ მოილაპარაკეთ და, რასაც გადაწყვეტით, შემატყობინეთ. გინდათ, მოდით, გინდათ, ტელეფონით დამირეკეთ. — გორდაძემ გულის ჯიბიდან ბლოკნოტი და კალმისტარი ამოიღო. რაღაც დაწერა, ის ფურცელი ამოხია და გუჯას გაუწიოდა: — აი, ტელეფონის ნომერი.

ბუაძემ მანქანამდე მიაცილა თავმჯდომარე და მთავარი ინჟინერი. გორდაძე რაღაცას ეუბნებოდა მას. სახლმართველი თავს უქნევდა. მანქანა რომ წავიდა, ეზოში შემობრუნდა, მაგრამ მიხვდა, ცაცხვის ქვეშ შეკრებილ ბიჭებთან შეხვედრა კარგს არაფრის უქადა და გაცლა ამჭობინა.

ცაცხვთან რომ დაბრუნდნენ, გუჯამ ჰქითხა ბიჭებს:

— რა ვქნათ?

ყველას, რა თქმა უნდა, ცქვიტამ დასწრო:

— რა უნდა ვქნათ? დღესვე შევუდგეთ საქმეს.

— დღესვე! — ჩაიცინა აჩიკომ. — მიდი ერთი და წაეკარე მინადორის საქათმეს, ან ბაღდავაძის ბრიკეტებს. ვნახავ, ცოცხალი ვინ გაასწრებს.

— ხომ გაიგონე, თავმჯდომარემ სამი დღის ვადა მისცა ჩვენს სახლმართველს.

— მაგას ვნახავთ, — ჩაილაპარაკა აჩიკომ, თენგოს ბურთი გამოართვა და თავით აათაბაშა.

— ვთქვათ, ყველაფერი ეს მოგვარდა. მთავარია, ჩვენ მოვილაპარაკოთ: გავაკეთებთ თუ არა ეზოს სპორტულ მოედანს, — თქვა გუჯამ.

ნელ-ნელა ალაპარაკდნენ:

— გავაკეთებთ.

— არაა ადვილი საქმე.

— ხვალვე დავიწყოთ.



— ვერ მოვერევით.

— ახლა უკან რომ დავიხიოთ, სირცხვილია.

აზრი ორად გაიყო. პირველი აღტკინება ბურთის თამაშის სულიერისა გიმოიწვია, ადვილი მოეჩვენათ სტადიონის მოწყობა. მაგრამ მოულოდნელად გატაცება საქმედ იქცა, ხვალ-ზეგ ბურთაობის პერსპექტივამ დიდი ხნით უკან გადაიწია და თავდაპირველი ერთსულოვნებაც განელდა.

აჩიკო ხმას არ იღებდა, კვლავ ბურთს აწვალებდა, მაგრამ გუჯა გრძნობდა, ყველაზე უფრო მას არ ეპიტნავა თავმჯდომარის შემოთავაზე-ბული იდეა და, ალბათ, სხვებზე უფრო მისი მოძრევა გაჭირდებოდა. აჩიკოს კი დიდი ივტორიტეტი ჰქონდა ეზოს ბიჭებში თავისი ღონითა და ფეხ-ბურთის თამაშით. ამიტომ გუჯამ პირდაპირ მას მიმართა:

— აჩიკო, როგორ მოვიქცეთ?

აჩიკომ ბურთი თენგოს გაუგორა და წამოდგა.

— რა ვიცი... ვნახოთ... — გაურკვევლად თქვა და წასვლა დააპირა.

— მოიცა! — მიაძახა გუჯამ. — მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ გვარებს. ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, ვკიდებთ ამ საქმეს ხელს თუ არა.

აჩიკოს არაფერი უთქვას, თვალით მოძებნა ვიტკა და უთხრა:

— წადი, შენი ბურთი მოიტანე.

ვიტკამ მზერა მოარიდა გუჯას, წამოდგა და ზანტად გაემართა თავისი ბინისაკენ.

დათუნამ იფეთქა:

— რასაც ახლა შენ აკეთებ, ქვეშიდან გამოსვლაა და მეტი არაფერი. აჩიკომ შეუბლვირა:

— არა, ბიჭო, რაღაც ორი თვე დასვენება მაქვს და მიწის თხრას მივაკლავ თავს.

— არც სწავლის დროს იკლავდი შენ თავს, — მოაგონა კოტე ბარაბა-ძემ. ისინი ერთად სწავლობდნენ.

— რა გააჭირეთ საქმე! — გული მოუვიდა აჩიკოს. — ააშენეთ, რაც გინდათ და ითამაშეთ, რაც მოგესურვებათ. მე ჩამომეთხოვთ.

— შენ... — ბრაზი მოაწვა გუჯას, — შენ მშიშარა ხარ!

— რა?!.. — აჩიკომ წარბები შეიკრა და გუჯასაკენ გაემართა.

გუჯა გაფიტრდა, მაგრამ უკან არ დაუხევია. აჩიკო ზედ მიაღვა, თვალით გაზომა იგი და უცებ დამცინავად გაიღიმა:

— აა, ახლა მივხვდი, რატომ არ გინდა სტადიონის აშენება! შენ, საერთოდ, იცი რაა ფეხბურთი? ოდესმე გაგიკრავს ბურთისათვის ფეხი? ა?

— აჩიკომ გამარჯვებული მზერა მოავლო ბიჭებს: — ამისთვის ხომ სულერთაა, ბურთს ითამაშებს ბიჭებთან თუ ბადმინტონს — გოგონებთან.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. მართლაც არავის უნახავს, რომ გუჯას ბურთი ეთამაშოს ეზოში. არა, ფეხბურთი ნამდვილად უყვარს, ტელევიზორიც



იმიტომ დაიდგა სხვებზე ოღრე, მაგრამ საინტერესოა, თვითონ რეფორმული განვითარებისას!

ამ დროს ვიტკამ ბურთიც გამოიტანა და აჩიკო მისკენ გაქანდა.

დათუნამ მიაძინა:

— გვინახავს ჩვენც შენზე უკეთესი ფეხბურთელები!

— დაგავიწყდა, ფინალში რომ გაპამჟულა მესამე სკოლის მცველმა? — მოაგონა ცევიტამ.

— არა, ფეხბურთის თამაში ნამდვილად იცის, — არ დაეთანხმა თენ-გო.

— კარგი ერთი, — ხელი ჩაიქნია კოტემ. — მაგან ყველაფერი თავისითვის იცის, სკოლაშიც ასეთია, ფეხბურთის გუნდშიც. სულ თვითონ უნდა გო-ლის გატანა. არავის არ მიაწოდებს ბურთს. რამდენჯერ წაგვიგია მაგის გუ-ლისთვის.

— მართლაც რას ჩაცივდით აჩიკოს, — ჩაერია საქმეში გასპარა. — ჩვენც ვეყოფით ამ საქმეს.

— მართალია, — კვერი დაუკრა ქამილმა.

— საიდან დავიწყოთ, გუჯა? — ჰერთხა დათუნამ.

— საიდან? — გუჯა დაფიქრდა. — იცით, საიდან? დავიწყოთ იქიდან, რომ ამ საქმეში ჩავაბათ ჩვენი ეზოს ყველა ბიჭი. რა თქმა უნდა, ვისაც სურვილი აქვს. უნდა ჩამოვიაროთ ბინები. აქ სამივე კორპუსიდან ვართ არა? ჩვენს სახლს მე და თენცო ავიღებთ. პირველ კორპუსს ქამილი და და-თუნა შემოივლიან. მეორეს — გასპარა და ცევიტა. შევადგენთ სიებს და საღამოსათვის აქ დავიბარებთ ყველა მსურველს.

ბიჭები დაიშალნენ. ცევიტა, გუჯა და თენცო ერთად მიაბიჯებდნენ. მოულოდნელად ბურთი გამოვირდა მათკენ, ცევიტას ფეხზე მოხვდა და შეჩერდა.

მობურთვეები მიჩერებოლნენ, ელოდნენ, როდის დაუბრუნებდა ცევიტა ბურთს. აჩიკომ დაუძახა კიდეც:

— მოაწოდე, რალის უყურებ?

ცევიტამ უხმოდ აუარა გვერდი ბურთს და განაგრძო გზა. გულმოსულ-ში აჩიკომ ერთ პატარა ბიჭს შეუძახა და ბურთის მოსატანად გააქცია.

* * *

გავიდა ერთი თვე. ამაშუელების ბინაში ტევა არ იყო. ტელევიზო-რისა და სერვანტის გარდა დედა-შვილმა ყველაფერი გაიტანა სასტუმრო-ოთახიდან, მეზობლებში სკამები ჩამოინათხოვდეს, მაგრამ რვა საათისათ-ვის დასაჭდომი კი არა, დასაღვომი ადგილიც კი არ იყო ოთახში.

უფროსები ჭარბობდნენ. ეს სავსებით ბუნებრივი იყო. თითო ბავშვს

დედა და მამა, ზოგიერთს ბებია და დეიდა მოჰყვებოლნენ და ჭოლუშხარე-
ვი ღიმილით შემოდიოდნენ ათაბში:



— რაღაცა ჩვენს ბავშვებზე იქნება ტელევიზორში.

— რავა გამოიჩინეს თავი საქვეყნოდ, უყურე შენ!

— მართლა იქნებიან ტელევიზორში, თუ ხუმრობაა, კაცო!

რვა საათს ხუთიოდე წუთი აკლდა, გუგა ვერანდაზე რომ გავიდა, ცას
ახედა, ამინდი ხომ არ ფუჭდებაო. ეზოს მოავლო თვალი. როგორ შეიცვა-
ლა აქაურობა ამ ერთ თვეში! ფრენბურთის მოედანი ოთახის იატაკივითაა
მოწმენდილი. ცქვიტამ ფეხიც კი არ დააკარებინა არავის, ჯერჯერობით
მხოლოდ ორი ბოძია აღმართული. ბადეს ხვალ დილით გაყიდებენ. სიფრ-
თხილეს თავი არ ტკივა. პინგ-პონგის მაგიდა უკვე დგას, მაგრამ ბრეზენტია
ზედ გადაფარებული. ერთი კუთხე პატარებისაა, მეორე — პენსიონერე-
ბის...

მოგუგუნე ოთაბში რომ დაბრუნდა, ცქვიტამ ნახევარი სკამი გაათავი-
სუფლა და ხელით ანიშნა, ჩემთან ჩამოჯექიო.

— ჩუმად, იწყება! — დაიძახა დათუნდამ.

მოგუგუნე ოთახი დაცხა, დაწყნარდა, სმენად გადაიქცა.

ერთხანს მხოლოდ ჩურჩული სამოდა:

— თავი გასწი, ბიჭო!

— ცოტა იქით მიიწი!

— ნუ მეფარები.

ცისფერ ეკრანზე ლამაზი ქალის სახე გამოჩნდა. მან ღიმილით მოუ-
ლოცა ადგილობრივ ტელემაყურებლებს მათი ტელეკოშის ჩართვა საერ-
თო ქსელში და თქვა, ახლა გთავაზობთ თქვენი ქალაქისადმი მიძღვნილ
გადაცემასო.

გაისმა მუსიკის ნაზი მელოდია და ეკრანზე გაცურდა მშობლიური
ქალაქის ნაცნობი ხედები: ქუჩები, მოედნები, შენობები...

ოთახი აგუგუნდა. ვერც დიღები და ვერც პატარები აღტაცებას ვერ
მალავდნენ:

— ჩვენი პარკი, კაცო!

— თეატრის შენობა, იცანი?

— გორკის ქუჩა!

— შალიკო, თქვენი საავადმყოფო!

— ფოსტას ხედავთ?

ვიღაც აღელდა და ასანთს გაპერა პაპიროსის მოსაყიდებლად, მაგ-
რამ ყველა მხრიდან წამოუძახეს:

— პაპიროსი არ მოწიოთ, სუდაც ძლივს ვითქვამთ სულს!

დიქტორმა დაწვრილებით გააცნო ტელემაყურებლებს ქალაქის
მშრომელთა წარმატებები, მოწინავე აღმიანთა საქმეები...



— აგერ მე არ ვარ, კაცო! — აყვირდა ვიღაც. — ჩვენთან იყვნენ ქართული ხანაში! უყურე შენ!

შემდეგ ბავშვთა საავადმყოფოს პალატები უჩვენეს. პატარა პაციენტები იღიმებოდნენ და სრულებით არ ჰვანდნენ ავადმყოფებს.

აი ადგილობრივი თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლიდანაც წარმოადგინეს პატარა ნაწყვეტი.

დიქტორი ამბობდა:

„— ისე როგორც ყველა ქალაქში, აქაც ცხოვრობენ ბავშვები, რომლებიც ბეჭითი სწავლის შემდეგ შინაარსიანად და საინტერესოდ ატარებენ ზაფხულს. ჩვენ მოგითხრობთ ერთი ეზოს ბავშვებზე, მათ საქმეებზე...“

ეკრანზე გამოჩნდა დანაგვიანებული ეზო...

ცქვიტა გაოცდა, მაგრამ მალე მიხვდა:

— ჩვენი მეზობელი ეზო არ გადაუღიათ!

დიქტორი: — „ასეთი იყო ეს ეზო ამ თვენაზევრის წინათ. მაგრამ აქაურმა პიონერ-მოსწავლეებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ საკუთარი ძალებით მოეწყოთ სპორტული მოედანი...“

ეკრანზე: ბავშვები თხრიან მიწას, ეზიდებიან ნაგავს, რგავენ ყვავალებს... გამოჩნდა ნაცნობი სახეები...

ოთახში ყიუინი ატყდა:

— კუკური!

— გუჯა!

— მზია!

— ცქვიტა!

— აგერ მე ვარ!

— დათუნას შეხედე!

შემდეგ ფრენბურთის თამაშის მომენტი უჩვენეს.

დიქტორი: — „და ყველაფერი ეს ნორჩია მშენებლებმა გააკეთეს უფროსების დახმარებითა და მხარდაჭერით. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც ბავშვურ ცელქობად, უფრო მეტიც, უწესო საქციელად მიაჩნდათ ყოველივე ეს...“

და უცებ ეკრანზე: მინადორას ხელები გაუშლია და თავისი ბინის ვერანდიდან ქოქოლას აყრის ეზოს ბიჭებს...

— მინადორა! — ერთად აღმოხდა მთელ ოთახს.

— სუ, — მაშინვე გააჩუმეს ერთმანეთი.

უფროსები წინდახედულად მოერიდნენ კომენტარებს, რადგან არ შეიძლებოდა, ამდენ ხალხში ვინმე არ გამოჩენილიყო მინადორასთან ამბის წამლები.

ბავშვებს კი მინადორასი არ ეშინოდათ. მათ აღტაცებას საზღვარი არ



ჰქონდა. ტელევიზორის ჭაღოსნური ეკრანი მთელ რესპუბლიკურ შეფეხურ-
ღა მათ ნახელავს, მოუთხრობდა მათ საქმეებზე...

დიდი მოვარე გადმოჰყურებდა ეზოს, იმდენად დიდი და კაშკაშა, რომ
ცაჲ არ ჩანდა ვარსკვლავები.

იყო შუალამე და გარშემო ბინებში რიგრიგობით ქრებოდა შუქი.

მაგრამ ეზოს არ აკლდა სინათლე. მოვარე ერეოდა ღამეს. მოვარე მე-
ფობდა ეზოში. მოვარე და სიმუტროვე.

ცაცხვის ქვეშ ისხლნენ ბიჭები. მათ ილაპარაკეს ყველაფერზე: დღევა-
ნდელ ტელეგადაცემასა და ხვალინდელ შეხვედრაზე ფრენბურთში, იმა-
ზეც, მოვიდოდნენ თუ არა ხვალ, მოედნის საზეიმო გახსნაზე, არჩილ გორ-
დაძე და კომქავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი.. და კიდევ ბევრ რა-
შეზე ილაპარაკეს იმ ღამით გორკის ქუჩის ას ოცდამეშვიდე ეზოს ბიჭებმა.

შემდეგ სპორტული გადაცემა მოისმინეს მოსკოვიდან. შუალამე გადა-
ვიდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა სახლში წასვლას. დღეს რატომლაც დედე-
ბიც არ უხმობენ დასაძინებლად.

ეს იყო მათი ღამე, ხვალინდელი დიდი სიხარულის წინაღამე და ამას-
გრძნობდნენ მშობლებიც.

მორყეფული ონკანიდან წყალი შიშინებდა. გუჭამ გაიფიქრა, რომ ხვალ
დილით ნამდვილად შეაცეობდა იმ ონკანს და ჩართო მუხლებზე დადებუ-
ლი ტრანზისტორი.

მოკლე ტალღაზე რომელილაც შორეული სადგური გადმოსცემდა ჰე-
როვან მელოდიას.

ბიჭები დუმდნენ და ისმენდნენ მუსიკას. და ოვითეული მათგანი, ალ-
ბათ, ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, იმაზე, თუ რა კარგი ყოფილა, რო-
ცა რაღაც დიდსა და სასარგებლოს აქეთებ ამქვეყანაზე.



ჯემალ ჯაყელი

ზარდერები ქვებზე

(ციფლიდან „ლენინგრადი“)

მე ამ კედლებთან რატომღაც მიმძიმს
და ეს სიმძიმე ჩადის გულამდე.
მე ახლა ვსუნთქავ ამ ქვების სიბრძნით
და ნევის დუღუნს მივაყურადებ.
აქ, ამ მიწაზე დუმილი იდო,
როგორც ტყვია და როგორც ცხედარი.
ო, ანიჩკინის მღუმარე ხიდო,
შენი ზვიადი ოთხი მხედარით
გადამატარე ჭალების ნათელს
და იმ წუხილზე დაიწყე რამე. —
როგორ ანთებდნენ გრიგალში სანთელს
ცხრაასი დღე და ცხრაასი ღამე.
მე ამ კედლებთან რატომღაც მიმძიმს
და ეს სიმძიმე უფრო მეტია...
და „ისაკოვსკის“ გუმბათის ციმციმს
და პეტრე-პავლეს ციხეს სუეტიანს
და ხალხს მოსულს და წასულს ადრიან,
გავშვს, აკვანში რომ დაბერდა ლამის,
რა სამძიმარი შეეკადრება
ცხრაასი დღის და ცხრაასი ღამის?!
მე ამ კედლებთან რატომღაც მიმძიმს
და ამ სიმძიმის მიჭირს გამხელა.
მღუმარე ქვებთან რატომღაც მიმძიმს
და დუმილია, ჰაუ, რამხელა!

არა და არა, არ მყითხოთ რამე,
 თუ არ გატყდა და თუ არ გამოელდა,
 როგორ გაუძლო ცხრაასი ღამე
 აკვნის ბავშვმა და თაფლის სანთელმა
 და მოიტანეს საოცარ ნებით
 გამოყოლილი ქარსა და გრიგალს.
 ო, რა დუმილით მიმზერენ ქვები
 და დუმილი ჰგავს კრწანისის იგავს.
 და მე ვითხულობ ქვებზე წარწერას
 და ამ კედლებთან იმგვარად მიმძიმს...
 დავაჩოქებდი ბეჭსა და წერას
 და ვიცხოვრებდი ამ ქვების სიბრძნით.
 ო, ლენინგრადის მდუმარე ქვებო,
 თქვენში ისევე გრძელდება ომი.
 ო, ლენინგრადის მდუმარე ქვებო,
 თქვენში ისევე ბობოქრობს ომი.
 • მოდის ნევა და მოდიან დრონი
 ახალი ჩარხის დატრიალებით,
 მოდის ნევა და მოდიან დრონი
 და იწერება მატიანენი!
 და ამ კედლებთან იმგვარად მიმძიმს,
 თუმცა ქუჩაში დადის ნათელი.
 მე ვიცხოვრებდი ამ ქვების სიბრძნით,
 რომ ვყოფილიყავ ლენინგრადელი.

ეს როდი კმარა

დღეს დავიჭირე მე ჩემი „არა“
 რაღაც საოცარ სულის ჭავლებში
 და ვთქვი, იცხოვრო — ეს როდი კმარა
 ან მზე შიშველი გენთოს თვალებში;
 უნდა იძულო და იხმადიდო,
 როგორც მომსკდარი ტალღა ზვიადი,
 ბევრი რამ დაპგმო, ბევრი ადიდო
 და ჩაიხედო ყველგან ძირამდი.
 უნდა გაიჭრა კარიდან კარად,
 დასცე კარავი ხმათა განგაშით.
 თავი მოიკლა — ეს როდი კმარა,
 ეს თავისთავთან არის თამაში.
 უნდა დაეცე დიდი სიკვდილით,

რაღაც უდიდეს სიკვდილის მეხით,
 თუ დაიღალე გულთან ჭიდილით
 ან ჯვარედინზე წაიკარ ფეხი,
 თუ მოგეკიდა თვალებზე რული,
 თუ მოგეკიდა ობობა ეჭვის,
 თუ ვერ აზიდე ხალხების სული
 და ქვაფენილზე დადევი ბეჭი.
 ...დღეს დაგიჭირე მე ჩემი „არა“
 რაღაც საოცარ სულის ჭავლებში
 და ვთქვი. იცხოვრო — ეს როდი კმარა,
 ან მზე შიშველი გენოოს თვალებში.
 უნდა იდულო და იხმადიდო
 ხან სიხარულით და ხანაც წყრომით,
 ზოგი გათელო, ზოგი ადიდო
 და იყო რაღაც ათასი ლომი,
 იყო ბალადა ათასჯერ თქმული
 და ასხლეტილი ათასი ზვავი,
 უნდა ასწიო ხალხების სული,
 ანდა მოიკლა ცოცხალი თავი.



შისანა ანთაძე

ღ რ მ

დროს მეწყერივით ჩვენთან მოვარდნილს
ან გაურბი და ან ემონები,
ხან შეიყვარებ ატმის ყვავილებს,
ხან დაგატყვევებს ანემონები,
ხან მოვაჩვენებს ცისფერს მორევი
და გვიწყდება ცა რა ფერია,
ხან გინდა იყო ყველას მომრევი,
ხან ყველაფერიც არაფერია...
ხან წელიწადი უცებ გვეცლება,
თუმცა დროს გზომავთ მილიწამებით,
ზოგს სიხარული უათკეცდება,
ზოგს მწუხარება — ცილიწამებით...
...დრო მქურნალია ყველა ტკივილის,
დრო მიაცილებს შენს სულს ბოლომდის,
ხან აგაცილებს ყველა ნაფიქრალს,
ხან გაგიმართლებს ყველა მოლოდინს.

ო

ნოღა მოღებაში

ხ ა ტ ი ჯ ე

აივანზე გამოვედი, სადაც ძია ხასანი შეჩქვიფებული მიცდიდა, — სხვებიც მელოდნენ, მაგრამ იგი კარებთან დამხვდა. ყველაფერი გასაგები იყო — მშობიარობამ მშვიდობიანად ჩაიარა. ძია ხასანი კი მაინცდამაინც ჩემს პასუხს უცდიდა. მე დაკარწახებული მკლავები პირსაბანზე გავიბანე და სკმზე ულონდ დავეშვი. ყელზე ჩამოკორწიალებული პირბადე არ მომიხსნია, არც ხალათი გამიხდია, ისე, როგორც ვიყავი, დავგექი მუხლის გასამართავად. ძია ხასანი თავზე მაღვა და თვალებში მომჩერებოდა, ვერც ვერაფერი ეკითხა და ვერც ვერაფერი გაეკეთებინა. ოთახში ჩვილის ტირილს ყური მიუგდო; ეს ხომ უტყუარი ფაქტი იყო, მაგრამ ვიდრე ხელი ხელზე არ მოვუჭირე და არ ვუთხარი, საქმე კარგადაა-მეთქი, გული არ დაუდევს. ჩემდა უნებლიერ წარმოვიდგინე იგი ჩვილით ხელში. ალბათ, სიხარული ჰკუაზე შეარყევდა. ახალშობილის ტირილი მიწყდა და ნათლად გავიგონე ძია ხასანის სიტყვები: „ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, შვილო, დიდხანს!“

ძია ხასანის სახლში ორი წელია ვცხოვრობ. მართალი გითხრათ, აქეთ რომ მოვდიოდი, ბევრი რამ მაფიქრებდა — უცხო ხალხი, უცხო კუთხე. რა დასამალავია, ამ ერთ გოჯა საქართველოში რამდენიც კუთხეა, იმდენი ზნე-ჩვეულებაა. შეიძლება ამას სუ ღრმად ვერავინ ხედავს თუ განიცდის, როგორც ექიმი, მით უფრო ახალბედა ექიმი. ყოველი სიტყვა სიფრთხილით უნდა აწონო, მათაც უნდა მოუსმინო და შენიც უნდა გააგებინო. საკმარისია თუნდაც ერთხელ ეჭვით შეგხედონ და საქმე დალუპულია. ძია ხასანმა თავიდანვე კარგად მიმიღო. ორსართულიანი ქვის სახლი ახალაშენებული ჰქონდა. მე წინა, დიდი ოთახი დამითმო. თავისუფალ დროს მე და-

ძია ხასანი სულ ერთად ვართ. ჩამოვსხდებით აივანზე და ქვეყნის უშავეს ვყვებით. ნამდვილად შვილივით მიყურებს. ვატყობ, სოფლიდან ჩემი გამ-ვება არ უნდა, ხანდახან სიტყვას ცოლის მოყვანაზე ჩამომიტყობებულია ვგრძნობ. აქაური ქალი უნდა შემრთოს, რომ აქვე დავსახლდე, ჩინ სოფე-ლში. ალალი კაცია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!

ოჯახში ჭარად არიან — ორი ვაჟი და ხუთი შვილიშვილი. მეექვეს ეს-ეს არის ახლა შეეძინა. რძალი რაიონის საავადმყოფოში — სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრზე — არ გამაშვებინა, ექიმი შინ მყავხარ, საავადმ-ყოფო რა საჭიროა. რა მექნა, უარი ვერ ვუთხარი. მშობიარე ჩვენი სოფ-ლის მედპუნქტში დავაწვინე, სადაც ჯერჯერობით ხუთი საწოლი გვაქვს, და საჭირო ზომები მივიღე, რაიონიდან გინეკოლოგიც გამოვიძახე ყოველი შემთხვევისათვის.

და ა. მშობიარობამ მშვიდობიანად ჩაიარა. დედაც და ბავშვიც თავს კარგად გრძნობდნენ. ბავშვის დამორცხვებული მამა დაბლა, კიბესთან იღ-გა. მეზობლები გარს შემოხვეოდნენ და ყურს უწევდნენ. ძია ხასანი, რო-მელიც ისევ თავზე მადგა, უცბად შეჩემვიფებული შებრუნდა და, თითქოს ბიჭს დანაშაულზე წასწრებოდა, აივნიდან გადასძახა: „აქ რას უდგეხარ, ახ-ლავე წადი, ვახშმის თადარიგი დაიჭირე, სტუმრები მომყავს“.

სწორედ იმ ღამეს სუფრაზე ძია ხასანმა ორმოცდაათი წლის წინან-დელი ამბავი გაიხსენა და ისე გვიამბო, თითქოს პირადად მას გადახდო-მოდეს.

* * *

ხუთი და-ძმა ერთ პატარა ჭარგვალში ცხოვრობდა (ახლა იქ მათი ოდა-სახლია წამოჭიმული). და-ძმებს შორის უმცროსი ხატიჯე იყო (იგი ამ სამიოდე წლის წინათ გარდაიცვალა). თორმეტი წლისას ჩადრი დაპხურეს და მამაკაცთან ჯდომა აუკრძალეს. მას უკან პირმობურული უყურებდა ლილისფერ ცას. გზაზე უცხო რომ არა გადაპყროდა, ტყის ნაპირს მიჰყვე-ბოდა. ასე უეცრად ხატიჯემ სამუდამოდ დაკარგა ბავშვობა; ამას იგი ძა-ლზე მტკიცნეულად განიცდიდა. რა თქმა უნდა, იცოდა, ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბუნებით მხიარულ გოგონას მაინც გაუჭირდა. იგი ძეელებური ხალისით ვეღარ გამოდიოდა ეზოში. ალარ შეეძლო თავი უკან გადაეგდო და კრიალა სიცილით არე-მარე გაეკვეთა. რავი ჩადრი დაპხურეს, უველასი და ყველაფრის რიცი უნდა ჰქონდა. გოგონას თვალ-ში ხეს, მიწას, ცას თალზი ფერი დაედო. არავინ იცოდა. ხატიჯეს სახე იცი-ნოდა თუ ტიროდა.

გავიდა ორი წელი. ერთ საღამოს მათთან ვიღაცები მოვიდნენ. სტუ-მრებს მამა გაეგება. ხატიჯე და დედა უკანა ოთახში გასუსული ისხდნენ.



მამა დიღხანს ელაპარაკა სტუმრებს. დედა იღუმალმა შიშმა შეიძყრო და /
ხელები უკანკალებდა, შვილს თვალს ვერ უსწორებდა. იქნებ, ეს ურჩეს თანა უკანკალის განცდა იყო, ან იმედის გაცრუების ტკივილი. მაშინ ხატიჯე ვერა-
ფერს ხვდებოდა, ვერც შემდეგ გაიგო ვერაფერი. როცა წინა ოთახში მამის
სიცილი გაისმა, დედამ თავზე ხელი გადაუსვა გოგონას და უთხრა, გასარი-
გებლად არიან მოსული, მალე გაგათხოვებთო. მაგრამ ვინ იყო ხატიჯეს სა-
ბედო? ქორწილის საღამოს ქალები მოვიდნენ, გოგონები ეხვეოდნენ და
ულოცავდნენ. რატომ ულოცავდნენ?.. ხატიჯე ხომ ოდნავადაც არ გრძნობ-
და თავს ბედნიერად. რაღაც ხდებოდა მის ცხოვრებაში, მაგრამ რა?.. ხატი-
ჯეს არ შეეძლო ამ საიდუმლოების ამოხსნა. ყველაფერი რაღაც მძიმე და
ტლანქი გახდა. როცა ქეთ-იქიდან ხელები ჩაჰკიდეს და გარეთ გაიყვანეს,
დედის თვალზე ცრემლი შენიშნა, გულისამაჩუყებელი ცრემლი; და ისიც
ჩუმად აქვითინდა. მერე კი მეზობლის ქალები უცნობმა ქალებმა შეცვა-
ლეს. ყველანი რაღაც განსაკუთრებული სითბოთი ექცეოდნენ. ცალკე
ოთახში რბილ ტახტზე დასვეს. ეს ოთახი არ ჰგავდა მის ოთახს, მიწაზე
ნოხი ეფინა და უფრო ნათელი და დიდი იყო. ყელზე ოქროს ყელსაბამი შე-
ჰკიდეს, თითებზე ბეჭდები გაუკეთეს. ოქროს სირმებიანი ყუთი გვერდით
დაუდგეს და უთხრეს, აქ შენი საჩუქრებიაო (სწორედ ისე, როგორც იმ
ღამეს, როცა მამა სტუმრებს გაეგება). ქეც წინა ოთახში მამაკაცები ერ-
თან ისხდნენ, ისმოდა გაბმული ზუზუნი, სიცილი და ხრინწიანი ხველა.
კარებში თამბაქოს ბოლი გამოდიოდა ღამე იყო, ალბათ, უკვე შუალამეც-
ფანჯარაზე შემოღვმული სანთელი ოთახს ანათებს, მქრქალი შუქი ლიცლი-
ცებს და ადამიანებს ოთახში ვეებერთელა ლანდი დაჰყვება. ღრო და
ღრო გაიელვებს ზოგჯერ მოლიმარი, ზოგჯერ კუშტი თვალები. ხატიჯეს
პირბადე ახადეს და მის გარშემო ტრიალებდნენ. მას თავი ვერ აუწე-
ვია და ნიკაპზე ხელს ჰკიდებდნენ — სურდათ თვალებში ჩაეხდათ. ხატიჯე
ამჩნევს, რომ ორი ქალი მტრულად უყურებს, თითქს მათ რამეში შეცი-
ლებოდეს. ეშინია გოგონას იმ თვალების, უნდა გაექცეს, მოერიდოს. არა,
ის თვალები კარგს არაფერს უქადის. ალბათ, ქალები ატყობდნენ შიშს, მის
გვერდით სხდებოდნენ, ხელს მხარზე ხვევდნენ და მკერდში იკრავდნენ. ხატიჯეს
ტანში საშინელი ძრწოლვა უვლის. რა ქნას, როგორ გაექცეს მათ?

ხატიჯემ მეორე დღეს გაიგო. რომ ისინი მისი ქმრის ცოლები იყვნენ.

მამაკაცები წინა ოთახში გათენებამდე ისხდნენ. პატარა ოთხეუთხა
ფანჯარაში გაიშალა ლილისფერი ცა, ჭერ მუქი, შემდეგ ოდნავ ღია. ოპ.,
რა ღრმა უფსკრულია! ალბათ, ფანჯრიდან ქვა რომ გადააგდო, თვალს ვერ
ჩააწვდნენ, ჩიკარებება იქ, უსასრულობაში. მაგრამ მეორე მხარეს ნამდა-
კრული მოლი ხასხასებს. ეტყობა, ქარი ქრის, ხეები იქოჩებიან, მოლიც
ღელავს. მიეცით ხატიჯეს თავისუფლება, პირბადეს მოიხსნის, ხელებს გა-
შლის, ფეხშიშველი ირბენს ნამდაკრულ მოლზე, ყურს მიუგდებს აქოჩ-

რილი ხეების ჩურჩულს. მაგრამ უკიდურეს მეორე ოთახში ზუზუნსა და ხელ-ნწინა ხმებს სკამების ბრახაბრუხი შეერია. ეტყობა, მამაკაცები უკიდურეს ნწინა. ოთახშიც კი მასთან, მის გვერდით არავინაა, ყველა შემოეცალი უკიდურეს ნიშანი. რატომ დატოვეს მარტო?.. ხატიჯეს ხომ არავისოფის უთხოვია აქ მოან? რატომ დატოვეს მარტო?.. ხატიჯეს ხომ არავისოფის უთხოვია აქ მომიყვანეთო. „ეპეე, სადა ხართ, საღ!.. დედა, შენ მაინც სადა ხარ, დედა!.. წამიყვანე, უთხარი მამას, უთხარი ყველას, ხატიჯე აქ ვერ გაძლებს-თქო. არ მინდა ეს ყელსაბამი, არც ეს ბეჭდები!.. მიშველე, დედა! მხოლოდ შენ არ მინდა ეს ყელსაბამი, არც ეს ბეჭდები!.. მიშველე, დედა! მხოლოდ შენ შეგიძლია შველა, ნუ მემალები, დედა... სადა ხარ, საღ!“ საიდან მოდის ეს ხმები? ვინ ეძახის? ხატიჯე ხომ ზის იქ, აბილ ტახტზე, ხელები კალთაში დაუკრეფია და ხმას არ იღებს. საიდან მოდის ეს ხმები? ხატიჯეს ფერმო-დებულ ლოყებზე კურცხალი დაგორძა, აქეთ-იქით ორი კურცხალი დაეშვა ნელა, ხამუშ-ხამუშ და პატარა ფოსიან ნიკაპზე შეერთდნენ. ორი კურცხალი ერთ კურცხლად იქცა, ბურთივით დამრგვალდა, მერე დაგრძელდა და კაბის კალთაში დაუკრეფილ ხელებზე დაეცა. ეტყობა, გარეთ ქარი ქრის, და კაბის კალთაში დაუკრეფილ ხელებზე დაეცა. ეტყობა, გარეთ ქარი ქრის, ხეები იქოჩებიან. ოთახში რა სამარისებური სიჩუმეა. არც მეორე ოთახი-დან ისმის ზუზუნი, ხრინწიანი ხველა. წელიან რამდენი ქალი იყო აქ, ახლა კი ერთიც არა ჩანს!

ფეხის ხმა არ გაუგონია, თავდახრილმა დაინახა, როგორ გაიღო კარი და... სახენაოჭიანმა მამაკაცმა ჯერ თითქოს შემთხვევით შემოიხედა, მერე კი გოგონას წინაშე გამტაცებელივით აღიმართა. თხელ, ჩამღვრალ ტუჩებ-ში თუთუნის ნამწვავი ჩაფერფლოდა. კოხტად შეკრეჭილ შავ წვერში თეთრი ტალღასავით გადადიოდა. დანაოჭებული ქვედა ქუთუთო თვალს მოცილებოდა და თვალსა და ქვედა ქუთუთოს შორის სიწითლე ჩასდგომოდა. თვეზე ფეხი ეხურა. შარვლის ტოტები მუხლამდე ჭყეტელა შალის წინდებ-ში ჩაეკრა. კარებში მაღალი, წელში გამართული ჩანდა, გადადგა ნაბიჯი და მაშინვე რამდენიმე თეული წელი ზურგზე აეკიდა, მხრებში მოიხარა, დადაბლდა. ბაგეზე დაკრული თუთუნის ნამწვავი მოიშორა და ჩაახველა, ჩაახველა გულისილრმისეული ხრინწიანი ხმით. მერე ხველა აუტყდა, თვალები და ხეშეში სახე გაუჭარხალდა, წელში კიდევ უფრო მოიხარა. მუცელზე წელმოჭერილმა მანამ ახველა, ვიღირე ყანერატო არ აიწ-დაიწია და არ გადმოაფურთხა. სული მოიბრუნა და წამით შეჩერდა ძალის მოსაკრებად, რომ მეორე ნაბიჯი უფრო თამამიდ გადაედგა...

ხატიჯე იქ აღარ ზის: როდის ადგა, როდის გაეკრა კედელს? ალბათ, იგრძნო, რომ ძალა არ ჰყოფნის და გაშეშებული დგას, არ იძრის, არც ხმას იღებს. ტახტზე ახლა ის სახენაოჭიანი კაცი ზის, ღიმილგარეული დუმილით უყურებს და იმავე ხრინწიანი ხმით. რა ხმითაც ახველებდა, ეუბნება:

— ხატიჯე, მოდი ჩემთან!

და ხატიჯეს პირველ წელს ვაჟი შეეძინა.

ოჯახს ძე არ ჰყავდა. ახალშობილის მამამ პარმალში თოფი დასტურა /
შშობიარეს წალდი, საცერი შემოუწყვეს სასოფლის ბავშვს აუდის ქვეშ
ლი შეჰქიდეს. თავზე ქალები დასტრიალებდნენ. მამაკაცები სახლიდან გვიჩვა
კრიფნენ. ხატიჯემ ძე შობა და მასთან ერთად იშვა რაღაც ახალი; გაიფანტა
უნდობლობა. ერთბაშად შეიცვალა შორეული მოგონებები, თითქოს მათ
მოჰყვა მინდვრის ყვავილების სურნელება, მთის წყაროს ჩხრიალი, დილის
უნაზესი ნიავის ჩურჩული. ძეობა იმ დღესვე იზეიმეს, მოიყვანეს მეჭიბო-
ნეები, მაგიდა ეზოში გაშალეს. მდგრა ხნის შემდეგ ხატიჯე დედამაც ინა-
ხულა. მეტისმეტი სიხარულისაგან სულ ძლივსლა ითქვამდა, მაგრამ ერთ-
ხელაც არ უკითხავს, ხატიჯეს უჭირდა თუ ულტინდა. არა, არ უკითხავს,
ჩაეკრა მკერდში და აქვითინდა. ხატიჯე შეაკრთო ახლად ჩასახულმა
გრძნობამ; ნუთუ ეს პატარა არსება, რომელიც დედის მკერდთან მოკალა-
თვებულა და ცივი ხმით კნავის, არ შეუძლია დიდი, დიდი ხნით მოიშოროს
თვალთაგან?..

მერე ხატიჯეს გოგო შეეძინა, შემდეგ ოთხი შვილის დედა გახდა
და უკვე მეხუთეზე იყო ფეხმიმედ.

ცხოვრება მოვალეობა ყოფილა და მეტი არაფერი! პირველმა და იმ
ერთადერთმა სიხარულმა მალე გაიარა და ოდესლაც მხიარული გოგონა
ბედის მორჩილად იქცა. ხატიჯე უვლის საქონელს, ხატიჯე აპობს შეშას,
ხატიჯეს-მოჰყვას თამბაქო... ხატიჯე, ყველგან მხოლოდ და მხოლოდ ხატი-
ჯე. ქმარი მზის გადახრამდე კერის პირას თვლემს, ტუჩებმომწვარი ჩიბუხი
ჯერ მუხლზე ეცემა, შემდეგ ნაცარში ბუქს ადენს. დაწოლის წინ კერიიდან
ტახტზე გადაინაცვლებს და ისევ: ხატიჯე — ფეხი დამბანე. ბავშვებისათვის
ერთი წუთითაც აღარ სცალია. ხატიჯეს ახლა არ უკირს, როცა დედა ეს-
ტუმრა და ერთხელაც არ უკითხავს, რა აწუხებდა მას. მხოლოდ ახლა გაი-
გო ხატიჯემ ყველაფერი. ცალკერდ ქმრის ჭირვეულობა უნდა დაავამაყო-
ფილოს და ცალკერდ მისი პირველი ცოლების ქილიქს გაუძლოს. ქმარი
რომ ტიხარს იქიდან თავისთან მიიხმობს, ისინი ენას გველივით წაასისინე-
ბენ და ქიმუნჯსაც ჰქონენ.

დიდი ხნის შემდეგ ხატიჯემ დედას შესჩივლა.

— შენ უფლება არა გაქვს ხმა მოიიღო! — უთხრა მას დედამ.

თიბათვე იდგა. ზაფხულის ცხელი დღეები ერთმანეთს ენაცვლებოდ-
ნენ. არე-მარე ხმელი ბალახის სურნელებას გაეულინთა. მთელი სოფელი
მთაში იყო, იალაღებზე. ხატიჯე იმ ზაფხულს საქონელს მთაში არ გაჟო-
ლია. ბევრი საშუალო საშემე დაუტოვეს. რა დღეს არა, მაგრამ იცოდა მშობი-
არობა იმ თვეს არ გადაცილებდა. ადრე დილით სათიბში გავიდა, სახლი-
დან ერთ კილომეტრზე. სათიბი გაშლილი იყო ფერდობზე, ნეკერჩხლისა
და ბებერი მუხის კორომს შორის. ხატიჯეს დილიდანვე მუხლი არ მოუხ-
რია. შუადღისას ჩრდილში ცოტა ხნით სული მოითქვა და ისევ განაგრძო



შუშაობა. მზე შეუმჩნევლად გადაიხარა სათიბში გაწვა ხეთა ვეუბნებულა ჩრდილი და გრილმა ნიავმა წამოუბერა. მთელი დღის მანძილზე უაჭარცებულო კაციშვილი არ გაჟიანებულა. ქვემოთ, ხევში ისმოდა წყლის ჩხრიალი. ხატიჯეს დალლილი მკვლავები უეცრად მოუდუნდა. მოეშვა, ისეთი შეგრძნება პქონდა, თითქოს გრილ ნიავთან შეზავებული წყლის სუსხი იგალ-რბილში ატანდა და სურდა ერთი წამით, თუნდაც ერთი წამით შვება ეგრძნო. ცალი ხელიდან კი არ გავარდნია — იგი მოდუნებულმა ხელმა მოიქნია და ქვებზე ჭიათი მოადინა. მერე პირბადე სიხიდან თვის კორტოხზე აიგდო, რომ ზევიდან მოდენილ სუსხიან პაერს შეგებებოდა. პშ! სად იყო ხატიჯეს მშვენიერი სახე, თეთრი ფუნთულა სახე, მოძრავი, მკვარცხლი თვალებით, სოთი ცხვირითა და შავი წამწამებით, უხილავ ხელს რომ ყალმით მოეხატა. პატარა, რბილ ტუჩებზე ნაოჭები დასხდომოდა, თვალები ამოღრმავებოდა და თეთრი თმა დაქსელოდა საფუთქლებზე. გახალისებული ლიმილიც გაქრობოდა. მავრამ ხატიჯეს არც არასოდეს განუდია თვისი სილამაზე. მხოლოდ სხვების სახით ხვდებოდა, რომ ლამაზი იყო. მთის გრილი გამჭვირვალე პაერი სახეზე მოელამუნა, შვება იგრძნო, გული გალილან გაშვებული ჩიტივით შეუფართქალდა. სადღაც, სულის სიღრმეში, სიცოცხლეშვილი გაიღვია, გაიღვია თმაწეწილი და ფეხშიშველა გოგონას სურვილებმა.

ხმელ ბალახზე გაგორდა, მკვლავები გაშალა და ცას ახედა, წმინდასა და ნათელ ცას. იქ, ლურჯი ცას სიღრმეში, კითხულობდა თვისი ბავშვობის დაუწერელ სტრიქონებს. ფხაჭა-ფხუჭით მოაფათურა მიწაზე ხელები და მის უხეშ თითებში ტყდებოდა ხმელი ბალახის ღრეულები. წამიც კი არ გასულა, მაგრამ მას ეგონა, რომ უკვე მთელი საუკუნეა მკლავგაშლილი მიწაზე წევს და სარბად ისუნთქავს მის სურნელებას.

ანაზღეულად მუცელში რაღაც ჩაწყდა, ქვედა ტანი სულ მთლიად წაერთვა. ყრუ გმინვა აღმოხდა და სახეზე ცივი ოფლი დასკვდა ქვედა ბაგე კბილებში ჩაიგდო, მთელი ძალით უჭერს, უნდა ერთმა ტკივილმა მეორე ტკივილის შეგრძნება გაანელოს. თვი გვერდზე გადაუვარდა, თვალებში სინათლე დაკარგა. ასე გავიდა რაღაც წამები, მავრამ მას კვლავ ეგონა, თითქოს მთელმა საუკუნემ განვლო. მძიმე ტკივილები თანდათან შენელდა. ხატიჯე გონს მოეგო, მაგრამ რამდენიმე წუთს გაუჩებული იწვა. ტკივილების ბურანიდან ვერ გამოსულიყო და არ იცოდა რა მოხდა. ხმელ ბალახებში უეცრად რაღაც გაფაჩუნდა, სიცოცხლე დაბრუნებულ ფეხებზე სისველე იგრძნო, თბილი სისველე. წამოიწია. მაგრამ მას ოდნავ არ უგრძნია დედის სიხარული. ეს გრძნობა კარგახანია მისთვის აღარ არსებობს! ჩვილი ფრთხილად აიყვანა და წინსაფარზე დაისვა. მერე ჭიბლარი ჭვაზე დადო და ცელის ერთი მოქნევით მოკეთა. ჩვილს ხმა არ გაულია, თითქოს მორჩილების დუმილი დედისაგან დაჰყვა.



შემდეგ ქარჩუანტერი აგრილდა. ცოტა ხნის შემდეგ ქარჩუანტერი ხვილი წინსაფარში გახვია. ეს ჟავე მესუთ უკურ უკურ ბავშვს თავის წინსაფარში. ბავშვს ყველაზე მეტად ის ეყვარება, ვინც პირველად თავის ძელმანში გახვევსო. ხატიჯე ახლა სიყვარულზე ოღნვადაც არ ფიქრობდა, შეიძლება წინათ ეფიქრა, მაგრამ ახლა არა. ახალშობილი მკერდზე მიიქრა და სათიბის ზოლს დაჰყვა. ფლაშუნით მიაბიჯებდა და ჰყერელა კაბის კალთა ჰაერში ქანაობდა. ჩვილი ხელში ისე ეჭირა, თითქოს თავსაფარში გახვეული მჭადის ნატეხი ყოფილიყო. მერე, როგორც გაზაფხულის მზის ჭავლი ფერდობზე თოვლს გაალობს და ალაგ-ალაგ ია ამოიტვიფრება, ასე ხატიჯეს ჩვილის სხეულის სითბო მთელ ტანზე მოედო და ეს ვარდისფერი არსება გულთან მივიდა, იქ თავისითვის უჩინო აღგილი დაისაკუთრა, გააბა რაღაც უხილავი ძაფები და ოდნავ შეჩემიფებაც კი დედის გულს ნემსივით ჩხვლეტდა. რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო იკრავდა ჩვილს მკერდში. ესეც სხვა არაფერი იყო, გარდა სიცოცლის მოვალეობისა.

ხატიჯემ ჩვილი ტახტზე დასვა, ჭერზე გამოკიდებული აკვანი ჩამოაღო და წინსაფარში გახვეული ჩვილი შეი ჩაწვინა. აკვანი კედლისკენ მისწია და შუბლზე გადამსკდარი იფლი მოიშმინდა. ჭირკვზე ულონოდ დაეშვა, მაგრამ სულიც არ მოუბრუნებია, რომ ცეცხლი გააჩალა და მჭადი დააკრა. მერე პარმალში ფეხის ხმა გაიგონა. ცეცხლის ალი ლიცლიცებდა და კარებში არაფერი არ შეუნიშნავს, მხოლოდ ეს-ლა გაიფიქრა, მოვიდაო, და მთელ სხეულში რაღაც საშინელმა ტკივილმა დაუარა, თითქოს კვლავ მშობიარობა დაწყებოდეს. ტახტთან მილასლასდა, თავისივე კაბაში გაეხვია და ტახტზე ერთ კუთხეში მოყუფული მუთაქსავით მიეგდო.

— ხატიჯე, სად ხარ? — გაისმა ნაცნობი, ის ხრინწიანი ხმა.

— ჰმ!

კაცი სახლში შევიდა და ტახტისაკენ გაიხედა.

— ავად ხარ?

— ბავშვი... აი იქ...

— ბიჭია?

— ჰმ!

კაცი ცეცხლის პირს დაჭდა და ჩიბუხის ტენა დაიწყო.

— ვახშამი გაქვს?

— კი. მჭადი დაკრულია.

კაცმა მუგუზალი აიღო, ჩიბუხს მოუკიდა და სქელი, მღვრიე კვამლი ნება-ნება გააბოლო.



ԱՐՈՆԵ ՇԱՅԵՔՈՒԹԵ

Ո Տ

Ցենո Սյունելոտ աղվսոլա
 Ծյո, մինճոր-զելո, սյուրեծո.
 Խոլագ մոկչցեծա ծոլոյցեծ
 Եածո, լուսոյերո ցորեցեծո...
 Մաշեցազ հացոմուխուցեծո,
 Առ մոցիցուցեծո.

* . * *


Գալլոլոտ յիշոլցա լամեշլ յարտա,
 Մուցօն նուսլցեծի ցամոխցուլո.
 Տոհմուր, տրտոլցա, դարդարո լանճտա,
 Ունցեծա մլուրոյ, հոտմա, հացուլո,
 Ժոլթորցուլո աղվու հժոցեծո,
 Ինցուրո հալապ սեցացար եմոյրո...
 Կող քուգո ցանմարտուցեծո,
 Լամածո, իշմո լա մթցենոյրո.
 Վոն օւուս, յարո ցանցեծ ցարոնքուցա,
 Հոմ ցուլո լուլցաս ցալասիցուս,
 Լուգոնմա տրտոլցա, դարդո, լանճցեծո,
 Հոմ դասինօա.



ალექსანდრე ანაიძე

მ ა ს ტ უ მ რ ე!

მესტუმრე, კარი დაგხვდება ლია,
 მთათა ზურმუხტი გაუხუნარი,
 მოხვალ, დაგხვდები მხნე და გულლია,
 გასპინძლად იყავ თვითონ სტუმარი.
 მე სოფლელი ვარ, შენ — ქალაქელი,
 მაგრამ ერთი გვაქვს გზა და მიზანი,
 თუ სიხარულის მზე დამაკელი.
 ლდეს დააკლდება სხივი მზისანი.
 მოინახულე შენი სოფელი,
 რომ თანამგრძნობი აქაც გყოლოდე,
 გზა და მიზანი განუყოფელი.
 რომ ერთი იყოს ჩვენი ბოლომდე.
 ცას მივაწვდინოთ ჰანგი სიმღერის,
 გავუზიაროთ ურთერთს ფიქრები,
 უერთმანეთოდ დუმან სიმები.
 უერთმანეთოდ ჩვენ ვერ ვიქნებით.



პირ ჩამარა

მექოთნის ციფრული

მინდორში ჭარი დათარეშობს. მუჭამუჭა ისვრის ხმელ ფოთლებს გადაყვითლებულ ნაკვალევზე. აკაციის ხეებს ფოთოლი სცვივა. უვავები მიფრინავენ ღრუბლებში, მათი ყრანტალი მოასწავებს შემოღვამის მოახლოებას. ოროქლი იკლაკნება ნაცრისფერ ცაში.

წალი, მოძებნე ერთი ილლია ფიჩხი. შეუკეთე ცეცხლს! ლამდება. პირუტყეს სძინავეს სადგომში. კატები და ძალლები ექებენ თავშესაფარს. ეს ის ღროა, როდესაც ვახშის მოლოდინში ოცნებობ და ლაზლანდარობ, როცა ვაზის მოხრილი ტოტები იწვის ბუხარში და გრძელი ჩრდილები იღვიძებს დირებზე.

მე მინდა შენ მოგითხრო მექოთნე ვიდალის თავგადასავალი, მოგითხრო მის სიყვარულზე.

მისი სახლი არის მთის ძირში, იქ, საღაც მთავრდება მუხნარი. შენ შეგვიძლია ის დაინახო აქედანვე. თუ კი ფანჯარაში გადაიხრები. იქ რომ მიზვიდე, უნდა გადაჭრა სოფელი. თხემის წინ არის გზა, რომელიც ნაძვებს შუა მიღის. შეგვიძლია დაინახო სახლი, გრძელი და დაბალი, მის წინ ვაზის ფანჩატურია.

ზაფხულის ერთ საღამოს ვიდალი შეჩერდა მდ ეზოში. ცხელოდა, დახუთულ ჰაერში ხეები და ბალახები გარინდულიყო.

ვიდალმა ბევრი იარა სანოვაგე ტომრითა და გარისკაცის გამოხუნებული ფარავით. შუაღამე იქნებოდა, სოფელში რომ მევიდა. სოფელს ეძინა მოედანზე ჭალრების ქვეშ ჩუხხუხებდა შადრევანი, რომელიც თითქოს წყლის წვეთებს ითვლიდა. ეს მარტო ნაცნობი შადრევნის ხმა კი არ იყო, ეს იყო მისი ბავშვობის, განვლილი ღლების მოვნება, როცა გრძელ სკამზე გადამჯდარი და თვალდაახუჭული ყურს უგდებდა ჩანჩქერის ხმაურს ქვებზე. მაშინ მას ეჩვენებოდა. რომ იქ, დაბლა ქალები ითვლილნენ მარგალი-

ტებს, ასხამდნენ და შლიდნენ მარგალიტის ყელსაბამს.

არაფერი შეცვლილა. კიდევებჩამოტეხილი აუზის ირგვლავ, ერთგული თში ტოტებგადახლართული ხეების ქვეშ გრილოდა. ვიდალის შეუძლებელია მიეჩქარებოდა, მაგრამ რამდენიმე წამით მაინც შეისვენა შადრევნის ახლოს, მშობლიური სოფლის სურნელება რომ შეეგრძნო. მოედანს მოვარის შუქი დაკაშკაშებდა. ვიდალმა იცნო ეკლესის შესასვლელი, სკოლა, შენობა, სადაც სოფლის მერი ცხოვრობდა, პატარა სავაჭროები, თამბაქოს მაღაზია, ქ-ნ გალის გალანტერია, ფელისინის საყასბო.

ჰერში კამის, პიტნისა და ლელვის სუნი ტრიალებდა. ვიდალი მიწის სურნელებასაც გრძნობდა. ყველაფერი ეს დიდად სიამოვნებდა.

ეგვადაც კი არავინ იცოდა, თუ ვიდალი აქ იყო, ტყვეობიდან ერთ-ერთი პირველი დაბრუნდა და ახლა შინისაკენ მიეშურება მთვარის შუქით განათებულ გზაზე. ვინმეს რომ ეცნო იგი, ან მისი ხმა გაეგონა. შესაძლოა, დაეყვირა კიდეც: „მოდი აქ, ვიდალ, შენ ბევრი იარე, ალბათ, გწყურია. შეჩერდი ცოტა ხნით, ვილაპარაკოთ ხალხსა და ქვეყანაზე, სული მოითქვი“. მაგრამ არავის გაუგია მისი ჩამოსვლა, არც არავის დაუძანნია მექონისოფვის. და ისიც დაადგა თავის გზას. მან შეაჩნია, რომ მოსავალი იდრე აელოთ. ყურძენი ტკბილი იქნებოდა, ღვინო კი იშვიათი და კარგი. რაც უფრო უახლოვდებოდა მექონე თხემს, მიწის სუნი თანდათან ძლიერდებოდა და შინაურული ხდებოდა. აქ უკვე ნამდვილად მისი ოდის მიწა იყო, მისიანების მიწა. ეს იყო ყვითელი თიხა, რომელიც ვიდალების მოდგმაშ საუკუნეების განმავლობაში ძერწი.

მართალი რომ ვთქვათ, მორის ვიდალი ამჟამად მიწის მუშა უფრო იყო, ვიდრე მექონე. თუ იგი ხანდახან ძერწავდა თიხას, უფრო ფანტაზიისა და გართობისათვის. ეს ხელობა დაამთავრა მამამისმა ანდრე ვიდალმა, რომელიც 30-იან წლებში გარდაიცვალა. დიდხანს საქმეები ვერ მიდიოდა კარგად. სოფლის მეწარმის კოშკმა ვეღარ გაუძირო დიდი ქარხნების მეტოქეობას, თუმცა ვიდალების ქოთნები და ფინჯნები ცნობილი იყო ამ მხარეში. მაგრამ სახელი ხომ ვერ გამოგვებავს, თუ არაფერი იყიდება.

მოკვდა მოხუცი და დატოვა დაუმუშავებელი მიწები. დაბრუნდა თუ არა მორისი სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, მაშინვე შეუდგა მიტოვებული მიწების დამუშავებას. ზოგჯერ თიხის წარმოებითაც ერთობდა, გამოძერწავდა ხოლმე რომელიმე გლეხის სახეს და კედელზე კიდებდა ან ბუხარზე დებდა.

მორის ვიდალს ჰყავდა ორი ალსაზრდელი და და დედა. დედა ავადმყოფობდა. იგი ომის დწყებამდე მოკვდა. მორისმა ცოლი შეირთო და მას მოჰყვა დედა, რომელიც მათთან ცხოვრობდა.

მორის ვიდალის მეუღლეს ოდეტა ერქვა. გათხოვებამდე დედასთან ცხოვრობდა, ქალაქის შესასვლელში. ორივე ქალი ქირაზე მუშაობდა მინ-

დვრად. ოდეტა მიმზიდველი იყო, კარგი გარევნობის, სახელამაზი, მუწენიერი. თვალები წაბლისფერი ჰქონდა, გრძელი წამწევებით და მულტარალული. სოფელში სერიოზულ და ჭკვიან ქალად სოვლიდნენ. პიპლიოთეა

მორისი მას მეჯლისზე შეხვდა. შემდეგ სულ ოდეტას წრისკენ ისწრაფოდა და ეჭვი აღარ იყო, რომ გოგონა თავდაცწყვებით უყვარდა.

ერთ საღამოს, როცა მეჯლისიდან დაბრუნდა, დედას განუცხადა, ხელი ვთხოვე ოდეტას და ქალიც თანახმაა, მაგრამ სურს დედამისმა ჩვენთან იცხოვროს.

— მაშასადამე, მართალია, რაც მითხრეს, — უხალისოდ წაილუდლულა დედამ. — ოდეტამ მაინც შეძლო თავბრუ დაეხვია შენთვის.

— არა, არა, დედა, მასე არ არის. — შეესიტყვა ვაჟიშვილი.

— მოიქცი ისე, როგორც გესიამოგნება. ოჯახის უფროსი შენ ხარ. მაგრამ შენთვის სულ სხვანაირი გოგონა მინდოდა. მათ არაფერი მოეშვათ, წყვილი საბანიც კი. მე არ ვითხოვ მზითევს, ჩვენც არა ვართ მდიდრები...

რა უნდოდა ამ კეთილ ქალს? მიზეზი არ ჰქონდა ესაკვედურა მომავალი რძლისათვის. მორისის დედას მდიდარი რძალი უნდოდა. რადგან მცირეოდენი შემოსავალიც კი წინ წასწევდა ოჯახს და შეუმსუბუქებდა მომავალს.

შეიღმა წინააღმდეგობა გაუწია. ოჯახი მუშახელს მოითხოვდა. ოდეტა და დედამისი კი თავდადებული მშრომელები იყვნენ. მაშინ ვიდალის დედა შეეცადა სხვა მიზეზი შენახა.

— ამდენი ქალი ერთ ჭერქვეშ?! ეს ხეირს არ დაგვაყრის. შენ დარწმუნებული ხარ, რომ შენი დები შეეწყობიან ოდეტას და დედამისს?

მორისის უფროსი და დანაშნული იყო და მალე გაყვებოდა სოფელში ერთ ყმაწვილს. უმცროსი ჯერ ვერ გათხოვდებოდა. მორისის რომ უფრო მდიდარი ცოლი მოეყვანა, მაშინ არ გაუჭირდებოდა დისთვის მზითევი მიეცა.

მორისმა იქორწინა. ოდეტა დედითურთ დასახლდა მექოთნის ოჯახში. დაიწყო ახალი ცხოვრება. ვინც ფიქრობდა, ოდეტა მოიწყენდა იქ. შეცდა, პირიქით, მორისს უხაროდა, რომ ოდეტა ახალ და ნამდვილ ოჯახში თავს ბედნიერად გრძნობდა. ქალები ცდილობდნენ ოჯახში თანხმობა ჰქონოდათ.

რამდენიმე წელი უდავიდაროდ გავიდა, ვიდალის ოჯახი გამოცოცხლდა. მორისმა იყიდა ულელი ხარი და იარაღები წესრიგზე მოიყვანა. უფროსი და დაქორწინდა და დატოვა სახლი. საცხოვრებლად მეზობელ სოფელში გადავიდა, რომელიც თორმეტიოდე კილომეტრზე იყო. ქორწილი ორ დღეს გაგრძელდა. ეს მოხდა 1937 წლის ბოლოს.

ოდეტამ მკვდარი ბავშვი შობა. ამან დიდად დაამწუხრა მორისი. მან შეიყვარა ახალი ხელობა — მიწის დამუშავება და ოცნებობდა ლამაზ სახლზე და ბავშვების აღზრდაზე. იმედი ჰქონდა, მალე შვილები მხარში ამოუდ-



გებოდნენ. იგი ხომ ადრე დაქორწინდა! მორისის დედამაც ძალიან განეცხადა და ბავშვის სიკვდილი. საბრალო ქალი გრძნობდა სიკვდილის მოაფლიანებულად არც შემცდარა, გარდაიცვალა 38 წლის ზამთარში.

სახლში ატმოსფერო შეიცვალა. მაგრამ ამას ჯერ კიდევ ვერ ამჩნევდა მორისი. ოდეტა დიასახლისი გახდა. რასაკვირველია, ამის უფლება ჰქონდა. უმცროსმა დამ, თუმცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ეს იგრძნო. მორისი ექებდა თანხმობას. თუ შინ არ იყო, ქალები კამათობდნენ. გამოჩნდებოდა თუ არა მორისი, ისინი მშვიდებოდნენ. მორისმა შეამჩნია ეს სიძულვილი, მაგრამ დიდად არ შეწუხებულა.

ქვეყნად დიღი ცვლილებები მოხდა. ეს იყო ომი და მობილიზაცია. მორისი მში ვარწვეის. ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა და თბილ და ლამაზ საღამოს აჩქარებით ჭრიდა სოფელს, მალე რომ ენახა სახლი და ცოლი, რომლისგანაც აგრე ერთი წელი იყო არაფერი ესმოდა.

ვიდალს არასოდეს დაავიწყდება გამგზავრების დღე. იმ წელიწადს ვენახს კარგად ესხა. მტევნები შეწითლებას იწყებდნენ. ვაშლის ხეები იხრებოდნენ სიმძიმისაგან.

და ყველაფერი ეს უნდა მიეტოვებინა: ცოლი, ეს მიწა, მზად რომ იყო უხვი მოსავალი მოეცა, ოჯახი, რომელიც ძლიერ წამოაყენა ფეხზე. ვიდალი ფიქრობდა მხოლოდ რამდენიმე კვირით ან თვით მომიწევს მათი დატოვება და ჩემი არყოფნის დროს საში ქალი შეინახავს ოჯახს. ეს მათ შეეძლოთ.

გამგზავრების დღეს ვიდალი განთიადისას ადგა. გავიდა ეზოში. გაისე-ირნა. შევიდა ძველ სახელოსნოში, სადაც ვიდალების შთამომავლობა თხებას ძერწავდა. მისი ხელსაწყო კუთხეში იდო. იგი ძველ ხელსაწყოებს არასოდეს შეხებია. ვიდალი მიუახლოვდა დაზგას და სამჭედლოს. მიესიყვარულა ხისა და რკინის მტევრს. თუ უწინ მორისი მხოლოდ კვირაობით შემოღიობისა და სახელოსნოში გართობის მიზნით და ძერწავდა სახეებსა და ფინჭნებს, ახლა, გამგზავრების დილას ამ იარაღებს სულ სხვა თვალით უცემროდა.

მოვარის შუქი დაკაშებდა ეზოს, როდესაც ვიდალი სახლისაკენ გაემართა. ყვავილები აფრქვევდნენ საამო სურნელებას.

მორისი შეჩერდა. ზურგჩანთა აზრმიუცემლად შეისწორა და უცებ ლი-მილი მოერია. ბოლო მოელო ყველაფერს, ამ ზურგჩანთებს. გაჭირვებას, მოლოდინსა და მარტოობას, კოლონიებს, ბანაკებს, სიცივესა და შიმშილს, ბომბებს.

სახლში ბაიბური არ ისმოდა. ეძინა სახლსაც და ცხოველებსაც. არავინ იცოდა, რომ ვიდალი დაბრუნდებოდა, რომ იგი მოღიოდა შუაგულ მმიღან. რათა მიეაღესებოდა კარის ზღურბლს. არც ერთი შეყეფება. ალბათ, ძალიც სადმე დახეხტებოდა.

სავსე მოვარე სეირნობდა მთის წვერზე. მორისი გაემართა კარებისკენ.

ჭერ კიდევ შუა ეზოში იყო, როცა კინაღამ დაიყვირა: „ჰეი, ოჯახო, ოჯახო, ეს მე ვარ, მორისი, მე მოვედი“. მაშინ ფანჯარა გაიღებოდა და ოდენტერულები მოიხერებოდა ფანჯარაში, ჯარისკაცის უცხო სილუეტი. რომ დაუწერეთ კუჭუქი შენა ხარ, ღმერთო ჩემო, ეს შენა ხარ? ჩამოხვედი, როგორც იქნა!“

ქვის ორი საფეხური და აი კარებიც. მორისმა იგრძნო ძველი ბალახისა და სახლის კვამლის სუნი. შორს ყრუდ და გულისწამლებად ყიოდა არწივი.

მან დააკაკუნა. დააკაკუნა კიდევ და დასძინა:

— ოდეტ, ოდეტ. ეს მე ვარ, მორისი...

მან ყური მიადო საკეტს. ჩამიჩუმი არ ისმოდა. სახლში არავინ იყო მტრისი განაგრძობდა კაკუნს და ყვირილს. მისი მუშტების ბრაგუნი და მკვეთრი ხმა ექოს გამოსცემდნენ ლამის წყვდიაღში. ბოლოს შეწყვიტა კაკუნი და მთის პეიზაჟს მიაშტერდა. ფოთლების შრიალმა და მწერების ბზუილმა ხელახლა დაიპყრო სამყარო.

მორისმა ზურგჩანთა მოიხსნა და ზოლტბლის ქვაზე ჩამოჯდა. ბოლო წერილში ცოლი ატყობინებდა, ყველაფერი კარგადაა. შენი და ჭერ არ გათხოვილა. ოდეტა იწერებოდა, ხარები გავყიდე, რადგან საკვები არსად არის. არც სასუქი იშოვებოდა და ვენახიც ცუდ მოსავალს იძლეოდა. მაგრამ ვის არ უჭირდა ამ დროს?

ვიდალს უნდოდა შეემოწმებინა ფაქტების სინამდვილე. ცხადი იყო, რომ შინ არავინ იყო. მორისმა მიაშურა გომურს, მოაბრუნა სახელური; კარი არ გაიღო. უცებ მოაგონდა, სად ინახავდნენ გასაღებებს. ეს იყო ხერელი აგურის ქვეშ, ჭის ახლოს, ბალის მარცხენა მხარეს. ბალის შესასვლელს ფარავდა მაღალი ბალახი და ხეები და სამალავად ვარგოდა. ვიდალმა სამივე გასაღები იპოვა: სახლის, გომურისა და საკუჭნაოსი. გასაღებები ჟანგა დაფინარა.

მორისი გასამართლებელ საბუთს ეძებდა. თუ ქალებმა მიატოვეს ბინა, მათ სამისო საბუთიც ექნებათ. შეიძლება დამ იქორწინა და ოდეტა ჩავიდა სოფელში საცხოვრებლად. მაგრამ რატომ? დაუანგული გასაღებები მოწმობდა, რომ სახლი დიდი ხანია გამოკეტილია, შეიძლება მთელი კვირები ან თვეები. იქნებ აქ საშიში იყო დარჩენა? გერმანელები? პარტიზანები? უკველია, იგი ყველაფერს გაიგებს.

მორისი სახლში შევიდა. მტვერი, ობი, საშინლად ცივი და უმოძრაო ჰაერი, არეულობა და უკაცრიელობა ცხადყოფდა, რომ ამ სახლში დიდიხანია არავის უცხოვრია. იქნებ გაქურდეს? არა, ავეჯი ადგილზე იდგა. თეთრეული გაყვითლებულიყო. მართალია, თეთრეული ეცოტავა, მაგრამ თავი დაიმშვიდა, შეიძლება და გათხოვდა და წაიღოო.

საწოლ ოთახშიც ყველაფერი არეული იყო. მორისმა გააღო კარადა, კომოდის გარდერობი, ნახა თავისი საქორწინო კოსტიუმი, ძველი საცვალო და ფეხსაცმლები. გარდერობში ოდეტასი არაფერი იყო: არც ქვედაწელი,



არც კაბა, არც საცვლები. გამქრალიყო სათამაშოებიც კომოდზე. მათის ქო-
რწინების სურათი, საწოლის თავთან რომ ეკიდა, მტვერში ეგდო ჟილებითეკა

მორისი სამზარეულოში ჩავიდა. გამოალო დარაბა და ღამის ჰე-
მოუშვა. განთიადმა იგი ძველ მაგიდაზე დაყრდნობილი და პაპიროსის
ბოლში გახვეული იპოვა. მორისი ყოყმანობდა, გასულიყო თუ არა სოფე-
ლში და თავისითვის იმეორებდა: „მე გიფი ვარ, გიფი“. იგი უფროხოდა თანა-
გრძნობით ძლიერ გაღიმებული სახეების ხილვას: „ოჲ, ჩემი საწყალო ვი-
დალ, ბედი არ გქონია“.

და მაინც ასე მოხდა. პირველ სახლშივე, დიუპლანები რომ ცხოვრობ-
დნენ, სიმართლე უთხრეს. მათი ვაჟიშვილიც ტყვედ იყო და ჯერ არ დაბ-
რუნებულიყო. ოჯახის მამაშ გულწრფელად მიიპატიუა ვიდალი.

— როგორ? შენ არ ვისადილია! წუხელ ჩამოდი. უეჭველია, პირვე-
ლი შენ დაბრუნდი სოფელში. ტულუზაში არ დაგავავეს?

ვიდალმა აუხსნა, ოჯახის ნახვა მეჩქარებოდა, რაც შეიძლება მალე
მსურდა ჩამოვსულიყავი. სადგურზე ვიშოვე ოლქამდე მომავალი სატვირ-
თო მანქანა, იქიდან კი ფეხით წამოვედიო.

მამა დიუპლანმა თავი დახარა და ყრუ ხმით მოუთხრო:

სოფელმა მალე იგრძნო, რომ თანხმობა აღარ იყო ვიდალის სახლში.
ოდეტა და დედამისი აბსოლუტური მბრძანებლები გახდნენ ოჯახში. საჭი-
როდ ჩასთვალეს აეყვანათ დამხმარე და ჯერ ბიჭი დაიქირავეს. ბიჭმა მალე
მიატოვა ეს მხარე. იგი მამავაცმა შეცვალა. ი, ამ ღლიდან დაიწყო ჭორაო-
ბა. დედამისი, ეჭვი არ არის, ხელს უწყობდა ოდეტას. ვიდალის დისტვის
შეუძლებელი გახდა არსებობა. დიდიხანია მან სიტყვა მისცა ერთ ახალ-
გაზრდას. ეს ყმაშვილიც ტყვედ იყო. ბოლოს მოახერხა გაქცევა და იქორწი-
ნეს. 43 წლის ბოლოს დამ დატოვა მექოთნის სახლი. ვიდალს არაფერი გა-
უგია ამ ქორწინებისა. დამ მისწერა? ეს მორისიმა არ იცოდა. ამ ხნის მანძი-
ლზე მან ბევრჯერ გამოიცვალა რაზმი. მუშაობდა პამბურგში, ქარხანაში,
შემდეგ ერთ-ერთ ფერმაში გადაგზავნეს, იქიდან ისევ ქარხანაში. თითქმის
მთელი წელიწადი იყო, რაც თავისიანებისა არაფერი იცოდა. — მიირთვი,
მიირთვი. — ეუბნებოდა მოხუცი დიუპლანი და ვიდალს შაშხს აწოდებდა. —
ჩვენი ვაჟისათვის შევინახეთ, მაგრამ შენ ჭამე. ეს სულერთია.

ვიდალი მაშინალურად ჭამდა და თან უსმენდა ამ კეთილ კაცს. მოხუც-
მა რამდენიმე ჭიქა ლვინო დაღია და ალაპარაკდა. როდესაც უმცროსი და
გათხოვდა, ოდეტა, მისი საყვარელი და დედამისი დაეპატრონენ ოჯახს.

მამა დიუპლანმა ხელახლა დაიწყო:

— სირცევილი, მაგრამ შენ კი არა, მორის, სირცევილი მათ. შენ იქ
იტანჯებოდი ტყვეობაში, ცოლმა კი შენს სახლში სხვა შემოიყვანა. ბევრ-
ჯერ მიფიქრია, მეოქვა მათვის რაც გულში მქონდა, მაგრამ ეს ჩემი საქმე
არ იყო. შენ ჩემს სახლში დავაუკაცდი. მე ვიცნობდი მამაშენს და, საერ-

თოდ, შენ თვითონ იცი, ყველას თავისი საზრუნავი აქვს; სირცე^{კუთხული} მათ.
თითქოს იგრძნეს კიდეც და აღარ ჩნდებოდნენ. აი ტყვის ცოლშეშლებისადა
ბოლოს.

კიდალი თავს აქნევდა.

— ეს შემთხვევის საქმეა. შენ არა ხარ მარტო. სხვა მოიყვანე.

— რატომ წავიდნენ ისინი?

— შენი უფროსი და და სიძე ჩამოვიდნენ და მათ ჭკუა ასწავლეს. არა-
ვისოდის არაფერი უთქვამთ. ის ალფონსი არაფერს წარმოადგენდა. ზარ-
მაცი იყო, იგი ვერც კი შეინარჩუნებდა შენს მიწებს. მე ვამბობდი, რომ
შენი უფროსი და ავიდა იქ, არ ვიცი რა უნდა ეთქვა მათვის. ერთი თვის
შემდეგ მათ ბარგი შეკრეს და გასწიეს. როგორც ამბობენ, ისინი ტულუ-
რაში წავიდნენ. მეტი არაფერი ვიცი. ასეთ საკითხზე ლაპარაკი არ მიყ-
ვარს. ხალხი პირველად ბევრს მიეღ-მოედებოდა და აი. როგორც ხედავ,
ესაა ყველაფერი, რაც შემეძლო მეთქვა. შენი სახლი აქაა. მიწები ხელუხ-
ლებელია.

მორისმა თავი ხელებში ჩარგო და უხმოდ ატირდა. მოხუცი დიუპლა-
ნი უყურებდა მას და წვერს იკვნეტდა.

ამგვარად მექოთნე ვიდალი დაუბრუნდა თავის დაცარიელებულ
სახლს. დიახ, სახლიც ეული იყო და ვიდალიც. ძალლიც კი არ ყეფდა ეზო-
ში. არც ერთი ცოცხალი არსება, არაფერი, გარდა გარეული ფრინველები-
სა, ღამურებისა და ბუებისა.

დიუპლანები მას თვალ-ყურს ადევნებდნენ, რადგან ეშინოდათ. არა-
ფერი დაეშავებინა თავისი თავისითვის. მათ გააფრთხილეს მორისის ლები
და მოიწვიეს. ვიდალმა იყუჩა ცრემლების ღვრის შემდეგ. თანდათან შეუ-
დგა შრომას. ხედავდნენ, როგორ აამაღლა ბალის ბარიერი. ბარავდა და
თხრიდა ბალას.

ხალხს მორისი მოწყენით ულიმოდა, თითქოს შეეგუა თავის მდგომა-
რებას. ბევრს ფიქრობდა. დიდხანს უხმოდ უჭვრეტდა ბუნებას. დიუპლა-
ნებმა მასცეს ლეკვი, ცოტა რამ საკურდლისათვის და საფრინველე.
დიუპლანების შვილიც დაბრუნდა და მოხუცი ცდილობდა კავშირი ჰქო-
ნიდათ მექოთნესთან.

მალე მორისის ორივე და ესტუმრა ქმრებითურთ. მათ აუხსნეს საქმის
ვითარება. მაგრამ ვიდალმა ისეც მშვენივრად იცოდა ყველაფერი. მისი
ცოლი გაჰყვა სხვას. რა ეთქმოდა მეტი. ვიდალმა ცუდი არჩევანი გააკე-
თა. მწარედ აგონდებოდა დედის სიტყვები. საბრალო ქალი მართალი იყო,
როცა ეუბნებოდა, ოდეტა არაა სერიოზულიო.

— არაფერი დაგიჭარგავს, ჩემო შვილო,—ეუბნებოდა მოხუცი დიუპ-
ლანი. — შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და მდგომარეობაც კარგი გაქვს.

სახლი არსად წასულა. მიწებიც ადგილზეა. შეგიძლია სხვა დრასახლი
მოიყვანო.

ვიდალი მხრებს იჩეჩდა და არავინ იცოდა რას ფიქრობდა? ცოტყველი
აღარ ჩნდებოდა. კვირაში სამჯერ მეფუნთუშე დებდა გოგორა პურს ქვე-
ვით, გზაზე. ნავთი, მარილი და სხვა აუცილებელი საგნები დიუპლანის
ცოლს მოჰქონდა. მალე მორის ვიდალმა რაღაც გაურკვეველი გაბრაზებით
ისევ მოჰკიდა ხელი მიწის დამუშავებას. დიუპლანებმა ათხოვეს ხარები და
მოხუციც მივიდა ხელის წამოსახრავად.

— ეს ძალიან კარგია, მორის, — ეუბნებოდა მოხუცი. — გაისისათვის
ყველაფერი წესრიგზე იქნება, მაგრამ მარტო ხომ ვერ იქნები. უნდა მოა-
გვარო შენი პირადი საქმე. მოითხოვე განქორწინება.

მამა დიუპლანი ამჩნევდა, რომ მორისი ხშირად იკეტებოდა სახელოს-
ნოში, მაგრამ არ უკვირდა. ეს ვიდალების ძველი ხელობა გახლდათ. მო-
რისს ჩვეოდა თიხის ძერწვა და დიუპლანსაც ბევრი რამ ჰქონდა ბუხრის-
თავზე მორისის გამოძერწილ-დახატული.

ერთ კვირა დღეს, შუადღისას, მოხუცი დიუპლანი საქოთნეში შევიდა
და ჩუმად შეაღო სახელოსნოს კარი. იგი შეესწრო ვიდალს, როცა თიხის
ამუშავებდა. კეთილი კაცი მიუახლოვდა; ვიდალი იჭდა ფანგრის წინ, მო-
ხუცისკენ ზურგით. როცა დიუპლანი იხლოს მივიდა, ვიდალი შეკრთა და
შეეცადა დაემალა ნამუშევარი. მოხუცმა ყურადღება არ მიაქცია.

— მე გხედავ, რომ შენ ერთობი, — თქვა მან. — რას გვიმზადებ?

— ო, ეს არაფერი არ არის, — წაიღულლუდა ვიდალმა.

— ეს თავია. შენ ისევ დაიწყე ძველი ხელობა?

მოხუცმა თავი შეიკავა და არ შეაქო მორისი, რადგან შეიცნო გამოქან-
დაკებული ქალის თავი. არა, არ ცდებოდა. ეს ოდეტას ქანდაკება იყო. იმ
ქალისა, მექოთნეს რომ უღალატა და მიატოვა. მოხუცმა არ იცოდა რა ეთქ-
ვა.

მორისს ყოველთვის უყვარდა ოდეტა; თავის დაცარიელებულ სახლში
ყოველთვის ხედავდა მის სილუეტს. სამზარეულოს ფანგარაში, ფანჩატუ-
რის ჩრდილში მზე ასხივოსნებდა ამ უჩინარი ქალის შიშველ მკვლავებს.
მისი სახე ჩნდებოდა ბაღის შესასვლელში, ცაცხვების ქვეშ; გრძელ ღმევებ-
ში ვიდალს ელანდებოდა ოდეტას ლამაზი სახე, სალუქი და გასხივოსნე-
ბული. ვაჟი უწვდიდა ხელებს, ეხებოდა მის თმებს; ქალის მოყვანილი
მხრები ქრებოდა მის აკანკალებულ თითებში და, ბოლოს, მექოთნეს აღა-
რაფერი რჩებოდა, აღარაფერი, მხოლოდ გამოსახულება, ოცნება...

ვიდალს მუდამ უყვარდა ოდეტა და ვერ ამხელდა. მამა დიუპლანსაც
კი ვერ უმხელდა; იგი მთელი მონდომებით ამუშავებდა მიწას, ხოლო გუ-
ლში ფაქიზ გრძნობას ინახავდა. ვერავითარი დაღლილობა ხელს ვერ შეუ-
შლიდა ოცნებაში.

„შენ დაქორწინდები, — ეუბნება შეზობელი, — შეირთავ  და ყველაფერი მოწესრიგდება!“ ვიდალი არ უპასუხებდა. გულისტანის ში უზილავი ზმა ჩასახოდა: „ვერ შემოვა სხვა ქალი ამ ოჯახში, ჰის უკან მდიდრებული ვიწყებია, ვერც ვერასოდეს დავივიწყებ“. ერთ საღამოს მორისი შევიდა თავის სახელოსნოში, რაღაც ექსტაზით შეპყრობილი. ოცნება აღარ ქრებოდა: მან აღო თიხა, სასწრაფოდ მოამზადა და დამშვიდდა. სახე, თითქოს ცოცხალი, აღიმართებოდა მის წინაშე.

მორისის ხელები ამუშავდა. ყელი და მხრები გამოძერწა, შემდეგ თმები და სახე. მალე თავი და მთელი ბიუსტი. დაუღალავად მუშაობდა. დიდხანს მოუნდა ტუჩების გამოძერწვას. დრო და დრო შეისვევნებდა, თან უკან იხევდა, რომ შორიდან უკეთ შეემოწმებინა ნამუშევარი, შემდეგ ისევ განაგრძობდა.

იმ კვირას, როცა მამა დიუპლანმა ნახა ქანდაკება, ვიდალმა თავის ოთახში გადაიტანა იგი და საწოლის თავთან მოათავსა. ეს იყო მისი ცოლი. იგი ასებობდა, იგი ცხოვრობდა მის ჭირქვეშ.

დალამდა. ჩრდილმა ჭირის დირქები დასტოვა და ბიუსტი ჩრდილებში გაეხვია. იდაყვზე დაყრდნობილი ვიდალი თვალმოუშორებლივ უყურებდა მისი სიყვარულის გამოსახულებას.

ძველი ხელობა დაეხმარა გულის ამუშავებაში.

წინათ ვიდალები თაობიდან თაობამდე ამზადებდნენ მარტოლენ ქოთნებს და არც უფიქრიათ, თუ ერთ დღეს მათი რომელიმე ნაშიერი გაერთობოდა ასეთი სასიამოვნო და საშინელი თამაშით. კარგი თიხა გადაიქცა სახედ. იგი ემსახურებოდა საბრალო ერთგულ შეყვარებულს.

ზოგჯერ ვიდალს თითქოს უნდოდა განედევნა ეს ოცნებაც და ეს გართობაც. „ოჲ, მე გიყი ვარ, — ფიქრობდა ის, — გიყი ვარ, ასე იტყვიან სოფელში. იტყვიან, რომ შევიმაღლე. განა მამა დიუპლანი მართალი არ იყო? იგი მიპოვნის ქალს, რომელიც იცხოვრებდა აქ, ჩემთან, მაგრამ სხვა?...“

სხვა? სად იყო ის სხვა? მორისს არასოდეს მოუწადინებია მისი ნახვა, მდგომარეობის შეცვლა.

იგი ისევ შებრუნდებოდა ხოლმე ფანჯრისკენ და სახე ისევ ცოცხლდებოდა ჩრდილებს შორის. ვიდალი თავს რგავდა ხელებში და ცრემლები ქუთუთოებს უწვავდა. „როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარს“, ღმუოდა იგი.

მამა დიუპლანის გარდა, არავის უნახავს ქანდაკება. არავინ იცოდა, ვიდალმა დაამსხრია იგი თუ შეინახა.

ქანდაკება ძალიან ლამაზი იყო და ოდეტას ჰგავდა. მართალია, მამა დიუპლანი დიდად დახვეწილი გემოვნებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იმწუთშივე შეიცნო ოდეტას ლამაზი ქანდაკება, ეს იყო მისი თმები, მისი



ტუჩები, მისი ნაზი ცხვირი. ვიდალი მეხსიერებაში ინახავდა პრინცესაში მიუღიათება
ცხადად ხედავდა მას და შეეძლო მისი ყოველი ნაკვთის გამოიძერწვა.

მექოთნის სახლი იქვეა, როგორც კი ნაძვნარს გაივლი. მას „საქოთ-
ნეს“ ეძახიან და მექოთნები, იქ რომ ცხოვრობდნენ, ყვითელ თიხას ხე-
ლით ამუშავებდნენ.

იმ კუთხის ყველა სახლში იპოვი საწვნე ქოთანს, წყლის ჭიქს და
ვიდალების მოდგმაზ რა იცოდა, თუ ერთ-ერთი მათგანი თიხის ბიუსტში
მოათავსებდა გულს; როგორც ხედავთ, იყო გული იმ ქანდაკებაში — მო-
რისის გული. მასში ჟღერდა მისი ყრუ და მომთმენი სიყვარული.

მხოლოდ სიყვარული...

შშვიდი და დიდი ღამე ფარავდა მთებს. სავსე მთვარე ანათებდა. ღა-
მის წყვიდიადში გაისმა ჭოტის შემაზრზენი კივილი. განთიადისას ქარი ამო-
ვარდა... გათენებამდე ვიდალი ფხიზლობდა თავისი სიყვარულის ქანდაკე-
ბასთან. ფანჯარა იღებოდა, ხმაური და ღამის სიმღერა იჭრებოდა ოთაში.

ქარი დაქროდა სიმინდებში. ქარი არხევდა ბარიერებს, მაგრამ არა —
ეს არ იყო ქარი, ნამდვილად არ იყო. ვიღაც მოდიოდა გზაზე.

ვიდალი ადგა და ფანჯარაში გადაიხედა. დღის სინათლეზე შეამჩნია
თავისი ცოლის სახე. იგი ცოცხალი იყო; თიხა გაცოცხლდა. ეს არ იყო
ოცნება ან მაგიური საგანი, ნამდვილი ქალი მოემურებოდა სახლისაკენ.
ოდეტა ეზოსთან იდგა და ხედავდა ფანჯარაში გადმომდგარ მექოთნეს.

— ოქ! აი შენც! — ჩაილაპარაკა მორისმა. — აი შენც... — იგი მიბ-
რუნდა, ოთახიდან გაიჭრა და სწრაფად ჩაირბინა კიბეები.

ახლა მას მკვლავებში მოემწყვდია ცოლი. მეორე გული სცემდა მის
გულთან. იგი არაფერს ეკითხებოდა. ოდეტა დაბრუნდა!

შეხედე, იქ, მაღლა მთებში, აყაციისა და ნაძვის ხეებს რომ გაივლი,
სახლია აღმართული. ეს არის მექოთნე ვიდალისა და მისი სიყვარულის-
სახლი.

ფრანგულიდან თარგმნა ცისანა გეზარიშვილმა.





რასელ რზა

უსახელო ლექსი

მზე თავს არ მოიკლავს —
რაღა უჭირს მას!
მთვარე სხივს ატანს,
ღამე ოქროს გავს.
მაგრამ თუ ეს ღამე
თვალს უფრო აამებს —
ესე რა მზის ბრალია?
რა მთვარის ბრალია?
ყველაზე ბასრი ხმლით
ვერ შეძლებ წყლის გაჭრას —
რაღა უჭირს მას!
ყველაზე ბასრს ხანჯალს,
ქვიშით გატეხილ ხმალს
ფსკერზე ინახავს.
მაგრამ გულს თუ დაკრეს
სიტყვა, არა ხმალი —
ეს გულის ბრალია?
ეს სიტყვის ბრალია?
ილხენს გაზაფხული —
რაღა უჭირს მას!
ნარგიზი, ყაყაჩო,
ია გულგახსნილი
დაუმშვენებს გზას.
მაგრამ თუ ფოთოლი
ყვითელი, ობოლი

წვრილ ღეროს მოწყდება —
 სიკვდილის ბრალია?
 ანდა გაზაფხულის?
 მაგრამ თუ ლამისას
 ყაყაჩოს დაისრავს
 ძლიერი ქარი,
 ვისია ბრალი,
 სუსტი ყაყაჩოს?
 თუ მძლავრი ქარის?
 ვიფიქრე: ოცნება!
 რალა უჭირს მას!
 არც ზღუდე, არც ვნება,
 არც საზღვარი აქვს.
 შორეთს თუ სიმაღლეს,
 სიზმარს თუ სურვილს,
 წლებსა თუ სასწაულს
 ყველას გვერდს აუვლის.
 მაგრამ ვეება ლოდად
 ცხოვრება წინ წამოდგა.
 ვთქვი: არც ოცნება, მთვარე,
 არც გაზაფხული, ქარი ——
 ყველგან, შინ თუ გარეი,
 მხოლოდ ჩემია ბრალი.
 და წამილო ფიქრია,
 გულმა კი ეს მითხრა:
 არ მისაყველურო
 და არ დამემდურო!
 სარკე ხომ არა ვარ
 ან წყლის ზედაპირი,
 რომ არც ზიზღი ვიგრძნო
 და არც სიყვარული,
 ისე ავრეჭლო, ბედად
 ვინც კი ჩამომხედავს!

თარგმანი 6. მალაზონიამ.



ლავაზები ძიმისგარიშვილი

ჩემი სამეცნ

რა დროს დარდია, დავიფერთხოთ მელანქოლია,
ათრთოლებული გულით ვხვდები მზის გამოჩენას.
თუმცა ჭერ რა ვარ, რამე დარდი მეც ხომ მქონია,
თუ კაცი ვარგა, დაკოდილი გულიც მორჩება.

კლდეებს აცოცავ?! — იo ახვალ იმ მაღალ მთაზე,
მერე გამჭრიას ღიდ თვალებით შორსაც გახედავ.
მე ვინ მაჩუქებს წუთისოფლის ღიდ სილამაზეს,
თორემ სულ ჩემთვის..
განა მართლა ჩემთვის გავხვეტავ?!

წუთისოფელო, იყავი სულ ნაზი და მშვიდი,
შენს სინედლეში დახარბებით მინდა ჩავეფლო.
ჩემი ბილიკი იმ მაღალი მთებისკენ მიდის,
სალოცავი და უსაზღვროა ჩემი სამეფო.

აქ, უვავილებთან

აღარ მყავს... სევდამ გული გამიპო,
ჩემს მთას ნისლებმა გადაუარა...
— აქ დასვენეთ ჩემი მზის კუბო
აქ — ყვავილებთან! გესმით თუ არა?! —

ჯერ კიდევ მინდა...

ჯერ კიდევ მინდა მე ყოფნა ქვეყნად,
ჯერ ხომ არ მისგამს ვნების ზედაშე.
ნეტავ მაქცია იმ მთების ღმერთად
და იქ დავსახლდეთ მხოლოდ მე და შენ.

* * *

მინდა ალდგომა, ელვა და ფეოქვა,
ისე რიყეზეც ხომ ჰყრია ქვები.
თუ კი იქნები, იყავი ღმერთად,
თუ არა, მაშინ სულ ნუ იქნები.
ცოცხლობ, იცოცხლე, მოკვდი ძალუმად,
კარგ ყმის სიკვდილი ვინ არ ინატრა.
ისე ძალლიც კი ჩვდება ძალურად,
ღირსეულობა მისი ვინა თქვა.

* * *

გული მაძალებს, როგორ არა ვთქვა,
ვცლი, ვერ დავცალე, აღარ ამოჰქრა.
მეც ვაუსავით ვითხოვ ჭიხვის რქას,
რომ სიმღერებად დარდი ამოვთქვა.

* * *

გამომაღვიძა შენმა ფრთხიალმა,
კიაფობს შენი მკერდი მერცხალა,
და ვნანობ: ნეტავ, ტრფობის ფიალა
ასე აღრეულ არ დამეცალა.

1930-1933 წ.წ.





სევერიან გელეაში

ო მ გ ა ღ ა ხ ე ღ ი ღ ი

შარშან გაზეთ „ქომუნისტის“ 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ძმაღშეფიცულთა შეხვედრა“. იგი მოგვითხრობდა ომის ვეტერანთა ერთი ჯგუფის შეხვედრას, რაც იმ დღეებში თბილისში მოეწყო. ოცდაექვს ომგადახდილს ერთად შეუყრიათ თავი და რამდენიმე დღე დღე გაუტარებიათ თავის საყვარელ გენერალ თ. ზახაროვთან. წერილში მეტწილად სწორედ ამ გენერალზე იყო ლაპარაკი. მაგრამ ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ადგილმა:

„გენერალი დაკვირვებით ათვალიერებდა თვითეულ მათგანს, — წერდა გაზეთი. — უცებ წამოხტა, ვლადიმერ მოქერიასთან მოვიდა, გულში ჩაიკრა და უთხრა:

— აა, ეს შენა ხარ, ვლადიმერ? გიცანი, ქართველო, გიცანი, შენ არ იყავი შარშან პიატიკორსკში რომ მესტუმრე და გამაგებინე თქვენი

კეთილშობილური განზრახვა! ეს ყველასათვის მისაბაძია. დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ უსაზღვროა სამხედრო ოჯახში ერთიმეორის სიყვარული და პატივისცემა. ამას დღეს კიდევ უფრო ნათლად ვხედავთ!

ვლადიმერ მოქერიას დიდი ხანია ვიცნობ, ხშირად შევხვედრივარ ჩაქვში, ბათუმში, მაგრამ არ ვიცოდი, თუ სამამულო ომის მონაწილე იყო. რამდენიმეჭერ გადავწყვიტე მენახა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მოვახერხე.

და აი ჩვენ ერთად ვზიგართ. იგი სხვებისაგან არაფრით გამოირჩევა. დაუინებით ვაკვირდები მის ყოველ მოძრაობას: დინჯი, მშვიდი, ტქბილი მოუბარი, საშუალო ტანის, მხარბეჭიანი. მას ვერ ნახავ პირშექრულს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს არავითა-

რი ვაჭირვება არ გამოევლოს.

— თქვენ ხართ ის ვლადიმერ მოქერია, რომელიც შარშან თბილისში ომის ვეტერანთა შეხვედრაში მონაწილეობდა? — ვკითხე, ცოტა არ იყოს ეჭვით, ჩემს ძველ ნაცნობს.

— დიახ! — ამ ერთადერთი სიტყვით გამცა პასუხი, ოდნავ წამოწითლებულ სახეზე ცხვირსახოცი გადაისვა და გაჩუმდა.

„საოცრად სიტყვაძუნწი ყოფილა“, გვიფიქრე და აღარ გამკვირვებია, რომ მასზე ბევრი არაფერი ვიცოდი.

* * *

1938 წელს ვლადიმერ მოქერიაზ ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის საშუალო სკოლა დაამთავრა, მაგრამ სწავლის გაგრძელება ვეღარ მოახერხა და მშობლიურ სოფელ ჩომეთში დარჩა. მამას აწუხებდა შვილის ბედი, მაგრამ რა ექნა, მრავალშვილიანი ოჯახი მას შეჰყურებდა.

გამოხდა ხანი. ვლადიმერმა თვითონ სცადა ბედი — უფროს ძმას, დავითს, რომელიც ამ დროს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში აგროტექნიკისად მუშაობდა, მიაკითხა და მუშაობა ჩაქვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ფინაგენტად დაიწყო. ეს იყო ერთადერთი გზა ნათელი მიზნისაკენ. ცოტა ხელს მოვითბობ და სწავლის გაგრძელებო, ოცნებობდა ჭაბუკი. ბათუმშიც ჩამოვიდა, პედაგოგიურ ინსტიტუტში თანასოფლელები ინახულა. სწავლის პირობები რომ გაიგო, იმედი მიეცა.

ორი წელი იმუშავა ფინაგენტაზ 3. მოქერიამ, შემდეგ სავალუტურულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სხვა სამას თანატოლ ქართველთან ერთად იგი ვორონეუსის ოლქის ქალაქ ოსტროვსკის გენერალ თ. ზახაროვის მსროლელთა დივიზიის ერთ-ერთ პოლკში ჩარიცხეს. ქედან მალე იგი სამეთაურო სკოლაში გაგზავნეს.

სკოლის დამთავრებას სამი თვე აკლდა, როცა სამამულო ომი დაიწყო. ვლადიმერი მაშინვე 149-ე დივიზიაში მიავლინეს. სადაც 542-ე პოლკში ოცეულის მეთაურად დანიშნეს. ეს ის დრო იყო, როცა კბილებამდე შეიარაღებული მტერი დროებით წარმატებებს აღწევდა.

პირველი ბრძოლები... ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს პირველი შეხვედრა, გაცნობა, შემთხვევა. პირველი საბრძოლო ნათლობა ვლადიმერს გუშინდელივით ახსოვს; მის მოვონებაზე ხმა ებზარება, ილვიძებს ტველი ტკივილები...

ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს, სოფელ ზახაროვოს მიდამოებში. ჩვენი ნაწილების თავზე გამოჩნდა მტრის სამოცი თვითმფრინავი. მალე მათ სოფელი ცეცხლის აღმი გახვიეს. მტერე მტერი შეტევაზე გადმოვიდა. ჩვენი ნაწილები სასტრიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და სხვებთან ერთად გმირულად იბრძონენ ქართველებიც: ა. ორახელაშვილი, ა. მაკა-

ლათია, ა. სიხარულიძე, დ. ქართველიშვილი, მ. გელაშვილი. მტრის ჭარბ ძალებთან ჩვენს სამხედრო ნაწილებს უთანასწორო ბრძოლები უხდებოდათ; საბჭოთა მეომრები ოსტატურად იყენებდნენ ხელყუმბარებს. ხეშტებს და სნაიპერის თოფებს. მოსპეს და გაანადგურეს მოწინააღმდეგის დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა და ახალი პოზიციები დაიკავეს. თურმე არც ისე ძლიერი ყოფილი გერმანელი ჯარისკაცი პირისცი შეტაკებისას, როგორც ამას ფაშისტური პროპაგანდა ხატავდა. ვ. მოქერიამ ცოცულის უურადლება სწორედ ამას მიაქცია. იგი თავის მეომრებს რწმენას უნერგავდა.

დადგა რუსული ზამთარი. თოვლს მკაცრი ყინვები მოჰყვა. ჰიტლერელები ახალი იერიშისათვის ემზადებოდნენ. ვ. მოქერიას ცოცული მოწინავე პოზიციებზე განლაგდა, სანგრები გულდაგულ შენილბა. მოწინააღმდეგეს, ჭარბი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გარდა, კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა: იგი ტყით გარშემორტყმულ გორაკზე იდგა. მათი ქვემეხები ზედ თავზე დაჰყურებდა ჩვენს მეომრებს.

ჩამოწოლილი ნისლი გაიფანტა. ბლინდაუიდან ვ. მოქერიამ შენიშნა, რომ თოვლიან მინდორზე თეთრ სამოსელში გახვეული ჰიტლერელები ხოხვით მოიწევდნენ წინ. ამავე დროს ტყიდან ამოიმართა მეავტომატეთა დიდი ჯგუფი: აშკარა იყო, ნისლიანი ამინდით მტერს უსარგებლია, ხოლო ჩვენს

გამოუცდელ მეოვალთვა და გვერ შეუნიშნავთ მისი მუნიცილი მოქერიამ მაშინვე განსაზღვრული სალოდნელი საფრთხე, სასწრავოდ დაუკავშირდა ასეული მეთაურის მდგრადი არეალი. ასეულის მეთაურმა უბრძანა, როგორმე უკან გადმოინაცვლეთო, მაგრამ გვიანდა იყო: უბრძალველად უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მოწინააღმდეგეთა შორის მანძილი 150-200 მეტრი იყო. მტრის ერთი ნაწილი პირის პირ მოდიოდა, მეორე კი ფლანგიდან უვლიდა. ვ. მოქერიამ გადაწყვეტა ემოქმედა საჭიროების მახედვით.

— მზად იქონიეთ ხელყუმბარები, დაელოდეთ ჩემს ბრძანებას!

— გასცა მან ბრძანება.

დადგა გადამწყვეტი მომენტი. ჰიტლერელებმა ორივე მხრიდან გახსნეს ავტომატების ცეცხლი.

— აბა, ბიჭებო, ყუმბარები! — გაისმა ვ. მოქერიას ძაბილი და ჭარისკაცებმა მყისვე ზეფიზედ დააყარეს მოახლოებულ მტერს ხელყუმბარები. ბრძოლის ველი კვამლში გაეხვია. ამით ისარგებლებს ცოცულის მეომრებმა და მეთაურის განკარგულებისამებრ უკან დაიხიერდა. მაგრამ ჰიტლერელები არ დაბნეულან: გაიფანტა თუ არა კვამლი, ცოცულს დაედევნენ და გზა გადაუჭრეს. წამები წყვეტდა მთელი პოლკის ბეჭა, რომელსაც ცოცული იცავდა. ამ კრიტიკულ მომენტში მეთაურმა თვალი მოჰკრა გორაკზე მიტოვებულ დაზგის ტყვიამფრქვევს.

ვლადიმერი ჭარისკაც ვასილ სმირნოვთან ერთად ტყვიამფრქვევთან გაჩნდა და... მტერი ტყვიის წვიმაში გახვია. დაბნეული გერმანელები ტყის სილრმეში მიიმაღნენ. ოცეულმა ბრწყინვალედ შეასრულა დავალება: დაიცვა პოლკი მტრის გარემოცვისაგან. ამისათვის ვ. მოქერიას პოლკის უფროსმა მადლობა გამოუტადა, ხოლო შტაბის ხელმძღვანელობამ იგი მთავრობის ჯილდოზე წარადგინა. სამწუხაროდ, ხშირი ადგილმონაცვლეობის გამო ამ დოკუმენტს დანიშნულების პუნქტამდე არ მიუღწევია.

ზამთრის სუსტმა იმძლავრა. თუ ზაფხულსა და შემოდგომაზე მტერს იერიში იერიშზე მოჰკონდა და იოლად იპყრობდა დასახლებულ პუნქტებს, ახლა აშკარად ჩანდა, რომ მკაცრი ყინვებისა და გაუვალი თოვლის გამო თავს არიდებდა ბრძოლებს და გამაგრებულ პუნქტებზე ახალ შევსებასა და სამხედრო ტექნიკის ელოდა. ეს კარგად იცოდა საბჭოთა სარდლობამ და გადაწყვიტა მტრისათვის არ მიეცა მოსვენების საშუალება: წარმოებდა მოულოდნელი თავდასხმები, მტრის სამხედრო ტექნიკისა და ჭარის განლაგების წინასწარი დაზვერვა.

ამ დროისათვის ვ. მოქერია პოლკის ერთ-ერთ მოწინავე ოფიცრად ითვლებოდა. პოლკის მეთაურმა გ. პოლინაიგამ არჩევანი ვლადიმერზე შეაჩერა და დაზვერვის ჯგუფის ხელმძღვანელობა უბრძანა. საღაზვერო ჯგუფს დღისით

ათი კილომეტრით დაშორდებულ მაღლობზე მტრის განლაგებულებული უკან დაბრუნებულიყო. ვლადიმერი თერომეტრი მებრძოლის თანხლებით დავალების შესასრულებლად გაემართა. ნისლიანი დღე იდგა. თოვლიანი მინდორი ხოხვით გაიარეს, გვერდი აუარეს მაღლობს და მტრის პოზიციების სილრმეში შეაღწიეს. გარეთ კაციშვილი არ ჰქონებდა. გულდამშვიდებული პიტლერელები თბილ ბლინდაჟებში შეყუულიყვნენ. მათი მეთვალთვალები თოვლსა და ყინვაში კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდნენ და ისევ ბლინდაჟებში მიძვრებოდნენ. დაზვერვის მეთაურმა და მებრძოლებმა ყურადღებით დაათვალიერეს ტანკების, ქვემეხების, ქვეითი ნაწილების განლაგება, გამაგრებული ადგილმდებარეობის ყველა მისადგომი, გარშემოვლის გზები და უკან ისევ ხოხვით გამობრუნდნენ. პიტლერელთა მეთვალთვალებმა მხოლოდ მაშინ შენიშნეს ისინი, როცა მტრის პოზიციებს გამოსცდნენ, და ტყვიამფრქვევების ჯვარედინი ცეცხლი გახსნეს. პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა და მზვერავებმა პირველსავე სანგრებს შეაფარეს თავი. ცაში გერმანელთა თვითმფრინავი აიკრა და თავშეფარებულებს პარიდან დააყარა ყუმბარები. დრო დაყოვნებას არ ითმენდა. სანამ თვითმფრინავი მეორე წრეს გააქეთებდა, ვლადიმერმა ბრძანება გასცა, სანგრები დაეტოვებინათ და ცეცხლის წვიმაში პირველი თვით

თონ გაიჭრა. თერთმეტი მებრძოლიდან მხოლოდ ხუთი გადარჩა. შეგროვებული სადაზვერვო ცნობების მიხედვით პოლკის სარდლობამ მტერზე თავდასხმის გეგმა შეადგინა.

გათვენებამდე, როცა გერმანელ ჯარისკაცებს ჭერ კიდევ ეძინათ ბლინდაუებში, საბჭოთა პოლკის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ. მოულოდნელმა თავდასხმამ მტერი დააბნია. საბჭოთა მებრძოლები ჰიტლერელებს შიგ ბლინდაუებში ულეოდნენ, ანადგურებდნენ ტანკებსა და ქვემეხებს. ჩვენმა მომრებმა ბევრი ფაშისტი დაატყვევეს და დიდალი ნადავლი ჩაიგდეს ხელში.

მალე გერმანელთა სარდლობამ ფრონტის ამ უბანზე დამხმარე ძალები გადმოისროლა და შეტევაზე გადმოვიდა. თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენი ბიჭები. ვ. მოქერიას ოცეული კვლივ წინა ხაზზე იღმოჩნდა. უცებ ვლადიმერს მარჯვენა ხელი მოცელილივით ჩამოუვარდა. მწვავე ტკივილი იგრძნო მეცერდის არეშიც. სისხლმა ფარავაში გამოიუნა. მერე მარცხენა ხელით ძირს დაგარიზნილი რევოლვერის აღება სცადა, მაგრამ ძალა არ ეყო: სახე გაუფითრდა, თვალებზე ბინდი გადაეფარა, ყველაფერი ერთმანეთში აირია და... გრძნობადაკარგული იქვე ჩაიკეცა.

იგი გონს საველე ჰოსპიტალში მოვიდა. თეთრხალათიანი ახალგაზრდა რუსი მედიცინის და, რომელსაც მარლით შეხვეული მისი მარჯვენა მუხლზე ედო, ოფლით

დაცვარულ შუბლს უმშრალებდა დახეთქილ ტუჩებზე სისხლს უკუცულებელი მენდდა და პირგამშრალს ჭრავისისთვისა აწვდიდა ყლუპ წყალს.

— კიდევ ცოტა, კიდევ! — შევიდრა ქალიშვილს ვლადიმერი.

— ჩუ, მეტი არ შეიძლება, აյ მე ვარ უფროსი! — საჩვენებელი თოთი ტუჩზე მიიღო „გამშელალმა“ ქალიშვილმა და დაჭრილს კეთოლად გაუღიბა.

ვლადიმერმა მკერდის არეში უეცრად ტკივილი იგრძნო და ფრონტი მოაგონდა. თვალშინ წარმოუდგა ახმახი გერმანელი, რომელიც გზის მოჭრას უპირებდა, და ხეს ამოფარებულმა ავტომატის ჭერი დააყარა... ვლადიმერმა გონების დაკარგვამდე მოასწორ დაენახა, როგორ შეტორტმანდა გერმანელი, ხელიდან ავტომატი გაუვარდა და მოცელილივით დაეცა. ალბათ, ბიჭებმა იყარეს ჭავრი.

ეს იყო 1942 წლის იანვარში. სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდებოდა. საველე ჰოსპიტალი ერთ დაგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ. ერთი თვის შემდეგ ვლადიმერი ნოვოსიბირსკის ჰოსპიტალში მოხვდა. ექიმებმა ყოველი ლონე იხმარეს, მაგრამ მარჯვენადასახიჩრებული ვლადიმერი ჭარისკაცთა რიგებს გამოეთშა და მშობლიურ ჩომეთში დაბრუნდა.

ფრონტზე მყოფი შვილების — ტარასისა და ვლადიმერის დარღუ და მძიმე შრომას დალი დაესვა მშობლებისათვის. მესამე შვილიც სადარდებელი გახდომიდათ — დავითი უკურნებელ სენს შეებყრო,

სწორედ ფრონტზე გამგზავრების წინ. იგი ძმის ჩამოსვლიდან ერთ თვეში გარდაიცვალა. მუდამ ხალი-სიანი ილია დაგავრიანდა, დანა პირს არ უხსნიდა; მალე იგი ლო-გინად ჩავარდა და გარდაიცვალა. ერთი თვეც არ გასულა, რომ 1942 წლის შემოდგომაზე ოჯახს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა... ფრონტზე ვმირულად დაილუპა ტარასი.

ვლადიმერი საგონებელში ჩავა-რდა — არც სოფელს აღგებოდა და არც ფრინტს.

— წავალ, მუშაობას დავიწყებ ქალაქში, — ფიქრობდა იგი, — სწავლასაც გავაგრძელებ.

მაგრამ როგორ დაეტოვებინა ამ მძიმე დღეებში ჯანგატეხილი დედა? დიღხანს აწვალებდა ეს ფი-ქრი ვლადიმერს. ბოლოს განზრა-ხვის გამხელა მძიმდინა. დედას სა-ხეზე საშინელი ტკივილი აღებეჭ-და, თითქოს რაღაც ახალი უბედუ-რება დასტყდომოდეს. მაგრამ თავს ძალა დაატანა და შეილ-იმედიანად გაულიმა:

— წადი, შეილო! მე არაფერი მიჰირს, მეზობლები გვერდში მი-დგას, უმცროსი ბიჭიც შინ არის. მართალია, სწავლობს, მაგრამ ოჯახს ხელს არ აკლებს.

გულთბილად შეხვდნენ ვლადი-მერს ჩაქველები. მაშინვე მოუქებ-ნეს „საიმისო“ საქმე—მეურნეობის კომენდანტად დანიშნეს, შემ-დეგ მომარავების უფროსად გადა-იყვანეს, მერე მუშათა კოოპერა-ტივის გამგეობის თავმჯდომარედ

აირჩიეს. გამოხდა ხანი. 1952 წლის ვლადიმერმა გამოცდები უკუკირებული ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტო-რიის ფაკულტეტზე და წარმატე-ბით დამთავრა იგი. სწავლასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანო-ბასაც ეწეოდა — იყო ფაკულტე-ტის, შემდეგ კი ინსტიტუტის პროფესიონალის თავმჯდომარე, ხოლო 1961 წლიდან მუშაობს ამავე ინს-ტიტუტის სასწავლო ნაწილის გამ-გედ.

* * *

ოქტომბრის პროსპექტზე, პედა-გოგიური ინსტიტუტის მუშაკთა საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულზე, ერთ-ერთი ბინის ფანჯრები გვიან ლამემდეა განათე-ბული. ეს ვლადიმერ მოქერიას ბი-ნაა. იგი მაგიდას უზის, წერს, კით-ხულობს, შემდეგ ქალალდებს ერ-თმანეთზე აწყობს. რას წერს?.. რას აპირებს?.. ჯერჯერობით ნუ-რაფერს ვიტყვით.

მყუდრო ოჯახი აქვს ვლადიმერს. მეუღლე ნინო ვაჟაცივით ამო-უდგა მხარში, ერთად განვლეს სტუდენტობის წლები. ორი შვი-ლი რა არისო, აღვილია სათქმე-ლად, მაგრამ არც ისე იოლი იყო ერთსა და იმავე ღრის ბავშვების მოვლა და ინსტიტუტში სწავლა, მაგრამ ქმრისა და შვილების სიყვა-რულით ყველაფერს ასწრებდა. ახლა იგი პედაგოგიურ მოლვაწე-ობას ეწევა.

მაგიდაზე დევს მუყაოს ყუთი. მასში ინახება სიგელები, დაჯილ-დოების ფურცლები, გაზეთების

ამონაჭრები, ამხანაგების წერილები, მათთან გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც გონებაში აღადგენენ ომისდროინდელ ამბებს, შრომით განვლილ გზას. აქვევ გენერალ თ. ზახაროვის ფოტოსურათი წარწერით: „ძვირფას მეგობარს ვლადიმერ ილიას-ძე მოქერიას, სახსოვრად 149-ე მსროლელი დივიზიის მოსაგონრად. გთხოვთ არ დაივიწყოთ ჩვენი სასახლო საბრძოლო საქმეები. თქვენი თ. ზახაროვი“.

ვლადიმერი ხშირად გვიჩვილოს /
ხოლმე მუყაოს ყდას, კითხულობენ წერილებს, ათვალიერების და მოვალეობებს. რამდენი რამ აქვს მოსაგონარი, სათქმელი, მაგრამ განა ყველაფერი შეიძლება ადამიანმა თქვას და დაწეროს, რაც ცხოვრების გზაზე განუცდია. ისეთ როულ გზაზე, როგორიც ვლადიმერმა განვლო?!.. არა, იგი არ დაღლილი, მას წინ უდევს ახალი გრძელი გზა, უფრო ნათელი, ბეღნიერი მომავლის გზა.



რუსულ გამაღაშვილი

მეზყვეღების კურგურის საკითხები „ვეზენსის განვითარები“

შოთა რუსთაველის უკვედავი „ვეფ-
შისტყაოსანი“ ძეველი საქართველოს
თვისის ბური ენციკლოპედია იყო. სხვა
საკითხებთან ერთად მასში საქართველო
გილი უკავია მეტყველების კულტურას,
რასაც პოეტი მჭიდროდ უკავშირებს
სწავლას, აღზრდა-განათლებას. პოეტის
აწმენით, როგორიცაა ადამიანის გან-
სწავლულობა, ნაკითხობა, განათლებისა
და კულტურის დონე, ისეთივე მისი
მეტყველების კულტურა. ამ აზრს შე-
სანიშნავად გადმოგვცემს შოთა ცნო-
ბილი ოფორჩიმით:

„კოკასა შიგან რაცა დგას,
იგივე წარმოსდინდების!“

აქ „კოკაში“ გონება, აზროვნება, განათ-
ლება იგულისხმება. სწორედ ამიტომ
გონების, აზროვნების განვითარება თა-
ვისთვად ენის განვითარებასაც გუ-
ლისხმობს. „საზოგადოდ „მეტყველების
კულტურა“ სუსტობს იქ, სადაც „აზრო-
ვნების კულტურა“ მოიკოლებს და, მა-
შისადამე, „მეტყველების კულტურისათ-
ვის“ ბრძოლა „აზროვნების კულტური-
სათვის“ ბრძოლის გარეშე წარმოუდგა-
ნელია“ (არნ. ჩიქობავა).

პროფ. შ. ნუცუბიძემ ყურადღება მი-

აქცია იმ ფაქტს, რომ „ვეფხისტყაოს-
ნის“ მოელი XCV თავი ნავარაუდევია
იმის საჩვენებლად, თუ როგორი აღმზრ-
დელობითი და „გულის მომგვარებელი“
გავლენის მოხდენა შეუძლია ბრძნულ
შევრმეტყველებას / და კულტურულ
მეტყველებას აღამინდეს. ეს თავი ცნო-
ბილი პაექრობა ავთანდილსა და ტარი-
ელს უორის. მას ჰქვია „პოვნა ავთანდი-
ლისაგან დაბრუდილის ტარიელისა“. იგი
40 სტრანისაგან შედგება და, ჩვენი
აზრით, წარმოადგენს მეტყველების კუ-
ლტურის, ქართული შევრმეტყველების
იშვიათ ნიმუშს. ავთანდილი მიმართავს
სხვადასხვა მეოთხდსა და ხერხებს, რათა
ცნობაზე მოიყვანოს დაბრუდილი ტარიე-
ლი. იგი ხან-უმუდარება, ევედრება მე-
გობარს, ხან არწმუნებს, ხანაც ემუქრე-
ბა. ყოველივე ამას კი მეტყველებით,
ენით ახერხებს, „ტკბილი ქართულით“,
„სიტყვითა მრავალ-ფერითა“ აკეთებს.

ტარიელისა და ავთანდილის საქართველო
დაალოგური ფორმით მიმდინარეობს.
ავთანდილის ყველ სიტყვაში, საბასუ-
ხო რეპლიკაში ჩანს არგუმენტაციის,
დასაბუთების გასაოცარი უნრი. მის
მეტყველებაში ყველაფერს დიდი ზემოქ-



მეღების ძალა აქვს: ეს იქნება აზრა, გრძნობა, სიტყვა თუ მდუმარება. ავთანდილის ჩეპლიკა სხარტი, ზუსტი და გასაოცრად ლაკონიურია. რუსთაველის მადლიანი კალმის წყალობით ავთანდილის მეტყველება, ენა სპეციფიური ლექსიკით და ინტონაციური საღებავებით რადიკალურად ცვლის შემნილ ვითარებას. ტარიელი ავთანდილის მეტყველების სიძლიერეს, უშუალობას, სისწორეს გრძნობს და ზოგჯერ არ უპასუხებს, დუშის, დუშილია მისი პასუხი. საბოლოოდ ავთანდილმა მიზანს მიაღწია. დაიმორჩილა ტარიელი. ამით აღფრთვანებული პოეტი 901-ე სტროფში დაილუგის, პავერბის შეღებებს აჯამებს, ხოლო ამავე სტროფის უკანასკნელ ტაპშა ლირიკული წიაღსელით თავის დამრკადებულებასაც ამეღანებს ავთანდილის მეტყველების კულტურისაღმი:

„დაპორჩილდა. გაემართნეს
ავთანდილ და ამირბარი;
ვერ მიგია ქება მათი,
ვერა ქება საქებარი:
კბილნი — ვითა მარგალიტნი,
ბაგე — ვარდი ნაბობარი.
ველსა ხვრელით მოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი.“

„ვეფხისტყაოსნის“ ამ თავს თამამად შეგვიძლია აუშვილოთ „სიტყვის ძალა“. რუსთაველი გარკვევით მოიხვევს, რომ მოქმედმა იყოდეს, სულხან-საბარომ მოქმედმა იყოდეს, სულხან-საბარომთვემა რომ ვიხმაროთ, თრბელიანის გამოთვემა რომ ვიხმაროთ, თავდაჭრა და გარკვეული ტაქტი, იცოდეს ვისთან, როდის რა უნდა და ილაპარაკოს. ამ აზრს მშვენიერად გადმოგვცემს საქვეყნოდ ცნობილი აფორიზმი:

„ზოგჯერ თქმა სჭობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისა.“

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოეტი სათქმელის დროულად დამთავრებას. მას არ უყვარს გამიანურებული, რებას. მას არ უყვარს გადატანებული, რებას. მას არ უყვარს გადატანებული, რებას:

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.“

ეს სიტყვები, მართალია, უსულულო მოშიარეს, პოეტს ეხება, მაგრა უსულულო თაველი ამავე აზრს სხვაგანაც გვითავრებს ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით. ასმათი ეუბნება ავთანდილს გმოქვაბულში:

„გრძელი სიტყვა საწყინოა,
ასრე მოკლედ მოგახსენო“.

თუ კი სურვილის საწინააღმდეგო მაინც გრძლად თხრობა გამოუვიდათ ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ისინი საგანგებოდ აღნიშნავენ ამის და ბოლიშს იხდიან. ტარიელი, როცა როსტევნოთან მიიღის და გადასცემს ავთანდილს სურვილს, იქვე ერთგვარ ბოლიშს იხდის სიტყვის გაგრძელების გამო:

„აშ გაწყენ, გრძელი ამბავი
არს ჩემგან მიუმხვდარებით.“

მაგრამ მაინც მეტყველებაში მთავარია ზომიერების დაცვა, სათქმელის დროულად და თანმიმდევრობით გადმოცემა. ეს კარგად ჩანს შემდეგი აღგანისაზი:

„ამის მეტსა არა გადრებ,
არ მოკლესა, არცა გრძელსა“;
„ესენია მხსნელნი ჩენნი,
აშ არა გვცალს გრძლად უბრება“.

საგულისხმოა, რომ რუსთაველი მიჭნდის ერთ-ერთ აუცილებელ ღირსებად მეტყველების კულტურასაც მიიჩნევს:

„მიჭნურსა თვალად სიტურულე
ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიცხვე,
სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა,
მძლეოთა მებრძოლთა მძლეობა“.

„ვეფხისტყაოსნში“ სიტყვა ქართული „ორი მნიშვნელობით გვხვდება — პირდაპირი („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“) და გადატანითი მნიშვნელობით („არ შეამოკლოს ქართული“, „რა ვეღარ შიხვდეს ქართულსა“; „ქმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“). ამ უკანასკნელ სამ შემთხვევაში რუსთაველი „ქართულს“ ხმარობს სიტყვის,

საუბრის, სიტყვა-პასუხის, ენის, მეტყველების მნიშვნელობით.¹

მეტყველების კულტურა, სწორი, გამართული, თანმიმდევრული მსჯელობა, საამო საუბარი, რუსთაველის აზრით, ერთნაირად უნდა ახასიათდეს მეცესაც და ყმასაც, ქალსაც და კაცსაც. მითომ რომ როსტევანის ღირსებათა შორის პოეტი საკანგებოდ გამოყოფს ენტყულიანობას, მცემეტყველებას: „ოფით მეომარი უებრო, კლა მოუბარი წყლიანი“. ხაზგასმული სიტყვების შესახებ თეომურაზ ბაგრატიონი წერს: „მოუბარი წყლიანი — ეს იმს ნიშნავს, როგორც წყალს მომდინარეობა არ დაკლდება, ეგრეთვე კეთილ-მოუბარს რიტორს მშევრიერნი სიტყვანი“.

რუსთაველი წინააღმდეგია უსარვებლო ლაპარაკის, ისეთი მეტყველების, რომელსაც ასევითაზე სარეგბლობის მოტანა არ შეუძლია. ბევრი ლაპარაკის მოყვარულ ადამიანს იგი ყედეს უწოდებს: „რას აქმნევ ჩემსა მმაგასა. ზრაპარი არის ყბედისა“; „ქალშინ ჟაფარა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა“. ყბედი — უდარესისაგან უშეერი პასუხის მიცემა (საბა): „დანაყბედი — ყბედი მრავლისა ანუ უქმად მოლაპარაკე, მოულალავი მოლაპარაკე: დაყბედება მმანაც ეწოდება, რომ თავის უფროსთან კაცმის სიტყვის თქმა ძრიც გაბედოს“ (თეიმურაზ ბაგრატიონი).

განსაკუთრებით აფასებს რუსთაველი ტკბილ ენას, ტკბილ საუბარს, ისეთ თხრობას, რომელიც მსმენელს სიამოვნებას გვრის, ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებს. პოეტი ტკბილ ენას და ტკბილ საუბარს „ტკბილ ქართულს“ უწოდებს. მისი დამადასტურებელი მრავალი მაგალითია პოემაში: „ყმა ტკბილი და

1. „ქართულთან“ დაკავშირებით თ. სახით შენიშნავს: „როგორც ჩანს, ჩვენში „ლაპარაკს“ ქართული ერქვა, და ქართველი სხვათა ენას, რომელიც მას არ ესმოდა, აზრის გამოსახატავ ლაპარაკისათვის გაჩენილ საშუალებად არ თვლიდა“ (ენიმეის მოამბე, III, 1938, 83- 302).

ტკბილ ქართული“: „ეუბნა ტკბილთა საუბარითა“; „სიტყვითა ტკბილთა შემცირებაშეა“; „ეს ტკბილის სიტყვითა გაემართოთ“; „ტკბილი ტკბილად მოუბარი“; „ტკბილად იტყვის, რგბმწყრალი“. პოეტისათვის „ტკბილი“ და „საამო“ სინონიმური სიტყვებია. ეს ნათლად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან: „დაიწყო სამო საუბარია“; „ამოა კარგი ლალობა“, „გვადრება ამბაესა ამოსა“; „კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს“; „უბნია ბდეს ამოთა საუბარითა“.

სიტყვის, ენის, მეტყველების კულტურს შ. რუსთაველი რომ საგანგებო ყურადღებას უთმობდა, ეს კარგად ჩანს პოემაში, სადაც „სიტყვა“ სხვადასხვა შესიტყვებაშია მოქცეული და იმის მიხედვით ასეთი სახის სინტაგმები ჩნდება: „სიტყვა რამე გაემკახა“; „სიტყვა მცდარი წამერია“; „ვპატორე სიტყვა სამუდარი“; „სიტყვა უშეცრული“; „შაბაშ სიტყვა“ „უფევი და სიტყვა გააკლადე“; „ცნობიერი სიტყვა უთხრა“; „სიტყვა ნატიფი, მცემები“; „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყედსა“ და ა. შ.

მეტყველების კულტურის თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იყრინდს ე. შ. მიმართვის ფორმები. ამ მზნით განსაკუთრებით სინტერესობა წერილი ნესტან-დარეჭანისა საყარელოთან მიწერილი. პირველად სიტყვის ავტორი იღებს და მკითხველს ატყობინებს, რომ ნესტან-დარეჭანმა „დაწერა წიგნი, მშენელთა გულისა გასაგმირალი“. ნესტანი თავის სატრუქოს გადაუშლის საქმის ნამდვილ ვითარებას, ახედებს გულის ღრმა შინასანელში და აძლევს მოქმედების ერთგვარ პროგრამას. ნესტანის მიმართვის უსაყვარლესი ფორმაა „ჩემო“. ამ კუთვნილებითს ნაცალსახელს ავტორი ისეთ კონტექსტში იღება, ისეთ სიტყვებთანაა მოქცეული. რომ გვაგრძნობინებს ტარიელისადმი ნესტან-დარეჭანის უახლოესობას, უდიდეს სიყვარულს... საგულისხმოა, რომ დასაწყისში ნესტანი უფრო აღლვებული ჩანს და ამითაც უნდა იისნას, რომ პირველ, მეორე, მესამე სტროფებს ერთი სიტყვის შემდეგ „ჩემოთი“ იწყებს:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი
არს ჩემგან მონალვწები“;
„პედავცა, ჩემო, სოფელი
რათა საქმეთა მქმნელია“;
„პედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა
სოფელმან და უამთან კრულმან“.

სწორედ ანალოგიური ხასიათის მი-
მართვებით ახერხებს პოეტი თხრობის
დინამიკურობას, წინადადებათა მაქსიმა-
ლურ შემოკლებას, თხრობის გამოცოც-
ლებასა და მისთვის სასაუბრო ენის სიმ-
სუბჟექტის მინიჭებას.

როცა ცოტადენი დაცხრა, ნესტანმა
მიმართვის ფორმა „ჩემო“ შეცვალა ფი-
ცითი ფორმულით — შენმან მზემან:

„შენმან მზემან, აქანამდის
შენ ცოცხალი არ მეგონე“;
„შენმან მზემან, უშენოსა
არვის მიპერდეს მთვარე შენი;
„შენმან მზემან, ვერვინ მიპერდეს,
მო-ცა-ვიდენ სამინ მზენი“.

ერთ შემთხვევაში ნესტანი მიმართვის
ფორმად ხმარობს სტილისტური თვალ-
საზრისით არა ნეიტრალურ, არამედ
ალერსით მაქსიმალურად დატვირთულ
ფორმას — „საყვარელო“. მის ზემოქმე-
დებას უფრო აძლიერებს ისიც, რომ
იგი უშუალოდ დგას მეორე პირის ნა-
ცვალისახელთან მხოლობით რიცხვში (შენ
და არა თქვენ!):

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ,
ჭმუნვითა ამისთანითა“

როცა ნესტანმა სათქმელი თითქმის
ნახევრად დაამთავრა, თავისი საყვარე-
ლი მიმართვის ფორმა „ჩემო“ ბოლო
სტრიქონის შუა აღგილა მოაქცია, შე-
მდეგ როცა წერილი დასარულა, მიმართ-
ვის ფორმა სტრიფის მეორე სტრიქონის
შუა ნაწილში დააყენა:

„ბედმან გვიზო ზველაკაი,
ჩემო, რაც დაგვემართა“;
„ნუცა სტირ და ნუცა მიგლოვ,
ჩემო, შენთვის დაკარგულსა“;
„გადმიკვეთია ალაპი,
ჩემო, ერთისა კიდისა“.
5 „ლიტერატურული აქარა“, № 4.

ერთი სიტყვით, ნესტანი თავის ცნობილ /
წერილს იწყებს მიმართვის უკუკუჭულებელი
(„ჩემო“) და ამთავრებს ამითვემი ჯერ უმცირეს
და შევნიშნოთ ერთი მომენტი: ნესტანის
მიმართვის საყვარელ ფორმებს: „ჩემო“,
„საყვარელო“ ტარიელიც იყენებს, როცა
იგი ავთანდილს თავის ტრაგიზმით ალ-
სევსე ბიოგრაფიას უამბობს:

„მითქვამს: „ჰაი, საყვარელო,
ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,
იმედო და სიცოცხლეო,
გონებაო, სულო, გულო“.

„ვეგხისტყაოსნის“ როგორც მთავარი,
ისე მეორეხარისხოვანი მოქმედი პირები (ავთანდილ-თინათინი, ტარიელ-ნესტანი,
ფრიდონი, ასმათი, როსტევანი, ფარამანი,
შერმადინი და სხვ.) მეტყველების კალ-
ტურის მისაბად ნიმუშებს იძლევიან. მაკ-
რამ მათ შორის, ჩემი აზრით, უკელაშე
უფრო გამოიჩინა ავთანდილის მეტყვე-
ლება. ეს გმირი „საროსა მჭობი ნახარ-
დი, მსგავსი მზისა და მთვარისა, ვერ
უწევერული, სადარი ბროლმნა საცნო-
ბარისა“ თავისი მეტყველებით, ქვევით,
ჰკუითა და გონებით განსაკუთრებულ
შთაბეჭდილებას ტოვებს. ავთანდილი
ურთიერთობის საშუალებად იყენება არა
ზარტო ენას, მეტყველებას, არამედ
უკსტ-მიმიკასც. ამ მხრივ ჩვენს კურა-
ჯლებს იპყრობს ავთანდილის მოქმედება
გამოქვაბულში, საღაც მას დახვდა ას-
ხათი. ავთანდილის წინაშე მეტად რთუ-
ლი ამოცნა იდგა: ისე მოელბო უცნო-
ბი ქალის გული, რომ მისგან გაერო
უცხო მოყმის „ვინაობა. ამიტომაც ავ-
თანდილი ასმათს ხან ეცვერება, ემთ-
არება, ხან კიდევ სიკვდილით ემუქრი-
ბა, ხანაც ტირილით ბოლოშაც უჩდის,
მაგრამ განა ადვილია დაყაბულება ისე-
თი ქალისა, რომელსაც სამოქმედო დე-
ვიზად გაუხდა პრიციპი: „შენ ერთხელ
მეტყველი, „მითხარო“, მე ასჯერ გეტყვი
„ვერასა“. ექ საყურადღებოა, რომ ქალი
ცებობს „ვერას“ და არა „არას“ —
კარეგორიული უარყოფის ფორმას.

ავთანდილმა გიზანს მიიღწია. ამაშია
დიდად დაეხმარა ენასთან, მეტყველებას-
თან ერთად უყსტ-მიმიკაც: „ავთანდილ
მუხლთა უყრიდა, თითოთა ეხვეშებოდა“.
გმოთქმა „თითოთა ეხვეშებოდა“ პოემა-
ში სხვაგანაც გვხვდება: „მუხლთა უყრი-
და, ტიროლა, თითოთა ეხვეშებოდა“. ა.
სახოვანა ამასთან დაევშირებით მიუთი-
თებს, რომ „თითოთა ხევწნა პირდაპირა
მნიშვნელობით თითის საშუალებით
თხოვნას ნიშნავს, ხოლო გადტანით —
დიდი მორიდებით თხოვნას, უზომოლ
თვეის დამდაბლებას, მორჩილებას“.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე და-
ავტოვება გვიჩვენებს, რომ მოქმედი პი-
რები იშვიათად, ძალიან ძუნწად, მაგრამ
მაინც ხმარობენ უხეშ, „უცენტურო“, სა-
ლაპლავ, საგინგებელ სიტყვებს, რომლე-
ბიც, როგორც ჩანს, რუსთაველის ეპო-
ქაშიც არ იყო მიღებული სასაუბრო
ენაში გამოსაყენებლად. მაგრამ აქ მთავა-
რია სიტუაციის, პირობების, მდგომა-
რეობის, შექმნილი ვითარების გათვა-
ლისწინება. სპეციალისტების აზრით,
„ვეფხისტყაოსნი“ მთლიანად შეიცავს
ორგონდასუთი ათას სიტყვას, მათგან
თხუთმეტ ათასზე მეტი სიტყვა არის
ძირითადი მორფოლოგიურად (იხ. კ. ჭი-
ჭინიძე, რუსთაველი და მისი პოემა,
1960, გვ. 20). ამავე დროს მთელ პოე-
მაში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ხუთიოდე
უხეში სიტყვა. ეს სავსებით ნორმალუ-
რი მოვლენაა, ზღვაში წევთია.

აღსანიშნავია, რომ მეტყველების კუ-
ლტურის საკითხებზე მსჯელობისას
მკვლევარ ვ. ნოზაძეს ძირითადად სწო-
რი პოზიცია უჭირავს, მაგრამ, ჩვენი აზ-
რით, არ უნდა იყოს მართალი ვეტორის
მოსაზრება, როცა წერს: „წარსულ უფ-
როს თაობათა და ჩვენი დროის მწერლო-
ბაში მიღებული არ არის უხეში, უწმა-
წური, სასირცეო სიტყვათა ხმარება...
ძველად როგორც აღმოსავლეთის, ისე
დასავლეთის მწერლობაში და ვეფხის-
ტყაოსნიც ასეთ სიტყვათა ხმარება სა-

მარცხებით არ იყო და „უცენტურო“
სიტყვის წარმოთქმას არავინ გენტურის
ლობად არ ჩამოგართმებოდა“ (ვ. ხონა-
ძე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმე-
ტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1949, გვ.
249). „ვეფხისტყაოსნი“ უხეში სიტყ-
ვის ხმარება რომ სამარცხვინა, სა-
თავისულია, მიუღებელია, ეს მშვენივრად
ჩანს შემდეგი ადგილიდან — ასმათი ეუ-
ბნება ტარიელს:

„დავარ მოსთქმიდა სიტყვითა,
რომელი არა მსმენდეს“.

აქედან სავსებით გასაგებია, რომ
უხეში („უცენტურო“) სიტყვების ხმარე-
ბა მეტყველებაში რუსთაველის ეპოქაშიც
ისევე შიულებელი იყო. როგორც ამჟა-
მად ჩვენს დროშია. ამის თქმის უფლე-
ბას გვაძლევს ის, რომ ჩვენ მიერ დამო-
წმებულ სტროფში სავსებით გასაგება-
დაა თქმული: დავარი ისეთ სიტყვებს
ხმარობდა, რომელთა მსგავსი არ მსმე-
ნია, არ გამიგრინა, სხვაგვარად რომ
ვთქვათ, „ყურში არ გაიგონებოდაო“.

დასასრულ, ყურადღება უნდა გვამა-
ხვილოთ ერთ მომენტზე. „ვეფხისტყაო-
სნის“ მოქმედი პირები (ავთანდილი, ტა-
რიელი, თინაონი, ნესტანი, ფარსადანი,
როსტევანი, ფატმანი, ფრიდონი, შერმა-
დინ და სხვ.) ერთმანეთს სახელით არ
მიმართავენ (გარდა ერთი შემთხვევისა).
საკუთარი სახელის ნაცვლად მოქმედი
პირები ერთი მეორეს შედარებითი სი-
ტყვებით ელაპარაკებიან: შეფერ, ხელ-
მწიფერ, მაღალი, ლომო, გმირო, მარქე-
ნალი, მოწყალეო და სხვ. ეს არის ურ-
თიერთ მიმართვის წესი, რომელიც გა-
ბატონებულია „ვეფხისტყაოსნის“ საზო-
გადოებაში. მხოლოდ გამონაკლისია ერ-
თადერთი შემთხვევა: ავთანდილი გუ-
ლანშაროდან ფრიდონს სწერს: „ფრი-
დონ მაღალი, სვე-სრული, მეფეთ-
მეფეონ“. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“
საზოგადოების ზრდილობის წესის ძა-
ლით ერთმანეთისათვის სახელით მიმარ-
თვა არაა დაშვებული, მიუღებელია (იხ.

ვ. ნოზაძე, დასცხ. ნაშრომი, გვ. 245).

რუსთაველის ენობრივი კულტურა, გრძელი სიტყვის მოქლედ და ნათლად თქმის ოსტატობა მარტო მისი ვენიოსნის ნაყოფი როდია. „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი ძალა მის ხალხურობაშია. ქართველი ხალხის ღიდი ენობრივი კულტურის ქურაში გამოიწართო რუსთველური თქმების სიბრძნე. ღიდმა ოსტატ-მა ისეთი თქმები გამოსცედა, რომ ხალხმა ისინი საკუთარი მეტყველების სამკაულად აქცია და იქ, საღაც ვერ სჭრის „საკურცელე ენისა“, რუსთველური აფორიზმის მახვილი აუცილებლად პკვეთს (დაწერილებით იხ. დ. ჭანელიძე, რუსთაველი და ენობრივი კულტურა, გამ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 24. XII. 1937).

„ვეფხისტყაოსნი“ მდიდარია აფორიზ-

მებით. მასში ასზე მეტი უაღიაზებია სტრუქტურისა თუ ცალკეული მომსახურების სახით. ბევრი მათგანი მეტყველების კულტურას ეხება. მაგალითად:

- 1: „არ სასმენლისა მოსმენა არს უმეავესი წმახისა“;
 2. „საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს“;
 3. „გველსა ხვრელით ამოიყანს ენა ტკბილად მოუბარი“;
 4. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“
- და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი კულტურა ღლესაც ალაფრთვანებს მკითხველს და იგი ჩვენი ეპოქის აღამიანებსაც უწევს სამსახურს.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრისტიან ჭავჭავაძე

კუპლის ისტორია



აღმასანდრა ჩავლებაში

მნერის მხატვები მსგავრების შესრულების წყაროები

ზორბეგი მომა

აქამდე ჩვენ ვმსჯელობდით ისეთი „ვარიანტისა“ და „სხვა რედაქციის“ მნიშვნელობის შესახებ, რომლებშიც ცვლილებები შეტანილია უშუალოდ „გარეშე ძალის“ მიერ ან მისი ზემოქმედების შედეგად. ახლა გვსურს ვილაპარაკოთ მხატვრულ ნაწარმოებთა იმ ტექსტების შესახებ, რომლებშიც ვარიანტული თუ სარედაქციო ცვლილებები შეტანილია თვით მწერლის მიერ, მისი ნება-სურვილით, ყოველგვარი იძულების გარეშე, და ატარებენ მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებით ხასიათს. ამგვარი ტექსტები მწერლის მხატვრული ისტატიბის შეწიველის მთავარი წყაროა, მაგრამ აქაც ვხდებით ერთ თავისებურ მოვლენას: ვარიანტულ თუ რედაქციულ ცვლილებებს, მართლია, თვით ავტორის ახდენს, ისინი მწერლის ნება-სურვილს გამოხატავენ, მაგრამ არ იწვევენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ გაუმჯობესებას. პირიქით, გვიჩვენებენ მწერლის უკანსვლას, მის იდეურ ჩავარდნას. ამის თვალსაჩინო მაგალითია

ა. კუპრინის „ორთაბრძოლა“. როგორც ცნობილია, 1920 წელს კუპრინმა ამ მოთხოვნის ტექსტი გადამუშავა, ჩამარაშორა მეფის ყაზარმის კრიტიკული მამხილებელი ხასიათი, ე. ი. დაუკარგა მას ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი. თავისთვალი ცხადია, რომ ასეთი ცვლილება არ არის მწერლის მხატვრული სტატობის მაჩვენებელი. რადგან ოსტატობა აუცილებლად გაუმჯობესებას გულისხმობს და არა გაუარესებას. გაუარესების ოსტატობა არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს ცუდად გაეთმზის ოსტატობა.

მართლია, ასეთი გაუარესებული ნაწარმოებები ბევრი არ გეხდება, მაგრამ მაიც ფაქტია და სპეციალის მისდამი გარკვეული დამოკიდებულება. ამ შემთხვევაშინდა ითქვას შემდეგი: ისეთი ვარიანტული და რედაქციული ცვლილებები, რომლებიც ავტორის შეგნებულ ნება-სურვილს გამოხატავენ, მაგრამ იწვევენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ გაუარესებას, არ შეიძლება მწერლის

მხატვრული ოსტატობის შესწავლის წყაროდ გამოდგეს. ჩასავირცელია, ასეთ მასალებს სარგებლობა მოაქვთ მწერლის მთელი შემოქმედების გაშუქებისათვის. დიდია მათი მნიშვნელობა შემოქმედების ფსიქოლოგიისათვის, რომელსაც ითვალისწინებს მხატვრული ოსტატობის ოკორისული საკითხების რკვევა, მაგრამ იგი არ გამოდგება მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლისათვის.

ამა შევეხოთ სხვა სახის ცვლილებებს.

როგორც იღვნიშხეთ, ბევრია ისეთი ტექსტი, რომელშიც ცვლილებები შეტანილია თვით ავტორის მიერ თვითი სურვილით, ყოველგვარი იძულების გარეშე. ასეთი ტექსტები წმინდა შემოქმედებითი ძიების შედეგია და მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად. აქვე დავძინა, რომ ზოგიერთი მწერლი იშვიათად ასწორებს ნაწარმოების ტექსტს. იგი ჯერ გონიერად ზეპირად აყალიბებს ტექსტს და შემდეგ გადაეჭვს ქალალზე. ამიტომ ასეთი მწერლების ნაწარმოებებს ვარიანტები იშვიათად გააჩნიათ. ჩვენს შეკითხვაზე — „აგქეთ თუ არა ნაწარმოება ვარიანტები“, შალვა დადიანმა გვიპასუხა: „ვარიანტები საერთოდ ნაკლებად მაქვს. ჩემი ჩვეულებაა — დიდხანს ვფიქრობ განხრახულ ნაწარმოებზე. ზოგჯერ წლობითაც წერით კი, როცა შევატყობ, რომ თავში მომწიფდა ნაწარმოების კიდევანი, მაშინ ჩემია მწერ. ჩემი დედანიც თითქო გადაწერილს ჰგავს. იშვიათად თუ ჩივასწორო რაიმე დედანში. ნაწარმოების შემდეგ გადახედვის და შესწორების უნარი ძალზე მაკლია“. მიუხედავად ამისა, გარკვევით უნდა ითვას, რომ ამგვარი მეთოდით მომუშავე მწერლებიც კი იძულებული ხდებიან ზოგჯერ დააზუსტონ აღრინდელი ტექსტები. როგორც დავინახეთ, ასე მოიქცა თვით შალვა დადიანიც.

მაშასადამე, მხატვრული ნაწარმოების ტექსტში ცვლილებების შეტანა თან-

ხლებულია შემოქმედებით პორტფერისათვის.

როგორც ცნობილია, ნაწარმოების უზრუნველყოფის ფერის პროცესი გაივლის რამდენიმე ეტაპს:

„პირველი ეტაპი — ეს არის მთელი ნაწარმოების მონახაზი მთლიანობაში, რომელსაც ავტორი მიისწრავის დიდხანს ნატარები ნაწარმოების ჩანაფიქრის გაობიერტივებისაც. ამ ეტაპზე მწერალი არ იჩენს განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოთქმის სიზუსტეზე... მთავარი ამოცაა გამოთქვას სიტუაციერ ფორმაში შინაარსი...“

მეორე ეტაპია მუშაობა შინაარსის დაზუსტებაზე, რომელსაც მიყვავარდ მრავალიც ცხოვან გადაეკეთებამდე, სახეების განვითარებისა და თვით ახალი პერსონაჟებისა და სცენების შემოყვანამდეც კი.

მესამე ეტაპია ენაზე მუშაობა. მწერალი მიისწრავის სიტუაციების საშუალებით მაქსიმალურ — ადევიატურად გამოხატოს შინაარსი. სწორედ ამ ეტაპზე სრულდება ძალზე დიდი შავი სამუშაო (ა. კოვალიოვი, ლიტერატურული შემოქმედების ფსიქოლოგია, გვ. 109, რუს.).

ეს დიდი შემოქმედებითი მუშაობა წარმოშობს ვარიანტებს, ყველაფერი ეს ასახულია შავ და თეთრ ხელნაწერებში, გეგმებსა და მონახაზებში. მწერლის მხატვრული ოსტატობის შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ცწორედ მწერლის ეს ხელნაწერების ფონდი. ვარიანტებისა და რედაქციების შესწავლი სხვა მასალებთან ერთად, ნათლად გვისურათებენ მწერლის მხატვრული ოსტატობის შინაარსს.

ჩვენს სინამდვილეში ჯერჯერობით ბევრი არ არის ისეთი ნაშრომი, რომელშიც ვარიანტებისა და რედაქციების გამოყენების საფუძველზე გაშუქებული იყოს მწერლის მხატვრული ოსტატობა. ჩვენი ცნობილი ტექსტოლოგები ვარიანტებს უხვად იყენებენ ნაწარმოებთა კანონიკური ტექსტების დასაღენად და ამდენად უზრო მეტად ტექსტოლოგიის ამოცანებს ემსახურებიან.

ამერიკულ გვსურს „მხატვრული ოსტატობის თეორიულ სკიოთხებში“ მოვახდინოთ თვით შეტერის მიერ შეტანილი ვარიანტული ცვლილებების კითხვასხვაობის ზოგადი კლასიფიკაცია მათი წარმოშობის ზოგადი კონკრეტული მიზეზების ჩვენებით.

1. პერსონაჟის პორტრეტის სრულყოფილდ გამოკვეთის მიზეზით წარმოშობილი ვარიანტული ცვლილებები.

ვარიანტი ზოგჯერ ჩნდება პერსონაჟის პორტრეტის სრულყოფილდ გამოკვეთის მიზნით. როგორც ცნობილია, პორტრეტი ტიპიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია. ლუარსას თავქარიძის გარეგნობა მტკიცე კაშირში იმყოფება მის სოციალურ არსანას. მართლაც, პარაზიტი, ჭამაზე გადაყოლილი თავადი გარეგნობის მიხედვით არ შეიძლებოდა სხვაგვარი ყოფილიყო, თუ არა კოტიტა თითების, დამორცილი ფეხებისა და გადმოგდებული ღიბის მქონე. მაგრამ ლუარსაბის პორტრეტის საბოლოო ტექსტი ილიას ერთბაშიად არ ჩამოყალბებია. იგი თანდათანობით ხერწდა პირვანდელ ტექსტს და ამით იქმნებოდა ვარიანტი. მაგალითად, პარველად ილია ამბობს, რომ ლუარსაბს „სამკეცად ჰქონდა ნაკაპქეშ ჩამოსული ლაბაბი“ (ტ. 11, გვ. 508), საბოლოოდ კი დაუწერია: „სამკეცად ჩამოსული ტრიალების აღმგზები ფაფუკი ლაბაბი“ (ტ. 11, გვ. 128). როგორც ვხედავთ, გაჩნდა ახალი ტექსტი, სადაც თავი იჩინა ლუარსაბის სამკეცად ჩამოსული ლაბაბის ახალმა განსაზღვრებებმა, რომ იგი ახლა ფაფუკი და ტრიალების აღმგზები გახდა. ეს დამატებული მხატვრული განსაზღვრებანი აძლიერებენ ლუარსაბისადმი ივრობის სატირულ დამოკიდებულებას. თუ კიდევ განვაგრძობთ ლუარსაბის გარეგნობის გამომხატველი ნიშნების გადმოცემას, ირკვევა, რომ ივრობის პირვანდელი თქმით, ლუარსაბს ჰქონდა „თვალები დიდრონი, დაწითლებული ბევრის, რასაკირევლია, ძილისაგან და არა ზრომისაგან“ (ექვე, გვ. 508), საბოლოოდ ნათქვამია: „დიდრონი თვალები

უკველოვის დასიხლიანებულმდე ქოს უკლში თოვე წაუჭერიათურ შემოწყვეტილი გვ. 128). ხაზგასმული ადგილი მსუბუკი აღდამატებულია. ასე დაზუსტდა და შეივსო ლუარსაბის პორტრეტი, რამაც გამოიწვა ახალი ვარიანტის გაჩენა.

2. ნაწარმოების / ფასულა-სიუვეტის სრულყოფის მიზნით შეტანილი ცვლილებები.

მგვარი ცვლილების აუცილებლობაზე, მიუთითებდა შეტრალი ლ. ქიაჩელი. კრიტიკოს ლ. ესთონისათვის მას უთქვამს: „ჯორუს შემს“ 27-ე და 28-ე თვეების წერას ორი დღე მოვუნდი. შემდევ ხუთჯერ გადაუცდეს და ხუთვევევერ გადავასწორე. სულ არ მომდინარე ჰკუაში ნაწერი, ბევრი მუშაობა მომიხდა, სანამ საბოლოო ტექსტზე შევტერდებოდი. ამთავებზე იმიტომ ვიმუშავე ამდენი, რომ მათ მოელი მოთხრობისათვის, ნაწარმოების ინტრიგისათვის გადადმწვეტი მნიშვნელობა აქვთ. საჭირო იყო, რომ ამ თავებს თავისი ფუნქცია დარგად შეესრულებინათ მოთხრობის სიუვეტისათვის“ („ცისკარი“, 1965, № 6, გვ. 119).

მართალია, ჯერჯერობით უცნობია ლექიაჩელის ამ შემოქმედებითი მუშაობის კონტრეტული შენარჩის, მაგრამ იგი აშკარად იმას მოწმობს, რომ ნაწარმოების ვარიანტები და სხვა რედაციები ჩნდება სიუვეტის კვანძის, ინტრიგის სრულყოფილდ გამოხატვის მიზნით.

3. ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ურთიერთობათა სრულყოფილდ გამოხატვის მიზნით მოხდენილი ცვლილებები. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, მნიშვნელოვანია ხალხთა მეგობრობის იღების სრულყოფილდ გამოხატვა. ეს მეტად ფაქტიზი საზოგადოებრივი მოტივი ზუსტად, ნათლად და გარკვევით უნდა იქნას გამოხატული. ოდნავი უზუსტობა ზიანს აყენებს ხალხთა მეგობრობის კეთილშობილურ იდეას. თუ რამდენად ფრთხილად და გულისყრისით ეპყრობოდა ამ იდეას მართლად გამოხატვის საქმეს აკავი წერეთლი, ჩანს „თორნიკე ერისთავში“ მუშაობის პროცესის ანალიზიდან. ამ შემთ-

ხევაში ესარგებლობთ პროფ. პროკლე გეგელიძის ფუნდამენტური გამოკელევის მასალებით: „ცნობილია, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით აფრანიჯ მოქის თავადი სომეხთა გამოჩენილი მხედვითმთავარია. პოემაში დაბატულია აფრანიკისა და ორბელების ორთა ბრძოლის სურათები, ამ ბრძოლის მეტად სამწუხარო შედეგები. ხალხთა შორის მეგობრობით შთაგონებულ პოეტს, რომელიც ყოველთვის მოუწოდებდა სომხს და ქართველ ურთიერთ ღრმა სიყვარულის, პატივისცემისა და ძმობისაჟენ, საჭიროდ დაუნახავს ორთა შორის მებრძოლი სარდლების ეროვნული წარმოშობის ხაზებსმით გამაძლევებელი ქცევნების შერბილება. ამ მიზნით, საცენტრულ კომიტეტში წარსადგნენ ეგზემპლარში აყვის წაუშლია: „ქართველს სომეხმა“, „სომეხი“, „სომხის“, „ქართველის“ და შეუცვლა სხვა სიტყვებით.

აღნიშნულ ცვლილებათა ნათლად გათვალისწინების მიზნით გავიხსენოთ პოემის აღტოგრაფისა და საცენტრულ კომიტეტის ტექსტის შესაფერისი სტრიქონები:

ა) ავტოგრაფში ვკითხულობთ:

„და ხელმეორეთ ხმლის მომარჩვება ქართველს სომეხმა აღარ იცალა.“

პოემის პირველ და ყველა მომდევნო გამოცემაში დაბეჭდილია:

„და ხელმეორედ ხმლის მომარჩვება მოპირდაპირემ აღარ იცალა.“

როგორც ვხედავთ, სიტყვები: „ქართველს სომეხმა“ შეცვლილია სიტყვით „მოპირდაპირემ“. ბ)

ა) ავტოგრაფში წერია:

„მაგრამ სომეხი ყურს აღარ უგდებს, ქართველს უცრად ზურგი უჩვენა.“

გამოცემაში დაბეჭდილია:

„მაგრამ აფრანიჯ ყურს აღარ უგდებს, მარდად, უცრად ზურგი უჩვენა.“

ამ გარიანტში შეცვლილია ავტოგრაფი-სეული სიტყვები: „სომეხი“, „ქართველს“. გ)

გ) ავტოგრაფის ტექსტის საბოლოო

რედაქციაში მიტყუებით მოცული არ-ბელიძის შესახებ აღნიშნულული ურკვეთი სომხის უზემულებელი და გულშედ დაცეს ქართველის ფარი“. ამ სახითაა შეტანილი მითითებული სალექსო სტრიქონები ხელნაწერ ნუსხა-შიც, მაგრამ შემდეგში ტაქს განუცდია არსებითი ხასიათის ცვლილება. პოეტ-აკადემიკოსის ი. გრიშაშვილის ცნობით, საცენტრულ კომიტეტის ეგზემპლარში „აკაკის წაუშლია სიტყვა „სომეხი“, „ქართველი“ (უნდა იყოს „ქართველს“— პ. კ.) და ფანჯრით ასე გაუსწორებია:

ზურგში ურკვეთი მას მტრის მახვილი და გულშედ დაცეს მისივე ფარი.

საცენტრულ კომიტეტის ეგზემპლარსა და გამოცემებში წარმოდგენილი ვარანტები, ავტოგრაფთან შედარებით, იდეურად უცრო გმართულია. ყველა ეს ცვლილება ბუნებრივად დაკავშირებულია პოეტის იდეურ მიზანდასახულობასთან“ (პროელ კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, 1961 წ., გვ. 052-053).

4. სიბოლოს შესაბამისობის მართლად გადმომცემი ვარიანტული ცვლილებები.

ამ სახის ვარანტული ცვლილების ნათელ მაჩვენებელს წარმოადგენს ის ერთერთი ცვლილება, რომელიც ი. ვაკევავაძემ შეიტანა „ბაზალეთის ტბაში“.

პირველად ილას დაუწერია:

ბაზალეთისა ტბის ძირსა

ოქროს აკვანი არისო,

მის გარეშემო წყლის მვეშე

ლამაზი ბალი ჰყავავისო“.

საბოლოოდ ავტორს ეს სტროფი ასე დაუწულსტებია:

„ბაზალეთისა ტბის ძირსა

ოქროს აკვანი არისო,

და მის გარეშემო წყლის მვეშე

უცხო წალკოტი ჰყავავისო“.

როგორც სტროფებში ხაზამული სიტყვებიდან ჩანს, ტექსტში ავტორს სა-მი ცვლილება შეუტანია.

საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ მესამე შესწორება გვაინტერესებს:

გმოთქმა „ლიბაზი ბალი“ შეცვლილია
სიტყვებით „უცხო წალკოტი“.

რატომ არჩა ილიამ საბოლოოდ „წალკოტი“ და არ „ბალი“? ჩვენი აზრით,
ამის მიზეზი ის არის, რომ ლექსის შნა-
არსი ისეთი რამის გამოძებნას მოითხოვ-
და, რაც მარად უჭირნბია, რადგან ლექსის
სიმბოლურად უნდა გამოხეატა საქართ-
ველო, რომელიც მარად უჭირნბია. ლექს-
ში „წალკოტი“ „საქართველოს“ სიმბო-
ლოა. სიმბოლური სახის რეალისტურო-
ბის საზომი კი ორმაგი ბუნებისაა. ერთი
მხრივ, თვით სიმბოლოს რეალური არსი
სწორად უნდა იქნას გაღმოცემული.
სიმბოლო თვით სიმბოლოს მიმართ არ
შეიძლება სიმბოლური იყოს. მაგალითად,
შელია იგავარაებში ცბიერი და ეშმა-
კი ადამიანის სიმბოლოა. მელიას სახემ
რომ ეს ფუნქცია სიმართლის დაცვით
შეასრულოს, ამისათვის ჯერ თვით მელი-
ის ბუნება სწორად უნდა იყოს ასახული
სახისეულ მელიაში. მხოლოდ ამის შემ-
დეგ ისმის საყითხი, თუ რამდენად სწო-
რად არის მიყენებული ეს სიმბოლო
გამოსახატავი ადამიანის ბუნებისადმი.
ილიას ლექსში საჭირო იყო ჯერ წალკო-
ტის დახასიათება სწორად, იმ თვისების
მიხედვით, რაც მისოვის სპეციფიკურია.
ასეთად ილიას მიაჩნია მისი მუდმივი
სწვანები და დაუმჭენარობა. სწორედ ამა-
ზე მიუთითებენ ლექსის შემდეგი ტაე-
ჟები:

„მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭირდა,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.
ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზმთარი,
და იმის მზიან ჩრდილშია
მუდამ გაზაფხული არი.“

როგორც ჩანს, ილიას ბალის განუყრელ
თვისებად არ მიაჩნია მუდამ სპილენძი
დაუმჭენარობა. ამიტომ პირვანდელი გა-
მოთქმა „მწვანეა მუდამ ის ბალი“, საბო-
ლოოდ ასე ჩამოუყალიბებია: „მწვანეა
მუდამ წალკოტი“. აქ სიმბოლოს ბუნება
სწორად არის ასახული, რაღაც ტრიალი-

ციულად წალკოტთან მუდამ სისწავეზე და-
დაუმჭენარობა არის დაკავშირდებოდა
ისე როგორც წალკოტს ვერ ერჩის „ვარც
სიცხე, ვერცა ზმთარი“, ასევე საქართველ-
ოს ვერ სპობონენ გამუდმებულად შე-
მოსეული მტრები. საქართველო წალკო-
ტივით მარად მწვანე და უჭირნბია. ამ
ვარიანტული ცვლილებით ილიამ გამო-
იტანა უფრო რეალური სწორი სიმბოლუ-
რი სახე და ამიტომ აღმოჩნდა „ბალი“
„წალკოტით“ შეცვლილი.

ამგვარი ვარიანტული ცვლილების ჭაშ-
ნიკად, მგონი, ეს მაგალითიც საკმარი-
სია.

5. ვერიაუის, ბუნების და საერთოდ გე-
ოგრაფიული გარემოს მართლად გამომ-
ხატველი ვარიანტული ცვლილებია.

ამის ერთ მაგალითს მოვიტან ავაკი
წერეთლის „პატარა კახიდან“. ავაკის პი-
რველად დაუწერია, რომ თამარი ფეხს
დაგამდა თუ არა ქმის გორაზე, „იალ-
ბუზი დრეკას იწყებდა, თავს იხრიდა“; საბოლოო
ტექსტიდან ავაკის იალბუზი
ამოუგდია და მის მაგიკურად დაუწერია:
„დიღმა მთებმა იწყეს დრეკა“ (ტ. VI,
გვ. 83).

ასეთი ცვლილება გამოწვეულია გეო-
გრაფიული გარემოს მართლად გამოხატ-
ვის მოთხოვნით. პიესში კახეთის ამბე-
ბია ღრწერილი და ამიტომ ტერიტორიუ-
ლად იალბუზი მას ვერ დაუკავშირდებო-
და, ხოლო ზოგადად მთებზე მითითება
კი შეიძლებოდა. ამგვარი ცვლილების მი-
ზანი სწორედ ის არის, რომ უზრუნველ-
ყოფილ იქნას გოგრაფიული გარემოს
მართლად გაღმოცემა.

6. დეტალების მართლად გამოხატვის
მაჩვენებელი ვარიანტული ცვლილებები.

ამგვარი ვარიანტული ცვლილების იშ-
ვიათი ნიმუშია ილია ჭავჭავაძის „აჩრდი-
ლის“ ის აღვილი, რომელიც შეეხება
უმის ექსპლოატაციას.

პირველად ილიას დაუწერია:

„ავერ უფალი და მისი მონა,
თრთოლით სასწორზედ უწონს
ხარჯს ძნელსა
და რა დასწორდა პინეპზედ წონა —

უფალი პინსა ზედ აღებს ფეხსა,
და მით გირვანქას ერთს
ოცადა ზდის“.
(ტ. I, გვ. 311).

მეორე ვარიანტში ავტორს მხოლოდ
ორი ბოლო ტაერი შეუსწორებია:

„უფალი პინსა ზედ აღგამს ფეხსა
და მით გირვანქას ერთ ათათა ხდის“.
(იქვე, გვ. 114).

ხოლო საბოლოო ტექსტია ასეთია:

„უფალი პინსა ზედ აღგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთხა-ორად
ხდის“.
(გვ. 138).

აღნიშნულ ტექსტებში ყველაზე საინ-
ტერესო ის არის, თუ რატომ შესცვალა
ილიამ ბატონის ფეხის დაღმით გამოწ-
ვეული ხარჯის ზრდის რიცხობრივი მაჩ-
ვნებელი. პინაზე ფეხის დაღმის შედე-
ვად ხარჯი კერ გაიზარდა ერთი-ოცად,
მეორე ვარიანტში — ერთი-ათად, ხოლო
საბოლოოდ — ერთი-ორად. როგორც ვხე-
დავთ, ყმას, მონას თანაბათნობით „შეღა-
ვთთ“ ეძლევა. რა არის მეცვარი ვარიან-
ტული ცვლის მიზეზი? ამის მიზეზი სწო-
რად გამოარყენა რუსთაველის სახელო-
ბის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტის სტუდენტთა ლ. ტაქიძემ
ჩვენი საქართო ხელმძღვანელობით შეს-
რულებულ ნაშრომში. მისი აზრით, აქ
საქმე გვაქვს ისეთ ცვლილებასთან, „რო-
მელიც გამოწვეულია დეტალის სიმარ-
თლის, სისწორის დაცვის გამო“ (საქარ-
თველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტე-
ბის სტუდენტთა მეცვევის სამეცნიერო
კონფერენციის მუშაობის გეგმა და მოხ-
სენებათა თეზისები, 1954 წ. გვ. 39). ამ
შემთხვევაში იღია ახორციელებს მათე-
მატიკური დეტალის მართლად, სწორად
გადმოცემის კანონს. ხარჯის ერთი-ოცად
და ერთი-ათად გაზრდა იმდენად მოუ-
ლოდნელი ნახტომია, რომ მისი სიდიდე
ერთბაშად თვალში ეცემლა საწალ
მონას. ასეთი შეუნილავი, გაშიშვლებუ-
ლი ექსპლოატაცია ხარჯის აკრეფის პრო-
ცესის მეტად უხეში განვიაღება, გადა-
ჭირდება იქნებოდა. მართალია, ხელოვნე-

ბას ახასიათებს გადაჭირდება, მაგრამ ათ
ნიშნული მოქმედების განხორციელება
გადამდებრება იქნებოდა და ამ მდგრადი მიზანი
ტი გადაჭირდება. ამასთანავე შემოიტოვად
და ერთი-ათად გაზრდას მხარს არ უჭირს
ხალხური გამოთქმაც. ხალხში ჩეულებ-
რივად ამბობენ „ერთორიად“ გამოართვა,
გადახდევინაო. ამიტომ გარკვევით უნდა
ითქვას, რომ აღნიშნული ვარიანტული
ცვლილება ერთგარი დამრიცებლობითა
ნისათის მქონე ფაქტია. იგი ნათლად მე-
ტყველებს იძახს, თუ რას ნიშანს გაზ-
ვიადგებულად გაღმოცემის დროს ზომიე-
რების დაცვის ოსტატობა.

7. ლექსითი ნაწარმოების ვარიანტების
გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის
მცუონიური მხარის მოწესრიგება, მუსი-
კალური უძლერადობის ამაღლება, მისი
გასლიერება.

რამდენადაც მწერალი ამ მიმართულე-
ბით წარმტკიცას აღწევს, იმდენად მისი
პოეტური ისტატობა მაღალია.

ნიკიერი მწერლები მუდამ ზრუნავებ
ლექსის მუსიკალური მხარის ამაღლები-
სათვეს. რასუაკირველია, ეს ზრუნავ ლე-
ქსის იდეური შინაარსის გაუმჯობესები-
საკენ არის მიმართული, მაგრამ რამდენია
ისეთი ლექსი, რომლის იდეური კრელ
მაღალია, მაგრამ მუსიკალურად ვერ
უდერს და ფონეტიკურად ბლაგვია. არ
ვარგა ისეთი ეფფონიური გაუმჯობესებაც,
რომელიც არ ეყრდნობა შინაარსისძლივი
მხარის სრულყოფას. იდეალური პოეტუ-
რი ოსტატობა იქაა, სადაც ლექსის მუ-
სიკალური მხარე ერწყმის ამაღლებულ
იდეურ შინაარსს. ნიკიერი მწერლები
მხოლოდ ამით გამოიჩინებიან.

ლექსის მუსიკალური მხარის ამაღლე-
ბის ერთ-ერთ საშუალებას რითმა წარ-
მოადგენს. სწორედ რითმების გაუმჯობე-
სება შეაღენდა და შეაღენს ცნობილი
პოეტების განუწყვეტელი ზრუნვის სა-
განს პოეტ ი. გრიმაშვილს უთქამს:
„ბევრი ჩემი ლექსი ბარე ათვერ გადა-
მისწორებია, შემისწორებია. ვცდილობ
არ გაიმეორო რითმები. ვცდილობ რი-
თმა შემთხვევითი არ იყოს, არამედ გასა-
რითმავი სიტყვა ორგანული ნაწილი

იყოს სტრიქონისა, მისი ბუნებრივი დამთავრება“ („მნათობი“, 1965, № 6).

ერთხელ საუბარში ი. გრიშაშვილმა მითხა: „დიდ ყურადღებას ვაქცევ რით მებს. რითმა ყოველთვის ახალ და თავისებური უნდა იყოს. ლექსში მოულოდნელი კარგი რითმა ქმნის მუსიკას“.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ერთ შეაღლითს მოვიტანთ. გრ. აბაშიძეს პოემის ერთი სტროფი პირველად დაწერილი ჰქონდა ამგვარად:

„ერთ ღმეს მოკრჩი მარტო
ხეტიალს,
გზა რომ სახლამდე დამრჩა პატარა,
უკრიდან ვიღაც წამომეწია
და თვალზე ხელი გადამაფარა“.

შემდეგ პოეტს შეუცვლია ეს ტაქტი და საბოლოოდ ასეთი სახით წარმოუდგნია:

„ერთ ღმეს მარტო გავყევი ქუჩებს,
გზა რომ სახლამდის დამრჩა პატარა,
წამომეწია ვიღაც და უცებ
თვალებზე ხელი გადამაფარა“.

აქ შეტანილია საში ვარიანტული ცვლილება. საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ მესამე შესწორება გვაინტერესებს.


პირვენდელი ტაქტი მხოლოდ იმას გაღმოვცემს, რომ ლირიკულ პერსონაეს უკანიდან ვიღაც წამოსწევია და მისთვის თვალზე ხელი გადაუფარება („თვალზე ხელი გადამაფარა“), მაგრამ არ ჩანს, თუ როგორ მოხდა ეს ხელის გადაფარება: ნელა თუ სტრაფად. ჩვეულებრივად, ცხოვრებაში ეს წდება სტრაფად, ერთბაშად, უცებ. თუ ამ სისტრაფეს გამოტოვებდა ავტორი, მაშინ დაირღვეოდა ვითარების მართლად გაღმოცემის მოთხოვნა და ეს რომ არ მომხდარიყო, ავტორს დაუმატებდა სიტყვა „უცებ“ და საბოლოოდ დაუწერია „უცებ თვალზე ხელი გადამაფარა“. ტაქტის ამ შინაარსობლივმა გამარ-

თვამ მოითხოვა ისეთი ახალი სიტყვა, ორ მეტსაც რეალისტურად უნდაუდრიშულია თვალზე ხელის გადაფარებაში მის სიტყვების ფე, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამისათვის გამოყენებული ყოფილიყო „სტრაფად“, „ერთბაშად“, „უცებ“. და თუ ამ საში სიტყვიდან ავტორმა მხოლოდ „უცებ“ აირჩია და არა სხვა სიტყვა, ამის მიხევის უნდა ვეძოთ იმაში, რომ შევტო ცდილობდა ლექსის არა მხოლოდ შინაარსობლივ გამართვას, არამედ მისი უდერადობის გაძლიერებასაც, რათა იგი უფრო კეთილხმოვანი გახსნარიყო. სიტყვა „უცებ“ იწვევს ლექსის რითმული მხარის ამოლლებას. პირვენდელ სტროფში შერითმული იყო მეორე და მეოთხე ტაქტი (პატარა-გადამაფარა), ხოლო პირველი და მესამე ტაქტი არ იყო შერითმული (ხეტიალის-წიმომეწია). ახალი ვარიანტის მიხედვით, ამ ტაქტების შერითმვაც დაემატა (ქუჩებს-უცებ) და ამით ლექსი უფრო ედერადი გახდა. აღნიშვნული ვარიანტული ცვლილებების შედეგად სტროფში განგტიკიცა მხატვრული სიმართლე და ამაღლდა ლექსის მუსიკალური მხარეც.

წარმოდგენილი მასალებისა და მათი ანალიზის საცუკველზე შეიძლება გამოითქვას მხატვრული ისტორიას თეორიული საკითხების შემდეგი დებულება: მხატვრული ნაწარმოების „ვარიანტი“ და „სხვა რედაქცია“ წარმოადგნენ ერთერთ სანდო, მნიშვნელოვან წყაროს მწერლის მხატვრული ოსტატობის შესასწავლად.

რასაკვირველია, არ შეიძლება ამ წყაროს გადაჭარბებული შეფასება; მაგრამ მისი დაუფასებლობა შეცდომა იქნებოდა.

რადგენადაც მწერალი სრულყოფილად აწარმოებს ცვლილებების შეტანას ნაწარმოებში, იმდენად მისი მხატვრული ოსტატობა მაღალია.



ოთარ ფარებავალი

შეხედი „ნიუ მასიზი“ გ. მოღოხოვის „წყნარი ღონის“ შესახებ

მხედვილ შოლოხოვის შემოქმედებას დღეს შოელი კულტურული კაცობრიობა ცენობს. მასი რომანებით აღრევე დაინტერესდნენ არა მარტო საბჭოთა მკითხველები, არამედ ევროპელი და ამერიკელი პროგრესული მოაზროვნე ადამიანებიც. შოლოხოვის შემოქმედებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიყრო ეპოქეამ „წყნარი ღონი“, რომელიც დამთავრება-მდე ითარგმნა ევროპულ ენებზე, მათ შორის ინგლისურადაც. დიდი პოტულარობით სარგებლობდა საბჭოთა მწერლის სახელგანთქმული რომანი ამერიკაშიც.

„წყნარ ღონის“, რომელიც 1941 წელს გამოიცა ამერიკაში, დიდი ყურადღება დაუთმო ამერიკულმა ყურნალმა „ნიუ მესიზმა“. 1941 წლის 5 ავგისტოს ნომერში მან მოათავსა შოლოხოვის სურათი, გადაღებული ღონის ფონზე, ქვემოთ გი „წყნარი ღონის“ მიმომხილველის სამეულ სელინის შემდეგი სიტყვები:

„ეს რომანი ლიტერატურული ხელოვნების მონუმენტური შედეგია, რომლის სილმაზე, მოქმედების არე და სიძლიერე ქება-დიდების ლირიკა ყველვან, სადაც კი სიტყვაკაზმული მწერლობა უყვართ. შოლოხოვის რომანი დიდებული მხატვრული ძეგლია თავისუფალი და

ლამაზი ცნოვურების იმ რწმენისა, რომელმაც მწერლის ქვეყნის ხალხი სოციალიზმისათვის ბრძოლის განუყრელ ერთეულად შეაკვშირა“.

„წყნარი ღონის“ ამერიკული გამოცემა ორი ტომისაგან შედგება. პირველი ტომის სათაურია „ღონი წყნარი მიერინება“, ხოლო მეორესი — „ღონი შინ-ზოსიკენ მიიღინება“.

იმავე თვეში — 12 და 19 ავგისტოს ურჩნალმა ორი საქმაოდ ვრცელი და საინტერესო სტატია დაბეჭდი შოლოხოვის „წყნარ ღონიზე“. ამ სტატიების აგრძორი სამეულ სელინი მეორე წერილის ბოლოს გვპირდება, შემდეგი კვირის ნომერში დავბეჭდავ ღასკნითი ხასიათის სტატიას, მაგრამ სამწუხაროდ, 1941 წელს სილენს სხვა სტატია აღარ გამოუქვეყნებია.

პირველ წერილში „ეპონი ღონზე“ სილენს ისტორიული სიმართლის ერთ-ერთ გამოვლინებად მიჩნია ის ფაქტი, რომ შოლოხოვის შედევრი „წყნარი ღონი“ ამერიკაში გამოიდის სწორედ მა-შინ, როცა ფაშიზმი იბრძვის კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის მოსახლეობისათვის. ამ ნაწარმოების ეპიკურ სი-დიდესა და ჰუმანიზმში კრიტიკოსი-

ჰათლად ხედავს საბჭოთა ადამიანის სულს. „წყნარი ღონი“ თავისი მონუმენტურობით ამსხვერებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სამყაროში შექმნილ ილუზიებს.

სილენი იზიარებს მ. გორკის შეხედულებას იმის შესახებ, რომ „წყნარი ღონი“ შეიძლება შეეგადაროთ მხოლოდ ლევ ტოლსტოის „ომას და მშვიდობას“.

კრიტიკოსის აზრით, ამ ორ ნაწარმოებს ბევრი ჩამ აქვთ სერთო: ტოლსტოის უცვდავ არმანში ასახა 1805-1812 წლების მოლვარე პერიოდი, რამაც კულმინაციურ წერტილს მიაღწია მაშინ, როცა ნაბოლეონი მოსკოვიდან გაავევს და რუსეთმა გაიმარჯვა. შოლოხოვის „წყნარ დონშიც“ დახატულია რუსეთის მსოფლიო ომის ფონზე, 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, უცხოელ მილიტარისტთა ინცერვენციისა და სამოქალაქო ომის დასასრული. აქაც რუსეთმა, საბჭოთა კავშირის სახით, კვლავ გაიმარჯვა.

სამუხლ სილენის აზრით, ტოლსტოის მსგავსად შოლოხოვიც ისტორიულ მოულენებსა და პერსონაჟებს მთლიანობაში ასახავს და გმირების დახატვისას დიდ სიმაცრეს იჩენს საკუთარი თავის მამართ. ამავე დროს შოლოხოვი კარგაუ იცნობს თავისი გმირების მთელ დრამატულ ცხოვრებას. ორივე მწერალი ქმნის ტიპების მრავალფეროვან გალერეას. ეს გმირები კუთვნიან სხვადასხვა სოციალურ ფენას და აქვთ განსხვავებული აწერნა და ტემპერამენტი. ამ ნაწარმოებებში გადმოცმული უარისები სცენა კი არ ტვირთავს და აბუნდონებს სურათის საერთო ხედს, არამედ პირიქით, ამდიდრებს მას. მოქმედ პირთა სიმრავლე მკითხველს სრულიადაც არ უშლის ხელს გამოკვეთილად წარმოიდგინოს თვითეული პერსონაჟი თავისი განსაკუთრებული როლით, რომელსაც ისინი მთლიანად თხრობაში ასრულებენ.

მისუხედავად ბევრი სერთო მოტივისა, სილენი მაინც ხედავს განსხვავებას აღნიშვნულ რომანებს შორის, თუმცა მათი დაპირისპირების წინააღმდეგია.

მისი მტკიცებით, თვითეულ მაცგრძელებელს სხვადასხვა ეპოქში აქვს გაფარმულები და ზედმეტია იმაზე დაფალების მელია უკეთესი. თუ ტოლსტოის რომანში განვითარების უმაღლეს წერტილს მიაწია XIX საუკუნის კრიტიკულმა ტეატრზე. შოლოხოვმა მარქსისტული მსოფლმხედველობის, საფუძვილზე გვიჩვენა წორიზონნები იმ ახალი ცხოვრებისა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში შეიქმნა და უამრავი წინააღმდეგობით ხსიათდება.

სილენი შოლოხოვის რომანის ერთ-ერთ დადგებით მხარედ იმას თვლის, რომ მისი გმირები არ არიან სქემატურნი, თუმცა ისინი, ეს ხალხის წრიდან გამოსული ადამიანები, შექვრობილი არიან ცრთი სერთო სენით, რომელმაც ცარიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდი მოიცვა.

შოლოხოვი ღრმა თანაგრძნობით ქმნის ახალ ტრაგიკულ ტილოებს, რომლებშიც სიკედილი წარმოდგენილა როგორც ისტორიული აუცილებლობა და არა როგორც აბსტრაქტულ საშინელება. ეს კი გმირს მომავლის იმედს აძლევს. ამიტომ ბრძოლის საშინელა ხმაური შოლოხოვის შემოქმედებაში მომხინველ მუსიკად, „ძლიერ, მზარდ სრულ ყოფილ პარმონიულ ჰიმნად“ გაისმის.

სილენის აზრით, მწერალმა მას იმით მიაღწია, რომ თვითონ მიიღო აქტივური მონაწილეობა ამ ბრძოლებში და მოიშველია საბჭოთა ლიტერატურის მიერ შექმნილი ახალი შემოქმედებითი მეთოდი.

წერილის ავტორი კარგად იცნობს კაზაკთა ცხოვრების რევოლუციამდელ პერიოდს. რევოლუციამდე კაზაკები მეფის დამცველი ლაქეიბი იყენენ, — ამბობს კრიტიკოსი, — მაგრამ მათ ცხოვრებას ჰქონდა მეორე მხარეც — თავისუფლებისა და მშვიდობიანი შრომის სიყვარული. თუმცა თავისუფლების სიყვარულშიც, სილენის აზრით, თავს იჩენდა მავნე მიღრეკილება — „რუსეთისაგან დამოკიდებლობის ჩუმი სიყვარული“. რაც შეეხება მშვიდობიან შრომას, ყვე-

და კაზაკს როდი პქონდა ამის საშუალება. შოლოხოვი, — განაგრძობს სილენი, — საუცხოოდ გვიხატავს თავის არმანში კაზაკთა შორის მომხდარი დიფერენციალის სურათებს: ვაჟარმა მოხვევა ხელში ჩაიგდო მთელი ტატარსკო, იგი დაქირავებული შრომით ცხოვრობს. მის გვერდით არიან მდიდარი ფეოდალი ლისტინიცი, კულაკი კორშუნივი. მთა პირისპირ დგანან უმიწავლულ გლეხები — კოტლაროვი, ვალეტი. მიშეა კოშევი. რომანში ჩანს, რომ 1914 წლის ომა დროებით დაფარა ის ბზარი, რომელმაც დიდი ხანია იჩინა თავი კაზაკთა შორის, მაგრამ ომის დამთვრების შემდეგ ეს ბზარი თანდათან გაიზარდა.

კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შოლოხოვმა გრიგორი მელეხოვი ეპოპეის ცენტრალურ გმირად აქცია, რადგან იგი საზოგადოების ორ სხვადასხვა ფენს შორის იდგა და ორივესადმი განიცდიდა სიძულვილს და სიყვარულს. ჩანს, სილენი არ იცნობს ჩვენი პარტიის VIII ყრილობის ლოზუნებს საშუალო გლეხების შესახებ, ამაც ძირითადად განაპირობა შოლოხოვის „წყარი დონის“ მთავარი მოქმედი პირის შეჩრჩვის საკითხი.

სილენი ატომლაც პარალელს ავლებს: XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის მეოცნებე რუს თავადება და მელეხოვს შორის და შოლოხოვის დამსახურებად სთვლის, რომ მისი გმირი მტკიცე ხსიათისა, არ არის „ინტელექტუალურად დავადებული“, აქვს ბრძოლის უნარი და „დიდი ხელოვნება“, არ ჰგავს დასტურებეს პათოლოგიურ პერსონაჟებს და ასაფერი აქვს საერთო იმ მერყევ ჰამლეტებთან, რომლებიც ასე ხშირად გვხვდებიან XIX საუკუნის რუსულ ბელესტრისტებში.

სილენს აღწევდება, რომ 1917 წლის ოცნელუციამ წარსულს ჩააბარა როგორც რუდინება, ლავრეცები და აღუევები, ისე ასკონლინივებიც. XX საუკუნეში შეუძლებელია მათი პოვნა. თუმცა ცოტა ქვემოთ ამერიკული კრიტიკოსი სწორად განმარტავს გრიგორის ტრაგედიას მიზეზს — „გაორებული სინამ-

დეილის უცოდინარობას“, წომლის გაებასაც ძლიერ ცდილობდაში წაჭდავაში. მაგრამ მას „არ შეეძლო ჰუკლესტერში ცატკე რწმენა“. ამის გამო გრიგორმა ავნო მისთვის ყველაზე საყვარელ ადამიანს და შეუერთდა მათ, ვინც კევლაზე მეტად ეზიზლებოდა. ამიტომ, წერს სილენი, მეოთხეველმა რომ კარგად გაიგო გრიგორი მელექოვის ხსიათის წინააღმდეგობის მიზეზები. უნდა გვეცნოს მას ოჯახში, საყვარელ აქსინიასთან, ამხანაგებთან და იმ ბრძოლებში, რაც თავს გადახდა.

როგორც სილენის მეორე სტატიიდან ჩანს („შოლოხოვის ემირები“), ზოგიერთ ამერიკელ მიმომხილველს შოლოხოვის „წყარი დონის“ ორი ტომი (რ სახითაც: ეს რომანი ამერიკაში გამოვიდა) მაინდიარ დამოუკიდებელ წაწარმოებად. სილენი არ ეთანხმება ამ კრიტიკოსებს. მისი აზრით, ორივე ნაწილი ერთი წაწარმოება; თუ არ წაიკითხეთ პირველი ტომი, თქვენ არ გეცოდინებათ მეორე ტომში წაწარმოდებილი დრამების განვითარების მიზეზები, ამტკიცებს სილენი, რადგან ამ ნაწილებს შორის არსებობს შინაგანი კავშირი როგორც ესთეტიკური, ისე პოლიტიკური. გრიგორი მელეხოვის ტრაგედია იწყება წიგნის პირველ გვერდზე და მთავრდება უკანასკნელ გვერდზე.

სილენი წერს იმის შესახებაც, თუ არ და გაევირვება გამოხატა ამერიკაში ზოგიერთმა კრიტიკოსმა იმრა გამო, რომ „საბჭოთა მწერალმა ცენტრალურ გმირად ანტიკომუნისტი გამოიყავანა“, კერძოდ, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ალექსანდრე ჩახაროვი შოლოხოვს აქვს იმიტომ, რომ მისი რომანის ფურცლებზე ვერსად იგრძნობთ „მარქსიზმის მოახლოებას“ და ამასთან მწერალი ერთნაირი სიძლიერით გვიხარვს როგორც თეორეგარდილებს, ისე წითელარმიელებს. ნაზაროვი იმასაც კი აცხადებს, თათქმის შოლოხოვი, ა. ტოლსტიო, კატაური, არაგონი, ჩიხარდ რაიტი და ალექსანდრე მელიცი წერენ არამარქსისტულ წიგნებს, მაშინ როცა, ამბობს სილენი, შოლოხოვი საუკეთესო მარქსისტია და ცხოვრებას ასახეს სოციალისტური რე-

ლიზმის მეთოდით. კრიტიკის აზრით, „შოლოხვის დამსახურება აწორედ ის არის, რომ იგი მკითხველს, თავს არ ახ-ვეს საკუთარ შეხედულებებს გმირებზე. მწერალი თავის პერსონაჟს უფლებს აძ-ლებს იმოქმედოւ იმის მიხედვით, რასაც პირადი ცხოვრება და ისტორიული ვითა-რება უკარნახებს.

მართლია, რომანის პირები თვეებში გრიგორის ხასიათი ჯერ კადევ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ როცა იგი სოფლიდან ფრონტზე მიღის, მაინც ემჩ-ნევა, რომ დაუმორჩილებელი ცულის პატონია. სილენი გრიგორის ამ თვისებას ხედავს უკელაფერში, მის ლიმილშიც კი. რაც შეეხება აქსინის სიყვარულს, ეს არის ამქვეყნური „უსირცხვილო სიყვარული“, რომელმაც ტრაგიზმით უნდა ააგხსოს გმირის მომავალი ცხოვრება, „რომლის მშეგისა ვერსად მიპოვნია თანამედროვე ლიტერატურაში“ — აცხა-დებს სილენი. ეს მაშინ, როცა ნატალიას სახით გვიხატავს უერთგულეს მეუღლეს, რომლის უმარქო, წმინდა სიყვარული მარცხდება აქსინის ძლიერ ვნებებთან გახალებულ ბრძოლაში. სილენი გრიგორის მომავალი ტრაგიზმას სწყის იქ ხე-დავს, როცა იგი ერთი მხრით უზრადებას არ აქცევს სილენში გაბატონებულ ჩევევებს, არც მამის ლარგვა-გინებას, არც აქსინის ქმრის მუქარას და თანაც უარს ეუბნება აქსინის თხოვნას — და ტოვოს სილენი და მაღაროებში წავი-დეს სამუშაოდ.

სამუშაო სილენი განსაკუთრებულ ყუ-რადღებას უთმობს გრიგორის ოჯახურ ტრაგედიას. მისი აზრით, მწერალმა პა-რალელურად განავითარა საზოგადოებ-რივი და ოჯახური ტრაგედია. გრიგორს ოჯახსა და საზოგადოებაში ურთიერთობა აქვს იმ საწინააღმდეგო ძალასთან.

გრიგორის ტრაგედია გამოწვეულია იმით, რომ ვერ უარყო ოჯახური და სა-ზოგადოებრივი ტრადიციები. „როცა მწერალი გვიხატავს ბრძოლას კანონიერ ცოლსა და საყვარელს შორის, შოლოხო-ვი როივეს მიმართ აღვიძებს სიმპათი-ებს.“ გრიგორი ცდილობს საზოგადოებ-

რივ ცხოვრებასა და ოჯახში ჭირების/ ჭეშმარიტებას, მაგრამ კარგავს მრავალული იჯახსაც და საზოგადოებასაც შეკრისტიანებულ ტრაგიულად შეუთავსებელი ურთიერ-თობა ნატალიასა და აქსინისთან წარმო-ადგენს საზოგადოებასთან მისი სოცია-ლური კონფლიქტის პარალელს.

ამერიკულ კრიტიკოსს მხედველობი-დან არ ჩემპა ისაც, რომ აქსინიასა და ნატალიას არაფერი გაეგებოდათ სოცია-ლური ურთიერთობისა, „არც აქსინიასა და არც ნატალიას არ გააჩნდათ რამე კრედო“. გრიგორის უნდობლობა წით-ლებისა და ოქტორების მიმართ, როცა მისი ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი ინტენსიური სილენის აზრით, გამოწვეულია გრიგორის ხასიათის კონსერვატული და ბუნტარუ-ლი ელემენტებით: ერთი მხრივ, ნაციონალიზმით, მეორე მხრივ, ძველი ოფიციალურისადმი სიძულვილით. მიზედა-ვად იმისა, რომ არ იცოდა რა იყო იმპე-რიალისტური ომის არსი, მაშინაც კი, როცა გრიგორი პირველად ჰელავს კაცს, იმ დასკვნაზე მიღის, რომ მეფე ისინი (კაზაკები) ერთმანეთის დასახოცად მოი-ყვანა. თუმცა გრიგორი კაზაკა, იგი არ იზიარებს ალექსიე ურიუპინის ჩეჩევას, რომ კაზაკების მოვალეობა თითქოს ადა-მიანა ხოცა იყოს. სამეცულ სილენს XIX საუკუნის, რუსულ ლიტერატურაში დაგრძესად უპოვნია დამამინის ახეთი ნაო-ლო სურათი.


გრიგორის სულიერი განწყობის გამო-ვლენის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად სილენს მიმართია სცენა მოსკოვის პისპი-ტალში — შეხვედრა გარანტიასთან და სა-სახლის წარმომადგენელთან. ასეთივე პო-ლიტიკურ კრიზისს განიცდის გრიგორი 1917 წელს. მას არ უნდა არც კორნილო-ვი, არც კერძნესკი და არც ლენინი, მაშინ, როცა ბოლშევიკი პოდერელოვა რევო-ლუციის ბოლომდე მიყვანას; და ხელისუ-ფლების ხალხისათვის ვადაცემის მოთ-ხოვდა. მან ვერ გაიგო, ვის მხარე-ზე იყო სიმართლე და ეს არც მაშინ იცოდა, როცა ამჟეყნად მიშატეა მეტი არავინ დარჩა. ასეთია სამეცულ სილენის შეხედულება გრიგორი მელეხოვზე.



სილენი მკითხველს მოუთხრობს ბუ-
ნჩუქისა და ანას ურთიერთობაზე, გათს
სიყვარულსა და სიკვდილზე. კრიტიკოსის
აზრით, მხოლოდ იმ მწერალს შეუძლია
დახატოს ადამიანთა ბედი ასე ლამაზად,
რომელიც მათი ერთგულია მთელი თავისი
არსებით. ნაწარმოები სივერა ხალხის სიკ-
ვარულით. სილენი ამ თვისებას მხოლოდ
შოლოხოვის რომანს არ მიაწერს. მისი
აზრით, ეს ყველა საბჭოთა მწერლის შე-
მოქმედებას ახასიათებს. ამასთანავე
„წყნარ დონში“ ბევრი შემხარევი სუ-
რათი. მაგალითად, ივანე კოტლიარივის
სიკვდილი, ნატალიას ცდა ცელით გამო-
ეჭრა ყელი და სხვ. სხვათა შორის, ნაწა-
რმოების ამ მხარეზე ყურადღება გაამახ-
ვილა ერთა ინგლისელმა კრიტიკოსმა —
ალექსი კომფორტმაც წიგნში „რომანი
და ჩვენა დრო“, მაგრამ ამაზე სხვა დროს.
სისხლის ღვრისა და ტანხვის ამსახველი
მრავალი სურათია დახატული „წყნარ
დონში“. ამქვეყნად ადამიანი ბოროტებას
გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ შოლოხო-
ვის შემოქმედებაში, — ამბობს სილენი,
— ბოროტებას თავისი მიზანი აქვს. იგი
ისტორიულ გარემოში ხდება და რომე-

ლიმე ისტორიული და სოციალური /მი-
ზეზის შედეგს წარმოადგენს/ უკუკუმა-
ბაც კი, რაც მის ზოგიერთი მუსიკური დასტა-
ათებს თუნდაც სიყვარულში, სოცია-
ლურ-ისტორიულ პირობებით უნდა იი-
ხსნას.

სამუელ სილენი გადაჭრით უარყოფს
„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ მი-
მომხილველ მილტონ პინდუსის აზრს,
თითქოს შოლოხოვის შემოქმედებაში
ადამიანი საერთოდ საქმაოდ უბადრუკად
იყოს წარმოდგენილი. იგი უარყოფს აგ-
რეოვე პინდუსის განცხადებას, რომ საბ-
ჭოთა კრიტიკმ თითქოს გაეიცხა მწერა-
ლი ამ ნაწარმოების ასეთი გაუბედვი და-
ბოლოებისათვის. პინდუსს გაკიცხვად,
ალბათ, ის მიზნია, ფიქრობს სილენი,
რომ ამ წიგნის ვატორი ლაურეატი გახ-
და, ხოლ წიგნს ყველა საბჭოთა მოქა-
ლაქე კითხულობს. სილენის დასკვნით,
„წყნარი დონი“ თავისი ღრმა პუმანიშ-
მით ერთი შესანიშნავი ლიტერატურული
ძეგლია, რომელიც ადამიანთა შორის
სიყვარულისა და მეგობრობის იდეას ქა-
დაგებს.





შოთა რეზიდა

„მართლის“ თქმის პრინციპი და ეკითხ გუგამიშვილი

ძველ ქართულ მწერლობაში (XVII-XVIII ს. ს.) ფართოდ არის ცნობილი „მართლის“ ოქმა, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც დიდა ქართველმა მეცნიერმა ვროფ. პ. კეჩელიძემ „ნაციონალური და „რეალისტური“ მიმართულება“ უწოდა.

რა იყო ამ მიმდინარეობის ძირითადი მოთხოვნა, ძირითადი პრინციპი?

ნაცვლად „ზღაპრული“, ნაწორი, ე. უ. გამოგონილ-შეთხული ამბებისა და პირების ასახვისა ლიტერატურაში, იგი მოითხოვდა, რომ მწერალს თავისი ნაწარმოები აეგო აუცილებლად „მართალ“ ანუ ნამდვილ ამბავზე, მოქმედ პირებადაც ნამდვილ არსებული, რეალური პირები გამოიყვანა.

ამტკიცებენ, რომ მხატვრული ნაწარმოების შექმნის ეს პრინციპი პირველად წამოაყენა ე. წ. არჩილის ლიტერატურულმა სკოლამ, ნამდვილად კი იგი მოქმედებდა რუსთაველმდელ ქართულ ლიტერატურაში და ერთადერთ გაბატონებულ პრინციპს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ავიოგრაფი მწერლები თავის თხზულებებს ნამდვილ ამბებზე აგებდნენ, ნამდვილი, ისტორიული პირების ცხოვრებას აღწერდნენ. ზუსტად ასევე იქცეოდნენ არჩილი და მისი მიმდევრებიც. მათ ღრმად სჯეროდათ, რომ ლიტერატურა

მხოლოდ ამ გზით, ნამდვილი ამბებისა და პირების საგმირო საქმეების პროპაგანდით შეძლებდა პირნათლად შეესრულებინა დაისრებული დიდი საზოგადოებრივი მისია. ეს აწმენა ისე მტკიცე იყო, რომ არჩილმა და მისმა მიმდევრებმა თვით დიდი რუსთაველიც კი არ დაინდეს ნამდვილი ლიტერატურული გასამართლება მოუწყვეს იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსნი“ ააგო გმირგონილ-შეთხულ ამბავზე და მოქმედ პირებადაც „ტყუილი“ ტარიელი, ავთანდილი და სხვები გამოიყვანა. „მართლის“ მთქმელები აძაყად აცხადებდნენ, რომ აღწერილი ამბებისა და შექებული პირების თვითმხილველნი, ზოგჯერ კი მათი საგმირო საქმეების მონაწილენიც იყვნენ. „თვით მინახავს პატრიონისა ძალი, სიმწნე, ჭომარდობა“, ხაზგასმით აღნიშვნადა ფეშანგი თავის „შაპნავაზიანში“. ასევე თვითმხილველი არიან ალორმინების ხანის სხვა დოკუმენტური (ისტორიული) პოემების აეტორები.

გამონაკლისი, რა თქმა უნდა, აქაც გვეცდება. ისევ როგორც ბასილ ზარბელი ან გიორგი მერჩულე, არც არჩილი ყოფილი „თეიმურაზიანში“ აღწერილი ამბების თვითმხილველი, მით უმეტეს მონაწილე. ამიტომ, ზუსტად ისე, როგორც ბასილი ან მერჩულე, არჩილიც

საქორდ ცნობს განმარტის, რომ მის თხზულებას შეიძლება ვერწმუნოთ, რა-დან იგი თემურაშ 1 მცნობთა და თა-ნამოსაქმეთა, ე. ვ. ოკომხილველთა ნაა-მბობია. ის ას წერს პოეტი მის თაობა-ზე „თემურაზიანის“ პროზაულ შესავა-ლში: „მეფის თემურაზის მ ქვემოთ ხსნებულ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვითმნახვთა და თან-ნაახლთ მის ყმათ ქათველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტა—არაედ მართალი; რამეთუ თორ-მეტ წელს კახეთს გმეონდღი. მისნი და-ზრდილი და ნამსახური დარბაისელნი ვკრთს მახლწენ, ვკეთხვადი ნაქმარსა მეფისია და მამბოძდეს.“

როგორც ვხედავთ, ძველ ქართველ მწე-რალთა (აგიოგრაფით) „უტყულობის“, ნამდვილობის ანუ „რეალურობის“ პრი-ნციპი და აღორძინების ხარის „მართლის“ თქმის პრინციპი თვითი შინაარსთ მსგა-ვსი, ერთნარი იყო, ემთხვეოდნენ ერთ-მნენთს. მაშასადამე, მართვებული იქნება თუ ვიტვით, რომ არჩილს არსებითად რომებ ახალი პრინციპი თუ პრიგამა კი არ წამოუკენებია, არაედ აღადგინა ძვე-ლი, რუსთაველამდელი ქართული ლა-ტერატურის „უტყულობის“ პრინციპი, რომელსაც „მართლის“ თქმა უწოდა.

თავისთავად ცაბლია, ძველი ქართული ლიტერატურის „უტყულობის“ პრინცი-პის აღდგენას აღორძინების პერიოდში თვითი მიზრი ჰქონდა — დაახლოებით ერთნარი ისტორიული პრინციპი და აქე-დან გამომდინარე ერთნარი ლიტერა-ტურული ამოცანები. რაკი ქართველი ზალი თითქმის იმავე ვთარებაში აღ-მოჩნდა, როგორიც რუსთაველამდე იყო, ამ გარემობაში არჩილსა და სხვებს აფი-ქრებინა, რომ ისევ უნდა მიღრუნებოდნენ რუსთაველის მიერ უაუგდებულ „უტყულობის“, იგივე „მართლის“ თქმის პრინციპს და სეც მოიქცნენ: ლე-ქსავდნენ მხოლოდ ნამდვილ ამბავს, უა-რყოფნენ ფანტაზის, ამბებისა და გმი-რების გამოგონება-შეთხნება.

დღეს, რა თქმა უნდა, ასეთი შეხედუ-ლება მწერლობაზე, მხატვრულ სიმართ-ლებზე არა მარტო ვიწროდ და შეზღუ-

დულად, არამედ ძლიერ ზულტოვე-ლოდაც ვვერცხენება. ფაქტურულური თხზულებებით ლიტერატურის უტყულობის გვლა გაუმართლებული და მავნეა. გასუ-ლი საუკუნის მიწურულს ა. ფურცელა-ძემ ამონდ სცადა „მართლი“ ამბავი მა-ლლა დაუყენებინა გამოგონილ-შეთხულ-ზე. მან ურთმანეთს შეადარა გოგოლის „მეგდარი სულები“ და ი. ბაგრატიონის „კალმასობა“ და უყოვმანოდ აღიარა „კა-ლმასობის“ უპირატესობა იმ მოტივით. რომ იგი უფრო „სწორია ცხოვრებას-თან“. გოგოლი, ამბობდა ა. ფურცელაძე, მართლია, სინამდვილიდან აღებულ, მაგრამ მანც მხატვრული ფანტაზიით გაცხოველებულ ტიპებსა და საქმეებს გვაცნობს, „კალმასობის“ ავტორი კი „გიჩვენებთ ნამდვილ ცოცხალ პირთ, ნა-მდვილ საქმეთა, პირთ ისტორიულთა, მორუთავალ, მოუკზმავად, გაუშვევენებ-ლად, გაუზუადებლად. რაცა და როგორც უნახავს თვითი თვლით“. კრიტიკოსის აზრით, სწორედ ეს არის „კალმასობის“ ლირუბა, მისი უპირატესობა, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში, სადაც ერთმა-ნეთს ერწყმის ნამდვილი და გამოგონი-ლი, „ადამიად შეიძლება აეტორს ბეჭრი რომ შეეპაროს ისრე, რომ გადაიცენილი იყვეს ნამდვილს ცხოვრების სახეს, ცხო-ვრებაზეც აგებულს მოვლენას, ცხოვრე-ბიდამ გამომდინარე ნაყოფს, არ იყვეს სახე ნამდვილი ცხოვრებისა“ („ივერია“, № 83, 1900).

საქსებით მართლი იყო ილია ვავეკვა-ძე, როცა სტატიაში „ჩენი ექლანდელი სიბრძნე-სიცრულე“ ამტუებდა, რომ ხე-ლოვნებაში გამონაგონი ნაკლებ შთამბეჭ-დავი როდია მართალზე, პირიქით. „მთე-ლი ეგრეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც, — წერდა დიდი ილია, — ამ საცუცველზე აგებული: მოგონი-ლის ამით ცხადებულს მართალი... ამიტო-მაც ამ-გვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთ მოთხრობილი ამბავი, რომ მარ-თლა მართალი იყოს. მართლა ნამდვილი იყოს... სულ ადამიანის ფანტაზიის შექ-მნლია და ისეთის შემოქმედებით ხორც-შესმული, სულთხისახული, რომ კაცს-

კი არ ეჭავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტან-ჰარეგანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრით და არც ეხლა სცხოვრებნ, მაგრამ აპა პნახეთ ჩვენა საკურველი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს. მათის ცხოვრების მაჯისცემს გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ მმავას ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ კეშმარიტ სულისაგან თვით არა კეშმარიტი ამბავი მართალი გვერნია. აი ეს საოცარი გარდაჭმა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და მიმომაც ამ ღვთისურს ძალლონეს ჭმნისას შემოქმედობს ეძახიან. დაახ, ესეთია იგი საცდემლოება ერთ-გვარის მადლისა, რომელსაც ზეგარდო-მთავრება ჰქვიან და რომელიც თვით ცოდვილს სიცრუესაც კი მაღლს აქმნევინებს ხოლმე და უურმოკრილ მსახურად უხდის სიბრძნესა“ (თხზ., ტ. III, 1953, გვ. 408-409).

არჩილმა და მისმა მიმღევრებმა, მაშა-სადამე, უსაფუძვლოდ გაილაშქრეს რუსთაველის წინააღმდეგ და ფრიად ვიწრო საბრძოლი შემოუხასეს მხატვრულ ლა-ტერატურას, რითაც რამდენადმე შებოჭეს მისი განვითარება. ეს იყო მათი მოლეაქტობის უდავონ ნაკლი. მაგრამ არჩილს ლიტერატურულმა სკოლამ მაინც გარე-ვილი დადგითი როლი შეასრულა ქართული მწერლობის ისტორიაში და მას, როგორც სამართლიანდ წერს პროფ. ვ. ჯიბლაძე, „იმ დროისათვის დიდ მნიშვნელობა ჰქონდა“, რადგან „ერთობა ეს იყო ეპოქის მოთხოვნილება“ („ხელოვნება და სინამდვილე“, 1, 1955, გვ. 92).

ერთი შეხედვით, „მარტლის“ თქმა, რომელიც არჩილის ლიტერატურულმა სკოლამ დაამკიდრა აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში, დავით გურამიშვილის სახელმძღვანელო პრინციპით იყო. „მართალს ვიტყვი, შევინები ტყუილისა მოამბე რად?“, აბბობს გურამიშვილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ „მართლის“ თქმა დიდმა პოე-

ტმა სულ სხვაგვარად გაიაზრო და მას სულ სხვა შინაარსი მისცა. უკანასკნელი ვიცაა. ისეთი უაღრესად თვითმუშაოფი და ფართო დიაპაზონის შემოქმედი, როგორიც დავით გურამიშვილი იყო, ვერ მოთავსდებოდა არჩილის მიერ ვიწროდ შემონღლული ლიტერატურული სკოლის ფარგლებში და მან გაბედულად გაარღვია იგი, თავისი საკუთარი გზა გაწალდა მწერლობაში და დამსახურებულად დაიმეკიდრა რუსთაველის შემდეგ ერთ-ერთი უდიდესი პოეტის სახელი.

„მარტლის“ თქმა, როგორც დავინახეთ, არჩილისათვის ნაშავდა მხოლოდ რეალურად მომხდარი ფაქტის, ნამდვილ ისტორიულ პირთა ცხოვრების ასახვას. მაგრამ რა ფაქტი, რა ნამდვილი ამბავი უნდა გაელექსა პოეტის არჩილი ფიტერბდა, რომ ლიტერატურის უპირველესი მოცანა იმედად იყო პატრიოტული კრძნობის გაღვივება, „ჭირისა შიგნ გამაგრებისა“ და მნენობის სულისვეოთებით ხალხის აღზრდა, ფიზიკური ძალისა და მამაკანობის კულტის დანერვა, რასაც გარდავალად მოითხოვდა უცხოელ მარბილეთა წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები. ამ შეხედულების გამოძახილია მამუქა ბართაშვილის ცნობილი დებულება, რომელიც მან „კაშნივში“ ჩამოაყალიბა: „რმსა და ფალავნების ამბაზედ თქვე, ამისათვის, რომ კაცს გააგულვნებს, მას მოანდომებს, მომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის, და რევულისა და მეფისა და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია“ (ქართული პოეტიკის ქრესტომათია, 1954 წ. გვ. 8). მაშასადამე, „კაშნივის“ ეტერი აშკარად იცავს ლიტერატურის სარგებლიანობის, ე. წ. უტილიტარიზმის პრინციპს და მიაჩნია, რომ მწერლობა უნდა წყვეტოს სადღეოსთან ერთიანულ ამოცანებს. და ეს როდი იყო მარტლიდენ თეორიული დებულება. ცრცცელ მიმოხილვა-ლექსში „საქართველოს ზენობანი“ არჩილი პირდაპირ აცხადებს, რომ ეს ნაწარმოები დაწერა საცემით გარევაული პრაქტიკულ ილმზრდელობით მოსაზრებით, კერძოდ, ქართველთა ზნეობის ამაღლების მიზ-

ნით. იგი წერს: „ბევრი კაცი იმიშეზებს, არა მყვანდა მომელულით, ზექობა რომ დამესტავდა, ხარისხ-ხარისხ ამელელიო“. და აი, განაგრძობს პოეტი, კვლავ ასე რომ არ მოხდეს, ზექობის უფლისნარობით თავის გამართლება რომ არ სცადონ, იმისათვის გავლენებს „საქართველოს ზექობანიო“. იგი ერთვარი ჩიშნის მოგებითაც კი აცხადებს: „ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი თქეენი მცშევლელიო“.

ასეთი პრაქტიკული, დიალეტიკურ-აღმზრდელობითი ამოცანების წინა პლაზე გამოტანაშ გარდუელი გახადა დალებითის აქცენტირება, ლიტერატურულში ისეთი ვერტების შემოყვანა, რომელთა ცხოვრება, მწერლის აზრით, მისაბაზი და სამაგალითო იყო და რომელთა ერთგულებას სარწმუნოებისა და სამშობლოსადმი, სულიერ მნექობასა და მამაკობას უნდა აღეტრთოვანებინა ხალხი, გაელვივებინა და გაერმოქებინა ჩელიგურ - პატრიოტული გრძნობები. ამით ასესწება, რომ ჯერ კიდევ ავიოგრაფი მწერლები ხატავდნენ ე.წ. ჭ. მოწესეთი — მღვერდების, ბერძონაზნების, საერთოზო სასულიერო წოდების ცალკეულ გამოჩენილ წარმომადგენელთა იღებელ მხატვრულ სახეებს. ისინი იყვნენ სავსებით უნაკლინი. „ყოვლი ღირსებით“ შექმული, ხოლო მათი შეხელულებიანი აპოდიქტურად წარმოვიდებოდა. მერჩულებს, მაგალითად, გრძელ ხანძთელი ზებუნებრივ აღმანად მიაჩნდა და მთლიანად ეთანხმებოდა მის ასკეტურ მისწრაფებებს, საერთო ცხოვრების დამტკიცებას და უარყოფასაც კი. უკელა, ვინც წინააღმდეგი გრძელ ხანძთელს, მკაცრად დაისაჭა, და მწერალი ამ ფაქტში ხედავს არა მარტო ლეთის ნების ვამოვლინებას, არამედ თეთი ხანძთელის, როგორც ადამიანის, სიმართლეს, ლეთა-უბასთან უშუალო კავშირს. ასევე გაიდეალული არიან შუშმნიერ და აბო, სერაბიონ ზარჩმელი და სხვები. თუ ავიოგრაფი მწერლები ხატავდნენ უარყოფის, უარყოფის მატარებელი, როგორც წესი, სასულიერო მოღვაწეთ

მტრები იყვნენ, ჩვეულებრივ და სამართლებრივ უწყვეტესობის მემკვიდრეობის უზნენ, შევნებულად გამოყოფენ დადებით და არ ერიდებოდნენ პიპერბოლიზაციას, მოკარბებულ იდეალიზაციას და ხშირად შემლამაზებელთა როლში გამოღილენ. თავის „შაპნავაზიაში“, მაგალითად, ფუშანგი ცდილობს გვერდი აუარის გახტანგ მეხუთის (შაპნავაზის) გამამადიანების ქრისტიანობისათვის სიჩოთირო ფაქტს და საქმეს ისე წარმოვიდგენს, თითქოს ქართლის მეფეს შაპნა მარტო სახელი (და არა სარწმუნებები) გამოუცალა: „სახელი გამოუცალა, უხმი შაპნავაზ მეფობით“. იგივე ფუშანგი გულმოდგრენედ ფარავს მარიამ დედოფლის წარსულს და სურს დაგვარმუნოს, კოთომც ვახტანგ მეხუთო მისი პირველი ქმარი იყო და არა მესამე. ბევრი ასმ არის შელამაზებული თბილელის, ტლაშაბისა და სხვ. ნაწარმოებებიც.

მათგან რამდენადმე განსხვავებული პოზიცია ეკავა არჩილს. მის „თეომეტრაზიანში“ უთუოდ შეინიშნება კრატიკული ელემენტები, მაგრამ კრატიკა არ ყოფილი უმთავრესი პოეტისათვის. მეფე-მეცნიერი მიზნად ისახავდა ეჩვენებისა და დაფებითი, მოეცა მსაბაძი მაგალითი და ამიტომაც გაამახვილა ყურადღება გორგი საკაძის პატრიოტულ საქმეებზე. იგი საგანგებოდ გამოყოფს გიორგი საკაძისა და ზურაბ ერისთავის გმირულ სეჭურელს, სამაგალითოდ სახაეს მას და აშკარა საკეთებულით მიმართავს მათს თანამედროვეებს, რატომ მხარი არ დაუჭირეთ ამ დიდ პატრიოტებს: „ვინ არ მიპყეთ მათს სკემესა, არ იცით, რომ დიდთ სცოდეთ“. არჩილი ისე დიდად აფასებდა სამშობლოსათვის საკაძე-ერისთავის თავდადებას, რომ უცილებლად მიაჩნდა თაობიდან თაობას გადასცემდა მათი გმირობის მმბავი: „აშე ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ!“ ის კრატიკა კი, რომელსაც გზა და გზა კვედე-

ბით „ოემურაზიანში“, დამოუკიდებელი მნიშვნელობისა არ იყო და მხოლოდ დაღებისის უფრო რელიეფურად წარმოქნას ემსახურებოდა. ამის გამო არჩილისეული კრიტიკა ფრიად შეზღუდული ჩანს და არ სცილდება ცალკეულ ღიაღმაღლათა პირადულ მისწრაფებათა დაგმობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, არჩილს სამკარაოზე არ გამოჰქონდა ფეოდალური საზოგადოების მომავლინებელი წყლულები და, თუმცა აცხადებდა, „ზოგო ვაქებ და ზოგო ვაძაგებონ“, უპირატესად მაინც „მკობარი“ დარჩა.

ამრიგად, ფეშანგის, არჩილისა და სხვათა „მართლის“ თქმა შეზღუდული იყო, ისინი კარისული დადგებითის ხაზგასმით, ერიდებოლნენ „საჩოთორო“ ამბებს და ზოგჯერ სინამდვილეს დამახინჯებულად წარმოვიდგენენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ არც ფეშანგს, არც არჩილს, არც სხვებს არ აშინებდათ „მართლის“ თქმა, რადგან თითქმის მხოლოდ დადგებითზე წერდნენ, „მკობარი“ იყვნენ და იშვიათდ თუ წაცდებოდათ კრიტიკული შენიშვნება.

სულ სხვაგვარად გაიაზრა „მართლის“ თქმა დავით გურამიშვილმა, „მართლი“, მისი აზრით, სრულიადაც არ ნაშნავს იმას, რომ მხოლოდ დადგებითი წარმოაჩინო და უარყოფითი მიჩქმალო, პოეზია გამოიყენო ვისიმე საამებლად, პირფერულად, ხშირად ხელაღებით და განურჩევლადაც კი აქო თანამედროვე მეცენი თუ დადგებულები. ხალხს ასეთი პოეზია არ ესჭიროება, მით უმეტეს, თუ ქვეყანა იღუპება და კატასტროფის-კენ მიექანება. ასეთ დროს აუცილებელია არა ხელაღებითი ქება, არამედ ამა თუ იმ მოვლენის, ცალკეულ პირთ საქმანობის ობიექტური შეფასება, „გარჩევით თქმა“, რათა უველას ჯეროვნად მიეზღოს — ავს ავი, კარგს — კარგი. „ავს კაცს კარგი ვით უძებონ“, გაკვირვებით მმბობდა გურამიშვილი და დასხენდა: „გერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად“. ამიტომ იყო, რომ მან გადაჭრით მოითხოვა დადგებითდან ყურადღება გადაეტანათ უარყოფითზე, ვა-

ბეღულად ემხილებინათ ავი და ბორი ტი, ყველაფერი ის, რაც ხელუ შემოიდებული ხალხის საიცოცხლო ძალაშეცვალების ური ღია და ქვეყანა. „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტვი კახაბერად“, ვშეაბრად და ბირდაძირ განაცხადა გურამიშვილმა და პოეტის ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს, რას უწოდებდა იგი „მართლის“ თქმას, ანუ როგორც თვითონ ამბობს, „გარჩევით აქმის“.

დავით გურამიშვილმა ისიც შვევნივრად იცოდა, რომ ავისა და ბოროტის მხილება, უარყოფითის საშეარაოზე გამოტანა ორი მისურით არ იყო სახაბოელო: ჯერ ერთი, მას გამოიყენებდა მტერი და იტყოდა, შეხე, ქართველები რანი არანონ: „ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმა ამაღ არ მინება, ბევრი ავი გამოჩნდების ჩეენი, მაზე მეტეცხენება... მტერს შეასმის, იმების, მოყვარეს კი ეწყინება“. მეორე მხრივ, სიმართლის თქმა თვით პოეტისათვის, მისი სიცოცხლისათვის იყო საშიში, რადგან არავინ აპატიებდა ასეთ გამეცულებას. როგორც ადამიანს, გურამიშვილს არ შეიძლებოდა ამის გამო არ ეგრძნო შეში, და სუც მოხდა. იგი გასაოცარი გულახდილობით გვამბობს, თუ როგორ ებრძოლნენ ერთმანეთს მის არსებაში მოვალეობის გრძნობა და სიცოცხლის ინსტინქტი: „ტყუილი ვჰთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი? მართლი ვჰთქვა, მეშინიან ვა, თუ გავხდე და-საკარგი!“

საბენიეროდ, დავით გურამიშვილმა ისე გადაწყვიტა ეს ძნელი დილექტი, როგორც თავისი ქვეყნის კეშმარიტ პატრიოტისა და ღირსეულ მოქალაქეს შეეფერებოდა. „რად გშინის მართლის თქმისა, ფუ, შენ ჩემთ ულვაშ-ბილო!“, თვითონვე გაკიცა თავისი გაუბედობა, დაპლია შიშის გრძნობა, შინგანი წინააღმდეგობა და ყოყმანი. „სკობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიძართლით ავიბარებო, ვაზის მრგველინ ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძე დარგო, მაზე სული არ წარესტყმინდო, რა გინდ ხორცით დავითარგო“, განაცხადა მან და თან დასძინა,

თუ ვინმეს საშუალ დარჩეს ჩემი ნათებები. ჩემგან ძრახვა, მხოლოდ საკუთარ თავს დაბრალოს — „ვინც რომ ძრახვას თავილობდეს, ნურასა იქს საძრახვასა“.

გურამიშვილი ამტკიცებდა, რომ ძრახვა, ავისა და ბოროტის მხილება ღიღი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა, ქვეყნის წინავლის, ხალხის ღწინაურების უცილებელი პირობა. ჯერ ერთი, იგი საკირავი იმიტომ, რომ ცხოვრებაში არც მარტო დაფებითია და არც მარტო უარყოფითი, სადაც ერთია, იგი მერჩევაა. ისინი მუდამ ერთად არიან, ერთად მოქმედებენ. ხშირად ისცე ხდება, რომ ბოროტი კეთილს სახეს იღებს, ინიბებდა, ანუ როგორც პოეტი ამობს. „ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ“. რაკი ასეა, უკველი ამბავი „გარჩევით“, რამე ერთი უნდა ითქვას, რათა ცრუკახნებრი გავარჩიოთ ნამდვილისაგან და და ავს ავი უცწოდოთ, ხოლო კარგს — კარგი. ამიტომ წერდა დავით გურამიშვილი: „აწ რომ ავი არ ვაძახო, კარგი როგორ უნდა ვაქო? ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავირქო? კარგს კაცს ვითარ დაუკარგო რაც რომ სიკარძაცი აქო? ავს კაცს კარგი ვით უქმებნ, რომოს ჩამსვა, თავს დამარქო?!!“ მშასადმე, ავის, ბოროტის მხილება უცილებელია თვით დაფებითის წარმოჩენისა და ქებისათვის, ბოროტზე კეთილის უპირატესობის ნათელსაყოფად.

ძრახვა უცილებელია კიდევ იმიტომ, რომ ავი არა მარტო თავისთვად არის ავი და ცუდი, არმედ ამავე დროს რეგნანს სხვებსაც, ხრწნის მთელ საზოგადოებას, რადგან მიმბაველები უჩნდება, მოქეტებულია მაშინ, როცა ავს არ ებრძეონ და, პირქით, ჩქმალვენ, თითქოს იგი არც ირ არსებობდეს. ერთი სიტყვით, „ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცვენ“. გურამიშვილი ხასს უსვამს იმასაც, რომ უაზრობა დაფარონ ავი და ბოროტი, შეეცალ მის მიჩქმალებას. „რა გინდ რომე კამან მალოს, ჭირი თავსა არ დამალეს“, წერდა ღიღი და იქვე მიუთითებდა: „ვინ დაპფარავს

მათს ნათესა ივის მემნელთ ვ. ქ. თვით უმიწოდ ქვიშას ფარცხშემუშავებამ წუთოს ქვიტკირსა ზღვენაშე უკავებდება როს ფიჩხით ფაცხვენ“. დასასრულ გურამიშვილს არც ის ავიწყდება, რომ ყოველი კაცი გაურბის ძრახვას, უფრთხის მას, ეშინია მისი და ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ავის მხილება აუკალებელი, კეთილ საქმეა და პოეტი ასე აქანდაკებს ამ აზრს: „ძრახვავე სკობს საძრახვეთა, ძრახვას კაცი მოუფოხვების“. აქვე იგი განმარტავს, რომ ძრახვას შეიძლება მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდეს: ავის გამოსწორება, მთელი საზოგადოების ზენობრივი ამაღლება, კარგისა და კეთილის ზემის. პოეტი განუმეორებელი შეატერული ისტატობით, რუსთველური ისლრმითა და აფორისტულად აყალიბებს ამ დებულებას: „ამად სძრახვენ ვინც აეს ჩადის. კულავ აღარ ჩაიდინოს, სხვა გაფოხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არეუნ ჩაიდინოს“.

სე ღრმად და ყოველმხრივ დაამუშავა დავით გურამიშვილმა ძრახვის მიზანი და აუცილებლობა, ცხადყო, რომ ავისა და ბოროტის უმხილებლად შეუძლებელია საზოგადოების წინსვლა, კარგისა და კეთილის გამარჯვება. ერთი ვერ გაიმარჯვებას, თუ მეორე არ დამარცხდა. პოეზიის მოვალეობაც ის არის, უჩვენოს ხალხს განვითარების მოცემულ ეტაპზე ცხოვრებაში აეს ვარბობს თუ კარგი, ბოროტი თუ კეთილი და უარყოფითის მხილებით, დადებითის შექებით ხელი შეუძლის საზოგადოების პროგრესს. ია ასეთი შინარსი მისცა დავით გურამიშვილმა „მართლის“ ოქანს და ეს როდა იყო ლიტონი დეკლარაცია. თავის მკაცრ საუკუნეში პოეტმა დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა გამოიჩინა და ბოლომდე თქვე სრული სიმართლე, რადგან მტკიცედ სცეროდა, რომ სამშობლოსათვის ასე იყო საჭირო. „მართლია, ძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“, წერდა იგი და „მართლის“ ოქმის პრიცეპი გამოიყენა არა თავისი დროის მეფეთა და ცალკეულ დიდებულ-

თა სახოტბოდ, არამედ ფეოდალური საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობათა სახილებლად, მისი აგონის ცხადხაყოდა.

სრულიად უდავოა, რომ არავის ისეთი ძალითა და სიღრმით, არავის ისე ყოველმხრივ არ უმხილებია ქართული ფეოდალური საზოგადოება, როგორც ეს დავით გურამიშვილმა გააკეთა „ქართლის ჭირში“. დიდი პოეტის ამ გენიალურ ნაწარმოებს რომ ახასიათებს, ძველი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მცვლევარი პროფ. ალ. ბარამიძე წერს: „გურამიშვილი კიდევაც აღწერს და კიდევაც ამხელს ჩვენი ისტორიული წარსულის უკუმარობას. სამშობლოს უზრომდო მოყვარული მგოსანი დაუნდობლად ებრძეს და სამარცხევნო ბოძე აკრავს სამშობლოს მოღალატეებს, ყველა ანტისაზოგადოებრივ და ანტისახელშიცობებრივ ელემენტს. პოეტი არ მოერიდა არც დიდს, არც მცრავს, არც ერისეცას და არც სასულიერო პირს. „ქართლის ჭირში“ გადაშლილი XVIII საუკუნის პირველი ათეული წლების შენინიბაცი და შემაძრუნებელი სურათები ქართლ-კახეთის შინააშლილობისა, ფეოდალური შუღლისა და გაუტანლობისა, საზოგადოების მაღალი ფეხების ზენობრიერი და ენინებისა, ქვეყნის დაბაზუნებისა და გარეშე მტრების აუღამვითი ველური თარებისა ჩვენს მწმა-წყლზე, ხალხის ხოცვა-ლეტერისა, ქალაქებისა და სოფლების რბევისა და აწინებისა... გურამიშვილის საზოგადოებრივი სინდისის სისტემაკა იქმნდის შივიდა, რომ მან არ შეიწყნარა არც მისი მწყალობელი პატრონი ვახტანგ VI, რომელსაც საერთოდ თავანისცემით ეპყრობოდა“. კიდევ მეტი, გურამიშვილმა „არც რუსთის მეფის უსამართლობა დამალა, ეს უსამართლობაც ამხილა“ (დ. გურამიშვილი, თხ. სრული კრებული, 1955 წ., გვ. 14-15).

საოცარია, რომ პოეტი, რომელმაც ასე გაბედულად ამხილა „ქართლის ჭირი“ და სააშკაროზე გამოიტანა ფეოდალური საზოგადოების წყლულები, როგორმაც ესოდნენ თავისებურად და განსხვავებუ-

ლად გაიაზრა „მართლის“ თქმა თავისული თვალება არჩილის ლიტერატურული შემთხვევისათვის და „ნიკიერი წიგნობადგენილად. თუ რამდენად შორს იდგა იგი „მართლის“ თქმის არჩილის სული ინტერპრეტაციიდან, იქიდანაც ჩანს, რომ მას ერთი სიტუაცი კი არ დასცდენია რუსთაველის შინააღმდეგ საერთოდ, არა სოდეს არ გაუკიცხავს იგი „ნაკორი“ ამბის გალევქვისა თუ „ტუული“ ტარიელის შექმნასათვის. პირიქით, სწორედ მან აღადგინა ქართულ პოეზიაში რუსთაველის პრინციპი და თავის უკადავ პოემს „ქაცურა მწყემსი“ საცუკვლად დაუღილ გამოგონილ-შეთხზულ-ნაცორი ამბავი და მოქმედ პირებადც გამოგონილი, „ტუული“ ქალები და კაცები გამოიყვანა. ამით გურამიშვილმა, რა თქმა უნდა, „უხეშად“ დარღვევა არჩილისა და მისა მიღებების უმთავრესი პრინციპი, მაგრამ ეს იყო დიდი ქართველი პოეტის უღიძესი დამსახურება ჩვენი ლიტერატურის წინაშე. ყველაფური ეს ფულებას გვაძლეს დაგესკვნით, რომ გურამიშვილი იყო ამა არჩილის ლიტერატურული სკოლის თვალსაჩინო, გინა ნიკიერი წარმოადგენერლო, არამედ კრიტიკული რეალიზმის ჩინამორბედი ჩვენში.

ცნობილია, რომ „მართლის“ მოქმედები პროფ. კ. კეცელიძემ მიიჩნია მწერლებიდან, რომელებმაც ჩვენს ლიტერატურაში დანერგეს „ახალი რეალისტური თუ შეიძლება ასე ითქვას პირობით, მიმართულება და სტილი“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 317). თავის ბრწყინვალე მეცნიერულ ნაკვეთში „რეალისტური ნაკადის შესახებ XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში“ პროფ. ალ. ბარამიძე სპეციალურად განიხილა ეს საკითხი და განაცხადა, რომ ქართული რეალიზმი წარმოიშვა მხოლოდ XIX საუკუნის ორმოცდა-ათიან წლებში, ხოლო „მართლის“ მოქმედთა გერფი მიიჩნია „აღრული ქართული რეალიზმის წარმომადგენლებად“ (ლიტერატურული ძეგბანი, IX, 1955, გვ. 121). ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ამ შეხედულებას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ

ალორძინების პერიოდის პოეტებს შორის ყველაზე ახლოს ნამდვილ რეალიზმან მიყიდა ორა სხვა ვინმე, არამედ დავით გურამიშვილი.

რეალიზმის თეორიის და ისტორიის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ რეალიზმს აუცილებლად ესაქირობა სავსებით მიწიერი ადამიანი, ადამიანი, რომელმაც თავის თავში პოვა შემოქმედებითი საწყისი და ეტრფის აჩვევენიურს. საგულისხმოა, რომ ყველაზე რეალისტური სურათები მეტჩულეს გვნიალურ თხზულებაში სწორედ ის სურათებია. სადაც აღწერილია აშორ და ადამიანე კურაბალტების სამიჯნურო თავგადასავალი, ე. ი. სადაც მოქმედებენ მიწიერი ადამიანები თავისი მიწიერი სურვილებითა და ვნებებით. ასევე შეიძლება ითქვას არჩილის „თეიმურაზიანისა“ და ბევრ სხვა ნაწარმოებზეც.

მაგრამ არც აგიოგრაფიული და არც ალორძინების ხანის ლიტერატურის ცენტრში არ იდგა ასეთი ადამიანი, მხოლოდ ცალკეულ თხზულებათა ცალკეულ ეპიზოდებში თუ გაიღვევდნენ ისინი. ეს იმიტომ, რომ იმდროინდელი მწერლები გამსჭვალული იყვნენ ქრისტიანულ-რელიგიური მსოფლმხედველობით, რაც, ბუნებრივია. ხელს უშლიდა მათ რეალისტურად ესახათ მთლიანდ ცხოვრება და არა მარტო მისი ცალკეული ეპიზოდები. მეტჩულეს თხზულებაში, მაგალითად, მთავარი პერსონაჟია გრიგოლ ხანძთელი — ზებუნებრივი, გაიღვევალებული, აძასთან ასევეტიურ-რელიგიური მისწრაფებებით გაღლენთილი ადამიანი, რომელიც არათუ ეტრფის, პირიქით, გმობს ამჟღვანიურ ტექნიკას, მიწიერ სურვილებსა და ვნებებს. აგიოგრაფიული პერსონაჟების ზებუნებრიობა განსაკუთრებით მყაფიოდ ჩანს იმ „სასწაულებში“, რომელსაც ისინი „ღვთის ჩაგონებით“ თუ ხელშეწყობით სჩადიან. მართალია, ალორძინების პერიოდში რელიგიის ასე თუ ისე საფუძველი შევრყა (ტუილად როდი წუხდა არჩილი: „სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უყოფთა და უბუღდობით“), მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი იყო და ისევ განსაზღვრავდა ვდა მწერლის მსოფლმხედველობას, მას

დამოკიდებულებას მოვლენდათ ადამინებისამდებრი. მა პერიოდში ეს რეალურობა არის ნაწარმოები, რომელსაც დაზიანებული დიპი არ იწყებოდეს, ან მის სადიდებელს არ შეიცავდეს. ლიტერატურის წამყვანია პერსონაჟებიც კვლავ „რჩეული“ (მეფეებიც, დიდებულები, გმირები) და არა ბუნებრივი. ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანები არიან თავისი ამჟღვანიური სურვილებითა და მისწრაფებებით. შებოჭილი ღვთის ნებით, ისინი არ წარმოვაიდგებია ან სუვერენულ ადამიანებად.

დავით გურამიშვილის განსაკუთრებული დამსახურება ჩვენი ლიტერატურის წინაშე, რომ მან პირველმა ნაწარმოების ცენტრში მოაქცია უბრალო, სავსებით მიწიერი ადამიანი თავისი მიწიერი მისწრაფებებითა და ხასიათით. მხედველობაში გვაქვს არა მარტო „ქაცვია მწყემსი“. განა აქართლის კირის „მთავარი პერსონეეთ — თვით ავტორი სავსებით ჩვეულებრივი, სრულიად უბრალო ადამიანი არ არის? არა გვკონია საეჭვი იყოს, რომ დავითის თავგადასავალი (ტყვედ წაყვანა, ტყვეობიდან გააპარა, რუსეთს გადასვლა, რუსეთის არმიაში სამსახური და ა. შ.) — ეს არის ჩივითი ადამიანის თავგადასავალი, იმდროინდელი ქართველის ტრაგედია, გაიტონდებული კონკრეტული ისტორიული პირობებით და არა ბედისწერით ან ღვთის ნებით. ან ვინ არის ის კაცი, რომელიც ხან სოფელს და ხან კიდევ სიკვდილს ეპაერება? მართალია, კაცი და სოფელი არჩილმაც გააბაასა, მაგრამ მისი „კაცი“ საერთოდ ადამის შვილია. ზოგადად მოხაზული, და მასში არც კლასობრივი ჩანს გამოვეთილად და არც ეროვნული. სულ სხვაა გურამიშვილის „კაცი“, რომელშიც მაშინვე იცნობთ ქართველ გლეხს მთელი მისი გლეხური გამჭრიახობითა და მეტყველებით. მარტო ის ტაეპი რადა დირს, სადაც კაცი სიკვდილს ეუბნება: „ეგ მეც ვაცოდი, მაგრამ მე გამოგეითხე განგება“. მა ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დეტალში შესანიშნავად მეღავრებება სიკვდილთან მოპავერე კაცის გლეხური ბუნება, მისი გლეხური „ცბიერება“. გვერდი



ვერ ავტომატურად ისეთ მიწიერ პერსონაჟებს, როგორიც ზუბოვკელი უკანინელი ქალი და მისი შმაგი მიყნურაა.

რეალიზმის დაკვირვება გულისხმობს აგრეთვე ლიტერატურული ენის დემოკრატიზაციას, მის მიხლობებას ხალხის სასუჯბრო ენასთან. ილია ჭავჭავაძემ და სხვებმა, რეალიზმს რომ საფუძველს უკრიდნენ, ნამდვილი ენობრივი რეფორმა შოახდინეს, უკუაღდეს ანტონ კათალიკოსის მწიგნობრულ-სქოლასტიკური ენა და მის მაგიგრად ფართო გასაქანი მისცეს ახალ ქართულ ლიტერატურულ ენას. აღორძინების პერიოდის სხვა პოეტებან შედარებით დაყით გურამიშვილს ამ მხრივაც გარკვეული უპირატესობა აქვა. როგორც პროფ. ალ. ბარამიძე წერს, გურამიშვილის „სახელს მცირდოდ უკაშირდება ქართული პოეზიის დემოკრატიზაცია... მან გააღმავა და გააფართვა ქართული პოეზიის ეროვნულ-ხალხური ტრადიციები“... პროფ. გ. გიბლაძის სიტყვით, დაყით გურამიშვილის ისეთი ფილოსოფიური პოემაც კი, როგორც „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, თავიდან ბოლომელ, „დაწერილია ხალხური რვამარცვლოვნი შაირით. გამოოქმის არახეცულებრივი სამსუბუქე, ცხოვრების ფილოსოფიის თავისებური გაზრჩება, სიკვდილისა და ბერიყაცის დალოგით გაღმოცემული, ამ ნაწარმოებს უშუალოდ ფოლკლორან აკავშირებს“. შემდეგ მკლევარს მოაქვს პოემის შესავალი სტროფი („ყველას გვეწვევა სიკვდილი“) და წერს: „განა ეს ხალხური ლექსი არ არის? განა რითმებითინევა ქართული პოეტური ფოლკლორის სუეტესო ნიმუშებისაგან?... ან აღდეთ ბერიყაცის პასუხი („რას მეპარები სიკვდილო...“) — ზ. ქ.) სიკვდილისადმი: გეგონება ქართლში, თუ საღლაც მთას სოფელში მოგისმენია ეს ლექსი, მაგრამ

თურმე გურამიშვილის ყოფილი 1963 წლის
ტიკული ეტიკები, IV, 1963, გვ. 10).

გარდა იმისა, დავით გურამიშვილი ერთ-ერთი პირველი პოეტია. რომელიც არ დაქმაყოფილდა რუსოველური ში. რით და გამოიყენა სხვადასხვა „ხმა“, მათ შორის ორჯართულიც — რუსულ-უკრაინული და პოლონური. ეს მაშინ, როცა არჩილი და მისი მიმღევრები ბრძად ბაძავლნენ რუსთაველს და ჩაკეტინენ „ველებისტყასნის“ პირტულ ნორმებში. ფერანგის, თბილელის, ტლაშაძის, თვით არჩილის „თეიმურაზიანი“ და ბევრი სხვა წერამშები დაწერილია რუსთაველური შიარით. მათ არც კი უცდიათ შემოეღოთ ან გამოიყენებინათ ახალი სალექსო ზომები.

როგორც დავინახეთ, დავით გურამიშვილი არ იზარდებდა „მართლის“ თქმის არჩილისეულ პრინციპს, პირიქით, დაგვა იგი და ისევ ალადგინა ნაწარმოების ჟეოლენგა-გამოგონების „რუსთველური“ პრინციპი. მისი „მართლის“ თქმა სულ სხვა შინაარსისა იყო და გულისხმობდა მხოლოდ მიუკერძობლობას, „გარჩევით“ თქმას, ყურადღების გამახვილებას ავსა და ბოროტება, მათს გაძელება მხილებას. ურამიშვილი დასკილდა არჩილსა და მას მიმდევრებს ლიტერატურის გმირის, ენისა და პოეტიკის საკითხებშიც. ძეგდან ცხადია, რომ დავით გურამიშვილი არ ეყუთვნოდა არჩილის (ან სხვა რომელიმე პოეტის) ლიტერატურულ სკოლს, პირიქით, დაუბირისპირდა მას და გაარღვეა ჯებირები, რომლებიც ამ სკოლამ აღმართა. სავსებით მართალი იყო ეკაკი წერეთელი, როცა ამბობდა, დავით გურამიშვილი „საუთარი“ გზზზ წავიდა ლიტერატურაში. ეს გზა კი მიღიოდა კრიტიკული რეალიზმისაკენ, რომლის უნიკიტერეს წინამორბედადაც უნდა ჩაითვალოს ჩვენი სახელმართო პოეტი.

რ ა მ ა ზ ს ე რ მ ა ნ ი ძ ე თ ე რ მ ს ა ხ ო ვ ი ა ჯ ა გ ა შ ი

1897 წელს აჭარაში იმოგზაურა
ცნობილმა ქართველმა მწერალმა
და ენთოგრაფმა თედო სახოვიამ.
საქართველოს ამ საუკეთესო
კუთხეს, საღაც „სახლობს ბუნე-
ბის ყოველგვარ სისასტიკესთან
მებრძოლი, მრავალჭირნახული,
სიამეს დანატრებული ხალხი ქარ-
თველთა ტომისა“, იმ დროისათ-
ვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუ-
შებული ბარბაროსთა თარეშით
მიყენებული ჭრილობები.

თ. სახოვიას შრომებში მნიშვნე-
ლოვანი ადგილი უჭირავს აჭა-
რის მოსახლეობის ჯანმრთელო-
ბის მდგომარეობის, ამა თუ იმ
სოფელში გავრცელებული ენდე-
მიური დავადებების, სანიტა-
რულ-ჰიგიენური პირობებისა და
სწავ სამედიცინო-გეოგრაფიულ
საკითხებს. მას უყურადღებოდ არ
დაუტოვებია აჭარის კლიმატი და

სასმელი წყლებიც. ბუნების ამ
სიმდიდრეს იგი კარგ მომავალს
უწინასწარმეტყველებდა და გუ-
ლისტკივილით ამბობდა: „ჯერ
თითქმის არავის გამოუკვლევია,
თორემ ადვილად შესაძლებელია,
ეს უსასყიდლოდ ბუნების სიმდი-
დრე ადგილობრივ მკვიდრთათვის
სხვათა შორის, ცხოვრების თვალ-
საჩინო წყარო გახდეს“.

აჭარის პავის კარგ თვისებებთან
ერთად თ. სახოვია აღნიშნავს,
რომ ჩვეარდნილ, კლდეებით შე-
მოზღუდულ, წყლის პირას მდება-
რე და დაბლობ ადგილის გაშენე-
ბულ სოფლებში, საღაც ჰაერის,
მოძრაობა ნაკლებია, დაგუბებუ-
ლი წყალი მზისაგან თბება და
იქმნება ციების გავრცელების
ხელსაყრელი პირობებით. ამ
მხრივ მეტად ცუდი მდგომარეობა
ყოფილა სხალთაში, შუახევში, ხი-

ჭაურსა და ვერჩებში. განსაკუთრებით შემაძრწუნებელი ყოფილა სოფელ ვერჩების მცხოვრებთა მდგომარეობა — თითქმის ყველას სახეზე მკვდრის ფერი სდებია და ქანგარწყვეტილ სხეულს, რომელსაც, ალბათ, რამდენმეტერ გადაეტანა საშინელი ციება, ნათლად ემჩნევდა მოდუნებული მიხვრა-მოხვრა. „ამ სოფელს სრული ამოწყვეტა ან გადაშენება მოელის, — წერდა თ. სახოკია, — ცხადია ჰავა ას წყალი ხელს არ უწყობს მცხოვრებლებთა გამრავლებას, რასაც თვით მისი სახელი „ვერჩებიც“ მოწმობს“.

მალარის გარდა, გავრცელებული ყოფილა ენდემიური ჩიყვი (მერისი, ცხმორისი, ღორჯომი). „აქაურს ჩიყვი გამოუვა ყელში, ეზრდება და ბოლოს დიდ ღაბაძ-სავით დაათრებს. ზოგს ისე დიდი აქვს, რომ წვერის მსგავსად მთელ გულს უფარავს. ვინც ყიყვიანია, ფერი არ ადევს, სისხლნაკლებიანი არიან“.

მცურნალობის ელემენტარულ წესებს მოკლებული მოსახლეობა, დაავადების შეყრის შიშით, როგორც დამპყრობთა შემოსევის დროს, იძულებული იყო ტყეში გახიზულიყო. ასე, მაგალითად, 1829 წლის ავისტოში, როცა აჭარაში საშინელი ჭირი მძვინვარებდა, მოსახლეობას ტყისთვის შეუფარებია თვით. შავი ჭირის გამო აჭარაში ბევრი სოფელი მთლიანად გადაშენებულა. კერძოდ, ასეთი ბედი სწევია ზემო

აჭარის მმართველთა საჭარო კოდექსის სოფელ გიგანტურთვა რომლის მცხოვრები, ხალხური თქმულებით, სულ ამოწყვეტილან. მთელ სოფელში ორი და გადაოჩენილა, რომელთაც ერთმანეთი-სათვის უთქვამთ, წავიდეთ ქოჩად, გავშორდეთ ამ უბედურ ალაგონ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის მეფის დროს არავინ ზრუნავდა, ავადმყოფი ალალბედზე იყო მიგდებული ან მატყუარა ექიმბაშებსა და მოლებს უვარდებოდა ხელში.

„მკურნალობა აქაურ სოფელებში ჯერჯერობით ისევ მოლების ხელშია. პედაგოგობის გარდა ესენი ხალხის კურნებასაც ხელს ჰკიდებენ. რაც უნდა სენი ჭირდეს ავადმყოფს, მოლა უკან არ დაიხევს. ყველაფერში მეცნიერებას იჩენს. მათი წამალი შელოცვა და თილისმებია. თუ ავადმყოფი მორჩა — დიდება და სახელი მოლას, თუ თქვენი ჭირი წილო, მაინც არ დაემდურებიან, — ალბათ წერა ყოფილა, თორემ მოლას ცდა არ დაუკლიაო. გასამრჯელოს მოლას ამ თილისმებისა და ლოცვისათვის ზოგჯერ 5-3 მანეთამდე აძლევენ“, წერდა თ. სახოკია.

პირველი სამედიცინო დაწესებულება, თუ შეიძლება ასეთი ეწოდოს მას, ქვემო აჭარაში, კერძოდ, ქედაში გაიხსნა გასული საუკუნის 90-იან წლებში. აქ მუშაობდა ერთი ექიმი, ფერშალი და ბებიაჭალი, რომლებიც მხოლოდ მისულ ავადმყოფებს ეხმარებოდნენ, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა.


ქართული ენა და უჭირდათ ავად-
მყოფებთან ურთიერთობის დამყა-
რება. კიდევ უფრო ცუდ მდგომა-
რეობაში იყო ზემო ცენტო. ოცი
თასამდე მცხოვრებს იქ მნილოდ
ერთი ფერშალი ემსახურებოდა,
რომელსაც „აფთიაქში“ ქინაქინი-
სა და ხაფულარათო ზეთის მეტი
არაფერი ჰქონდა. ხულოს პუნქტ-
ში, ცერმლის გარდა, ექიმიც ირა-
ცხებოდა, მაგრამ ის ორ თვეში
ერთვერ თუ ავიდოდა ბათუმიდან
ხელფასის მისაღებად და პუნქტში
დასათვალიერებლად.

აღგილობრივმა დაავადებებმა,
ინფექციებმა, სიღარებებმა, შიმშილ-
მა, შემოსევებმა და აყრა-გადასახ-
ლებამ კატასტროფულად შეამცი-
რა აჭარის მოსახლეობა. თ. სახო-
კიამ მოვცა ცნობები აჭარის მო-
სახლეობის რაოდენობის შესახებ.
მართალია, ამ ცნობებს თვით ავ-
ტორი „დაახლოებით სწორ ცნო-
ბებს“ უწოდებს. მაგრამ ჯერჯე-
რობით მის სისწორეზე ვერაფერს
ვიტყვით, რადგან სხვა ანალოგი-
ური მასალები არ მოგვეპოვება...

საყურადღებოა თ. სახოკიას
მონაცემები აჭარელთა ანთროპო-
ლოგიური ნიშნების შესახებ. იგი
კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ
გარეგნულად მათ შენარჩუნებუ-
ლი აქვთ ქართველისათვის დამახა-

სიათებელი ნიშნები ტიპურისათ-
არ განსხვავდებიან საქართველოს
სხვა კუთხეების მოსახლეობისა-
გან. „ყველა ტანადი არიან, მხარე-
შიანი, ტიპი იგივეა რაც საზოგა-
დოდ ქართველისა. შევი ან თაფ-
ლისფერი თვალები აქვთ. სართი
ცხვირი და ააერთოდ ძამაცი და
ცულკეთილი გამომეტყველება სა-
ხისა. წვერს იპარისევენ“. მოგზაუ-
რი აქვა აღნიშნავს, რომ ბეჭუნე-
ლმართობას გამოვლილ, „სიძეს-
დანატრებულ“ აჭარელთა შორის-
იშვიათი იყო სიმღერა და მხიარუ-
ლება. საშინელი ტანჯვა, სიბეჩავე,
უნდობლობა, გულგატეხი ლობა
და სასოწარევეთილება შეიმჩნეო-
და მათ სახეზე. მიუხედავად ამისა,
ყველა ვალდებულად თვლიდა
თავს დაბმარებოდა გაჭირვებულს,
ავადმყოფს. „გთქვათ ვინმე კუტია
ან ფიზიკურად დამარინებული.
სხვა უმაგათაოდ გარეთ გამოაგ-
დებს, ითხოვე და შენ იჩჩინე თა-
ვიო, აქ კი სახლში ინახვენ“.

ამჟამად აჭარის სოფლებში სა-
მოცხვე მეტი სამედიცინო დაწესე-
ბულებაა, რომლებშიც ორმოცი
ექიმი და სამასამდე საშუალო სა-
მედიცინო პერსონალი და ფარმა-
ცევტი მუშაობს. მოისპონ ციება,
მალე მოისპობა ყველა დაავადე-
ბაც.



ნუბრის

თარო

პარმენ ლორიას ახალი რომანი

(აკითხვების ზენიაზნები)

თავისი ახალი რომანი „საიმე-
დო მომავალი“ პარმენ ლორიამ
თანამედროვე სოფელს მიუძღვნა.
შინაარსობლივად იგი მდიდარია
და ცხოვრების სევრ საკვანძო სა-
კითხს მოიცავს. მართალია, ზოგ-
ჯერ გვეჩვენება, თითქოს ფაქტები
და მოვლენები უკონფლიქტოდ
ვთარდება, მაგრამ თუ ნაწარმო-
ებს კაოგად ჩავუკვირდებით, აშკა-
რა გახდება მწვავე ბრძოლა ძევლ-
სა და ახალს შორის. ამ ბრძოლა-
ში იმარჩვებს პროგრესული, მაგ-
რამ არა იოლი გზით, არამედ შინა-
გან წინააღმდეგობათა დაძლევისა
და უკუგდების გზით. სამაგალი-
თოდ ლევან სილაძის გარდაქმნაც
ქმარა. ვინ მოთვლის რამდენი გან-
ცდა, ფიქრი და დარდი, ბოროტი
ზრახვებიც კი გულს უსერავდა
მას!

რომანის ღირსებად მიგვაჩნია,
რომ კარგად არის ნაჩვენები კო-
ლექტივის როლი ლევან სილაძის
სულიერ გარდაქმნაში. იგი კრება-
ზე მივიღა ბოროტი განზრახვით,
არაერთხელ შეავლო ხელი რევო-

ლვერს ჭიბეში, ზაგრამ ასლანისა
და მთელი სოფლის კაცომყვარე-
ობამ იგი დაარწმუნა. რომ მისი
გასრესა არავის არ უნდოდა, შუ-
რისძიება არც კი უფიქრიათ. ამ
ჰუმანიზმი დიდი სულიერი გარ-
დატება გამოიწვია ლევანში და იგი
კვლავ დაუბრუნდა პატიოსან შრო-
მას.

კარგად შეუნიშნავს ავტორს ის
ფაქტი, ცოლის გადაჭარბებულ
მოთხოვნებს ზოგჯერ ქმარი დანა-
შაულობამდე რომ მიჰყავს. სამწუ-
ხაროდ, ასეთი შემთხვევები ჯერ
კიდევ გვხვდება. ამიტომაც ჩვენი
აზრით, ურიგო არ იქნებოდა, კრე-
ბაზე უფრო გარკვევით და მწვა-
ვედ გაეკრიტიკებინათ ლევანის
მეუღლე ელენე, რომელიც ოდეს-
ლაც ბეჭითი მშრომელი იყო, მაგ-
რამ ქმრის დაწინაურებისთანავე
თავი მიანება შრომას და ლევანიც
აიძულა არაპატიოსანი გზით შეე-
ძინა ქონება. ელენეს ამგვარი კრი-
ტიკით მწერალი უთუოდ დააფიქ-
რებდა ზოგიერთ მეუღლეს, ქონე-

ბისადმი მოჭარბებული სიყვარულით რომ ქმარს დანაშაულისაკენ უბიძგებს.

რომანში ხაზგასმულია, რომ ოჯახის წევრთა ურთიერთდათმობას, სულგრძელობას, პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობას შეუძლია ბევრად უკეთესი ნაყოფი გამოიღოს, ვიდრე კინკლაობამ და ურთიერთუპატივცემულობამ. ეს ნათლად ჩანს სამსონის ოჯახის მაგალითზე. თუ ეს ოჯახი ფეხზე დადგა და წელში გაიმართა, უპირველეს ყოვლისა სამსონის ქალიშვილის მაისა მეოხებით. ასეთი ქალიშვილები და ჭაბუკები ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და უფრო ბედნიერი მომავლის საწინდარია.

ფაქიზი და ჯანსაღია მაისა სიყვარული. მას თავდავიწყებით უყვარს არჩილი, მაგრამ ანგარიშს უწევს არჩილის დედას — დაროს და ახალგაზრდისაგან მოულოდნელ თავდაჭერას იჩენს. დაროს რატომდაც არ მოსწონს მაია, უმიზეზოდ აძაგებს მას და არ სურს არჩილმა შეირთოს იგი. მაგრამ მაია სულიერად ისე მდიდარია, რომ თავს უფლებას არ აძლევს ცუდად მოიხსენიოს დარო — მისთვის ძეირფასი ადამიანის დედა. მას თითქოს ესმის დედის გულის-თქმა და მხად არის გულში ჩაიკლას არჩილთან შეულლების ფიქრი, ოღონდ ოჯახური მდგომარეობით ისედაც დაჩაგრულ დაროს ახალი ტკივილები არ მიაყენოს. „მე მასზე ვფიქრობ (დართე — 3. ქ.), — ეუბნება მაია არჩილს, — შენ უფრო გმართებს მისი სიყვარული და თანაგრძნობა“.

ლივე ეს საკუთარი ყურიდ გუგუნა დარომ და მხარცულობულებისა ასეთი მოულოდნელი მიზანისას გორ იფიქრებდა იგი, რომ მაია, რომელიც არაერთხელ უძაგებია და რომლის დანახვა მხოლოდ ზიზღს გვრიდა, ასეთი სულგრძლი და ყოვლისმიტევებელი იქნებოდა! ქალ-გაუის გულწრფელმა საუბარია და ისი აატივისცემით გამომდარმა სიტყვებმა ძირეულად შეცვალა დაროს დამოკიდებულება მაისა და არჩილის სიყვარულისადმი. გრიგალი ჩადგა, წლობით ცმართული სალი კლდე სიკეთებ დაამსხვრია, სინათლე შეიკრა ბურუსით მოცულ დაროს შეგნებაში. იგი მიხვდა, რომ სწორად არ იქცეოდა, დაგმო სიკერვე, გიუტობა და მაისა გამოუტყდა: „შენ უფრო დიდი სიყვარულის ღირსი ზარ, ვიდრე მე და ჩემს შვილს შეგვიძლია“. შემდეგ მან მოიძრო თავისი ოქროს რგოლის ბეჭედი და მაისა წამოაგოთითზე, შებლზე აკოცა და დელობრივად დალოცა. ეს იყო ჩადენილი შეცდომის გულწრფელი მონანიება.

ასეთივე შესანიშნავი ახალგაზრდები არიან არჩილი, ედგარი, ნანული, ციური და სხვ. მათგან მაინც მინდა გამოვყო ციური. მიუხედავად იმისა, რომ აღიზარდა ოჯახში, სადაც პირადი გამდიდრების ატმოსფერო სუფევდა, ციური ბეჭითი მშრომელი და კეთილი გოვონა დადგა. ყველა ეს თვისება მან შეიძინა კოლექტივში, ამხანაგების წრეში. ერთი სიტყ-

ვით, მის აღზრდაში კოლექტივმა გაცილებით დიდი როლი შეასრულა, ვიდრე ოჯახმა. ასეთი მოვლენა კი ხშირია და კანონზომიერი. გვეიბლავს მისი გულწრფელი, კეთილი გრძნობები, სათუთი და გულითადი დამოკიდებულება მეგობრებისადმი, კერძოდ, არჩილისადმი. იგი დიდ ტაქტის იჩენს და როგორც სულიერად, ისე მატერიალურად უანგარო დახმარებას უწევს სკოლის მეგობარს.

საინტერესოდ გვეჩვენა ნანულის დედის მხატვრული სახე. იგი პატივისცემას იმსახურებს მკითხველში იმით, რომ დაიახლოვა არჩილი — თვისი ქმრის შვილი პირველი მეულლიდან და ყოველმხრივ ცდილობს ორი გათიშული ოჯახის შეკავშირებას. დარიკოსთან შედარებით ეს ადამიანი სულიერად მაღლა დგას, რაც იქიდან ჩანს, რომ დარიკომ ვერ შეძლო საპასუხო ნაბიჯი გადაედგა. მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ტარასის მიერ ოჯახის მიტოვების ერთადერთი მიზეზი იყო დარიკოს მძიმე ხასიათი. შვილის ხასიათი კარგად იცოდა დარიკოს დედამ — თეომ და ამიტომ იყო, რომ არ ამართლებდა მას. აქ ივტორი ნათლად გვიჩვენებს მშობლის მიერ შვილის არა ბრმა სიყვარულს, არამედ ჭანსალს. მწერალი თითქოს გვეუბნება: გიყვარდეთ შვილი, მაგრამ ისე, რომ გაარჩიეთ რა არის მასში კარგი და რა ცუდი, ცუდი ჩამოაშორეთ, ხოლო კარგი გააღვივეთ და განავითარეთ.

გვინდა შეეჩერდეთ რომანის ჩვენი აზრით, ზოგიერთ ხატვის გადასაცემა
მწერალი ამბობს, გორჭივი შემადგრევების
ნთაბაძე „დიდი შრომისა და კაფის
მოვარული თავიდანვე არ იყო“. მაგრამ რაღა ასეთი ადამიანი მონახა რაიონის რადიორედაქციის წარმომადგენელმა? მით უმეტეს, რომ თვით გორჭილამ უთხრა, მხოლოდ ოცდაათი შრომადღე გამოვიმუშავეო. საუბრის ჩანაწერი რაღიოს ისე გაზვიადებულად გამოუქვეყნებია, რომ გორჭილა გაოცებულა — თურმე მის ძროხას, როგორც რადიომ გადმოსცა. ერთი წლის მანძილზე სუთი ტონა რე ჩაუბარებია, სამი ცენტრები ხორცი, ოთხი ხბო და ათას ხუთასი კვერცხი. გორჭილა დასცინის რადიორედაქციის ამგვარი გადმოცემისათვის და ამასხარავებს ბრიგადაში. ჩვენი აზრით, ეს არ იყო საჭირო. რა თქმა უნდა, შესაიღებელია ვინმე წინდაუხედავმა, არასერიოზულმა მუშაქმა ფაქტი გაზიადოს, მაგრამ ეს ხომ კანონზომიერი მოვლენა არ არის?! უვალაფერს რომ თავი დავანებოთ, ძროხა რომ კვერცხს არ დებს და წელიწადში ოთხ ხბოს არ მოგებს, ეს ვინ არ იცის! რომანში ისევე, როგორც საერთოდ ხელოვებაში, გასვიადება, გადაჭარბება დასაშვებია, მაგრამ ზომიერების დაცვა აქაც აუცილებელია.

ვფიქრობთ, მწერალს მეტი ურადლება უნდა დაეთმო სილაძის „ფილოსოფიის“ კრიტიკისათვის.

რასაც ხელში ჩაიგდებ და დაიმო-
რჩილებ. ისაა შენი ალალი სიკე-
თით მოპოვებულიო, უმტკიცებს
ლეგან სილაძე კოლმეურნეობის
თავმჯდომარეს და დასძენს: „მით-
ხარი ერთი, ვინ მუშაობს დღეს
კანონისა და წესის მიხედვით?“
მართალია, კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარემ მაშინვე უპასუხა:
„ყველა კეთილშობილი და პატი-
ოსანი ადამიანიო“, მაგრამ სილა-
ძემ კვლავ გაიცინა და თქვა: „სან-
თლით რომ ეძებო, იპოვი მასეთ
ადამიანს?“ ცხადია, ყველა გადავ-
ვარებულს, არამზადასა და უქნა-
რას სხვაც ასეთივე ჰერნია, ვერ
წარმოუდგენია, თუ ქვეყნად არ-
სებობენ პატიოსანი ადამიანები,
მაგრამ რაკი ამ თემაზე წამოიჭრა
საუბარი. საჭირო იყო მისი გაშლა
და სილაძის „ფილოსოფიის“ ყო-
ველმხრივი მხილება.

კარგი იქნებოდა აგრეთვე კოლ-
მეურნეთა კრებაზე მკაცრად დაე-
ტუქსათ ურვანა ბზიაძისა და გრი-
გოლ ბოგვერაძის ფლიდობა და
უწესო საქციელი, მზის სინათლე-
ზე გამოეტანათ მათი ბნელი საქმე.
ნაწარმოების მიხედვით ისე გამო-
დის, თითქოს ამ გარეწრების მექ-
რთამეობას, სიცრუესა და ორპი-
რობას კოლმეურნეობის კრება ჯე-

როვან ყურადღებას არ დაუკავშირდებას, გარდა იმისა, რომ მათ მის წინაშე
დებულია განიხილოს მის წინაშე
მდგომი სამეურნეო და სხვა საკი-
ონები, დიდი აღმზრდელობითი
მნიშვნელობაც აქვს. და კრების ეს
მხარე ავტორს უნდა გამოყენე-
ბინა არა მარტო ლეგან სილაძის,
არამედ მისი მსგავსი პირების მი-
მართაც.

64-65 გვერდებზე ხშირად, და-
ახლოებით თჯერ, ვხვდებით ერთ-
სა და იმავე გამოთქმას: „დედა,
ბება!“, „ბება“. ცხადია, ეს ძლიერ
ცუდად ხვდება ყურს. რომანში ნა-
ხმარია აგრეთვე უცხო სიტყვები,
როგორც, მაგალითად, „მელანქო-
ლიაში ჩავარდა“ და სხვ. მხატვ-
რულ ნაწარმოებში ისეთი უცხო
სიტყვების გამოყენება, რომელთა
შესაბამისი არ მოგვეპოვება, უდა-
ოდ სწორი და გამართლებულია.
მაგრამ თუ შესაბამისი სიტყვები
მოგვეპოვება? მაშინ რაღა საჭი-
როა სხვათა ენა?

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად,
პ. ლორის „საიმედო მომავალი“
საინტერესო რომანად მიგვაჩნია.

ვლ. ჯემხაძე.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VII, 1966 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზა,
შეკვეთის № 4200, ყმ 00826, ქალალდის ზომა 60X90, ტირაჟი 1.800.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდებითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსუმბურგის, 22).

6/110/203

ვალი 40 კან.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118